

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დალი ნიქაბაძე

**გენიტიური სტრუქტურები როგორც ნორმა და მათი ვარიანტები
თანამედროვე გერმანული ბეჭდური მედიის ენაში.**

სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ელისო ქორიძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,

პროფესორი

ქუთაისი 2023

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი 1. გენეტივი როგორც ნორმა. გენეტივის რაობა და პრობლემური საკითხები	13
1.1. ნორმის განსაზღვრება	13
1.2. გენეტივი დიაქრონიულ ჭრილში	25
1.3. გენეტივის როლი პოსესიურობის გამოხატვის ასპექტში.....	30
1.4. დატივის და გენეტივის ურთიერთმიმართება	37
1.5. გენეტივი გამოყენებით პლანში	42
1.6. გენეტივი როგორც სტილისტური საშუალება	48
თავი 2. გენეტივის პრობლემატიკა სინქრონიულ ჭრილში	52
2.1. გენეტივის ზოგადი განხილვა. მორფოლოგიური ანალიზი	52
2.2. გენეტიური ფლექსიის საკითხისათვის	61
2.3. გენეტივის სემანტიკური მახასიათებლები	67
2.4. გენეტივი ნომინალურ ფრაზაში	75
2.5. გენეტივი სინტაქსურ ჭრილში	78
თავი 3. გენეტივის ალტერნატიული ფორმები და მათი ენობრივ-სტილისტიკური მახასიათებლები ბეჭდური მედიის ტექსტებში	98
3.1. აპოზიცია	98
3.2. კომპოზიტი	108
3.3. ზედსართაული განსაზღვრება	124
3.4. წინდებულიანი ფრაზა და გენეტივის წინდებულები	133
3.4.1. von წინდებულიანი ფრაზა	142
3.4.2. von წინდებულიანი ფრაზა და გენეტივის წინდებულები	151
თავი 4. გენეტივის ეკვივალენტების ანალიზი და კლასიფიკაცია საგაზეთო-საჟურნალო ჟანრის ტექსტებში	152

4.1. მასმედიის ენის თავისებურებები. ზეპირი და წერილობითი ენები ...	152
4.2. საგაზეთო-საჟურნალო ჟანრები და გენიტიური ვარიანტები	161
4.2.1. საგაზეთო კომენტარი	161
4.2.2. რეპორტაჟი	168
4.2.3. ინტერვიუ	171
4.3. გენტივის ეკვივალენტების გამოყენების სიხშირე და ანლიზი	174
დასკვნა	176
ბიბლიოგრაფია	181

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ენათმეცნიერული გერმანისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, გენტივს, როგორც ნორმას და მის ჩანაცვლებას სხვა გენტიური ეკვივალენტებით, თანამედროვე გერმანული საგაზეთო ტექსტების ანალიზის საფუძველზე.

ენათმეცნიერების კვლევის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა ენობრივი ნორმა და ნორმიდან გადახვევა, მაგრამ გერმანულ ენათმეცნიერებაში მხოლოდ ბოლო პერიოდში გახდა იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია, რომ ნორმატიული ცვლილებები მიმდინარეობს ენის ყველა დონეზე (ორთოგრაფიული, გრამატიკული, ლექსიკური და სხვ.), რაც გამოწვეულია როგორც არაენობრივი (სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და სხვ.), ასევე, შიდაენობრივი კანონზომიერებითაც. შესაბამისად, აღნიშნული ენობრივი ფენომენი განიხილება ყველა ასპექტით, როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ჭრილში. თუკი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე ენობრივი ცვლილებები ძირითადად განპირობებული იყო ენობრივი ეკონომიის კანონებით, ხოლო წერილობითი ენის ნორმები აღიარებული იყო როგორც დოგმა, ბოლო ათწლეულებში შეიმჩნევა ტენდენცია ზეპირი და წერილობითი ენების დაახლოებისა. ასევე, ენობრივი ნორმებისა და ნორმატიული ცვლილებებისადმი „შერბილებული“ მიდგომისა, სინთეზური ფორმების ანალიტიკური ფორმებით შეცვლისა, ენობრივ ერთეულებში ფლექსიური ცვლილებების აღიარებისა და სხვ. შესაბამისად, არსებობს როგორც ერთიანი, ასევე წინააღმდეგობრივი მოსაზრებები აღნიშნულ მოვლენებზე. კერძოდ, მეცნიერთა აზრით საკამათოა - არის მიმდინარე ნორმატიული ცვლილებები ენობრივი სისტემის რღვევა, თუ ლოგიკური პროცესი ენის დინამიური ფუნქციონირებისათვის, გაცნობიერებულია ეს მოვლენები თუ გაუცნობიერებელი, რამდენადაა იგი მართული ენის გამომყენებლის მიერ და სხვ.

ზემოთ წარმოდგენილი პრობლემატიკა მოიცავს ასევე გენტივის საკითხსაც. უახლეს კვლევებში დიდი ადგილი უჭირავს გენტიურ სტრუქტურებს, მათი ფუნქციონირების და ვარიანტების შესწავლას როგორც თეორიულ, ასევე გამოყენებით

ჭრილში. განსაკუთრებით საინტერესოა ამ საკითხის კვლევა ბეჭდური მედიის ტექსტებში.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში გენტივის, როგორც ნორმის და მისი ეკვივალენტების პრობლემატიკა, დღემდე მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და საკმაოდ წინააღმდეგობრივია პოზიციები არსებით საკითხებთან დაკავშირებით. ამას ემატება ის გარემოება, რომ მასმედიის ენაში, და, კერძოდ, ბეჭდური მედიის ტექსტებში გენტივი და მისი ვარიანტები არ არის სრულყოფილად შესწავლილი და ბევრი ფუნქციური ასპექტი საჭიროებს ფუნდამენტურ ანალიზს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადისერტაციო თემის პროექტში წარმოდგენილი პრობლემატიკა თანხვედრაშია ჩვენი პარტნიორი იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტებთან.

რაც შეეხება საკითხის შესწავლის ისტორიას, გენტივის პრობლემატიკის კვლევას საკმაოდ **დიდი ტრადიცია** გააჩნია. მიუხედავად ამისა, სულ უფრო მზარდია ინტერესი აღნიშნული საკითხის მიმართ, რაც ახალი და უახლესი ნაშრომებით დასტურდება.

ადრეული პერიოდის კვლევებიდან განსაკუთრებით საინტერესოა **ლოკალისტური ბრუნვების თეორია (Lokalistische Kasustheorie)**, რომლის ფუძემდებლად ითვლება **ფრანც ვიულნერი**. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი *Die Bedeutung der sprachlichen Casus und Modi*. Wüllner, Franz. Münster: 1827. აღნიშნული თეორია ეყრდნობოდა **სიშორის და სიახლოვის** ოპოზიციას გენტივი დახასიათებულთა როგორც ადგილი, საიდანაც იწყება მოძრაობა, ან საიდანაც რაღაც გამომდინარეობს. **ფ. ვიულნერის** მოსაზრებები ზოგჯერ წინააღმდეგობრივია, მაგრამ აქ უკვე მითითებულია, რომ გენტივის ფორმების მთავარი ეკვივალენტი დატივის ფორმებია. **ფ. ვიულნერი** ხშირად **ლოკალისტური თეორიის** კონცეპციის გასამართლებლად გენტივს ცვლის დატივით: Ich bin diesem Herbst bei ihm gewesen. ვიულნერის მოსაზრებები არ იქნა ერთმნიშვნელოვნად მიღებული, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მისი არგუმენტები და ილუსტრაციები ვერ უძლებდა კრიტიკას, მაგრამ

ავტორის წვლილი დიდია ლოკალისტური ბრუნვების თეორიის შექმნისა და გენტივის დატივით ჩანაცვლების მეცნიერულად აღწერის საქმეში.

რაც შეეხება ზემოთ წარმოდგენილ მაგალითს, ვიულნერი ამით ხაზს უსვამს დატივის ფუნქციას, გამოხატოს სიმორე და სიახლოვე, ხოლო ბრუნვების მიერ ურთიერთჩანაცვლების ილუსტრაციად მიუთითებს შემდეგს: სალიტერატურო გენტივს *das Haus meines Vaters* და დიალექტურ დატივს *meinem Vater sein Haus*. (ვიულნერი 1827:232-234).

ასევე, საყურადღებოა **მაქს დოიჩბაინის** ნაშრომი *Bedeutung der Kasus im Indogermanischen: Attidel III Congresso internazionale dei linguisti*. Deutschbein, Max Leo Ammon, 1935, რომელშიც იგი განასხვავებს **სუბიექტურ** და **ობიექტურ** ბრუნვებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გენტივზე და უწოდებს მას **კუთვნილებით ბრუნვას (Kasus der Zugehörigkeit)** (დოიჩბაინი 1935:141).

დიაქრონიული კვლევებიდან აღსანიშნავია ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერის **ოტო ბეჰაგელის** მნიშვნელოვანი გამოკვლევა *Zur Stellung des adnominalen Genitivs im Germanischen und Deutschen*. Zeitschrift für vergleichende Sprachforschung auf dem Gebiete der Indogermanischen Sprachen 57 (1–2), Otto, Behaghel. 1930. ხოლო, **ვილმოს აგელიც** ისტორიულ ჭრილში განიხილავს გენტივთან დაკავშირებულ პრობლემატიკას: *Syntax des Neuhochdeutschen bis zur Mitte des 20. Jahrhunderts*. In: Werner Besch, Anne Betten, Oskar Reichmann & Stefan Sonderegger (Hrsg.), *Sprachgeschichte. Ein Handbuch zur Geschichte der deutschen Sprache und ihrer Erforschung*. 2. Teilband, 1855–1903. Berlin, New York: De Gruyter, Ágel, Vilmos. 2000.

გენტივის პრობლემატიკა აქტუალურია ახალი პერიოდის ენათმეცნიერულ კვლევებშიც. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია **გერჰარდ ჰელბიგის** ფუნდამენტური ნაშრომი *Die Funktion der substantivischen Kasus in der deutschen Gegenwartssprache*. VEB Max Niemeyer Verlag. Halle/ Saale. Helbig, Gerhard. 1973., რომელიც მან მიუძღვნა თანამედროვე გერმანულ ენაში სუბსტანტივური ბრუნვების ფუნქციებს. იგი გენტივს განიხილავს, როგორც ლოგიკურ-სემანტიკურ, ასევე სინტაქსურ და მორფოლოგიურ ჭრილში. ჰელბიგი დისტრიბუციული ანალიზის საფუძველზე გამოყოფს **56 გენტიურ მნიშვნელობას** და ანაწილებს მათ **17 ჯგუფში** (ჰელბიგი

1992:51). დასკვნის სახით კი მიუთითებს, რომ ერთ ჯგუფში გაერთიანებული მნიშვნელობები, შეიძლება სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციით წარმოჩინდეს, და, პირიქით, სხვადასხვა სინტაქსური ნიშნით მარკირებული ენობრივი ერთეულები ერთი სემანტიკური ნიშნით გაერთიანდნენ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს გენტივის, როგორც ბრუნვის განსაკუთრებულ სტატუსზე.

გენტივის პრობლემატიკას ეკვკვალენტებთან მიმართებაში იკვლევს **ვლადიმერ ადმონი** თავის ნაშრომში *Der deutsche Sprachbau*. Wladimir, Admoni, München: C.H. Beck Verlag, 1982. მისი ინტერესის საგანს წარმოადგენს **ადნომინალური გენტივი** და აღნიშნავს, რომ **ატრიბუტული გენტივის** შეცვლა სხვა ენობრივი სტრუქტურებით არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, სახეზეა მნიშვნელობებს შორის მხოლოდ ნიუანსობრივი განსხვავება. მაგალითად, **die Ordnung des Hauses, die häusliche Ordnung, die Hausordnung**. (ადმონი 1990:190).

გენტივის სინტაქსური ფუნქციების შესწავლას მიეძღვნა სერიოზული ნაშრომები, რომლებშიც განხილულია გენტივის, როგორც განსაზღვრების, ასევე დამატების და გარემოების თავისებურებები და მათი მახასიათებლები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია შემდეგი ნაშრომები: **ოლივერ ტოიბერი** 1993 Teuber, Oliver (1993). Wachstum oder Verfall der Sprache?, Braun, Peter: Tendenzen in der deutschen Gegenwartssprache: Sprachvarietäten. 3. Auflage. Stuttgart: Kohlhammer (= urban-Taschenbücher 297), **ელკე ჰენჩელი** 1994, Hentschel, Elke (1994). Entwickeln sich im Deutschen Possessiv-Adjektive? Der -s-Genitiv bei Eigennamen. In: Satz – Text – Diskurs. Akten des 27. Linguistischen Kolloquiums. Band 1. Hg. Von Susanne Beckmann und Sabine Frilling. Tübingen: Niemeyer, **ვერნერ ვინტერი** 1966, Winter, Werner (1966). Von Genitiv im heutigen Deutsch, Winter, Werner. In: Zeitschrift für deutsche Sprache 22, **ფრიც ჩირჰი** 2000. Tschirch, Fritz (2000), Gibt es zwei Genitive im Deutschen?. In: Rolf Thieroff u.a.: Deutsche Grammatik in Theorie und Praxis. Tübingen: Max Niemeyer. **გერეონ მიულერი** 2002, Müller, Gereon (2002): Syntaktisch determinierter Kasuswegfall in der deutschen NP. In: Linguistische Berichte 189. და სხვ.

რაც შეეხება უახლეს კვლევებს, გენტივის პრობლემატიკა აქტიურად განიხილება ბრუნვის კატეგორიისადმი მიძღვნილ ბოლო დროინდელ დისერტაციებსა, ენათმეცნიერულ კრებულებსა თუ სიმპოზიუმებზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული და დამუშავებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი უფრო ასაბუთებს იმ ტენდენციას, რომ თანამედროვე გერმანულ ენაში გენტივი, როგორც ნორმა, სულ უფრო მცირდება და წინდებულისანი ფრაზებით და სხვა ალტერნატიული ფორმებით არის წარმოდგენილი. კვლევის ამ მიმართულებით წარმართვისათვის მეტ საფუძველს იძლევა ისიც, რომ უახლეს გერმანულ საენათმეცნიერო სივრცეში აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია აღნიშნულ საკითხზე. კერძოდ, მკვლევართა ერთი ჯგუფი თვლის, რომ ეს არ არის ენობრივი კანონზომიერება და გენტივი, როგორც ნორმა, შეინარჩუნებს თავის თვითმყოფადობას. ამ მხრივ გამოვყოფთ შემდეგ ნაშრომებს: **ჟან-ფრანსუა მარილიერი** (Marillier, Jean-François. Pränominaler und postnominaler Genitiv. In: Valentin, Paul (Hrsg.): Rechts von N. Tübingen: Gunter Narr Verlag, 1992, 47-59.); **როჯერ ზაუტერი** (Sauter, Roger. Der Genitivschwund im verbalen Bereich. Marcel Vuillaume (Hrsg.) Die Kasus im Deutschen. Form und Inhalt. Staufenburg Verlag, 1998.); **ჰანს იაკობ ზაილერი** (Seiler, Hansjakob. Zum Problem der sprachlichen Possessivität. In: Folia Linguistica 6, 1973, 231-250.) და სხვ.

ენათმეცნიერთა მეორე ჯგუფის მოსაზრების მიხედვით (პეტერ გალმანი, ანტონ როული, ჰარალდ ვაინრიხი და სხვ.), თანამედროვე გერმანულ ენაში მორფოლოგიური და სინტაქსური მიმართებები სტაბილური ხდება, რაც განპირობებულია ორი ტენდენციით: სახელადი ლექსემების ბრუნვის ფლექსიების გაქრობით და სულ უფრო მეტად, გენტივის სხვა სემანტიკური ეკვივალენტებით შეცვლით. ამ მხრივ საყურადღებო ნაშრომებია: **პეტერ გალმანი**, Gallmann, Peter (2016): Artikelwörter und Pronomen. In: Dudenredaktion (Hrsg.) (2016): Duden. Die Grammatik. Berlin: Dudenverlag. **გალმანი, პეტერ** (2018): The Genitive Rule and its background. In: Ackermann, Tanja / Simon, Horst / Zimmer, Christian (eds.) (2018): Germanic Genitives. Amsterdam: John Benjamins (= Studies in Language Companion Series). Seiten 149–180. **ენტონი როული**, Rowley, Anthony. Ein Leben ohne Genitiv und Präteritum. In: Elvira Glaser, Peter Ottund Rudolf Schwarzenbach (Hrsg.). In: Alemannisch im Sprachvergleich. Wiesbaden: Steiner, 2004, 343–

362. **ჰარალდ ვაინრიხი** (Weinrich, Harald. 'Über Sprachnormen nachdenken?' Die Sprachnorm-Diskussion in Presse, Hörfunk und Fernsehen, Bd. 1, Stuttgart: 1980, 9-24. და სხვ..

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **გენტივის წინდებულების** საკითხი ბეჭდური მედიის ენაში. კერძოდ, წინდებულების ერთი ბრუნვიდან მეორეში გადანაცვლების პროცესი. ამ თემას მნიშვნელოვანი კვლევები მიუძღვნეს შემდეგმა მეცნიერებმა: **კლაუდიო დი მეოლა** (Di Meola, Cl. „Die Grammatikalisierung deutscher Präpositionen“. Tübingen: Stauffenburg. 2000, S.195-221.); **კლაუდიო დი მეოლა** (Di Meola, Cl. „Vom Inhalts- zum Funktionswort: Grammatikalisierungspfade deutscher Adpositionen“. In: Sprachwissenschaft 26, 2001, 59-83.); **პეტერ აიზენბერგი** (Eisenberg, P. „Syntax und Semantik der denominalen Präposition des Deutschen“. In: Weydt, Harald (Hrsg.): Die Partikeln der deutschen Sprachen. Berlin: de Gruyter, 1979, S. 518-527.); **ირმარდ ელტერი** (Elter, I. „Genitiv versus Dativ. Die Rektion der Präpositionen wegen, während, trotz, statt und dank in der aktuellen Zeitungssprache“. In: Korpuslinguistik deutsch: synchron - diachron - kontrastiv: Würzburger Kolloquium 2003, edited by Johannes Schwitalla and Werner Wegstein, Berlin, Boston: Max Niemeyer Verlag, 2012, pp. 125-136.); და სხვ.

დისერტაციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სიტყვაწარმოებას, ვინაიდან გენტივის ერთ-ერთ ალტერნატიულ ფორმას კომპოზიტები წარმოადგენენ. ბეჭდურ მედიაში მათი გამოყენების წილი საკმაოდ დიდია. კომპოზიტის, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი ფორმის ღრმად შესწავლისთვის საინტერესო კვლევები ჩაატარა მრავალმა მეცნიერმა: **ელკე დონალიესი** (Donalies, E. „Morphologie: Morpheme, Wörter, Wortbildung“. In: Ossner Jakob/Zinsmeister, Heike (Hrsg.): Sprachwissenschaft für das Lehramt. Paderborn: Schöningh, 2014, S. 157-180.); **ვოლფგანგ ფლაიშერი და ბარც ირმჰილდი** (Fleischer, W., Irmhild B. „Wortbildung der deutschen Gegenwartssprache“. Tübingen: Max Niemeyer, 2007.); **ნანა ფურჰოპი და მარტინა ვერნერი** (Fuhrhop, N. (Oldenburg) und Werner, M. (Wien). „Die Zukunft der Derivation oder: Derivation 2.0“. In: Linguistik online 77, 3/16.); **ტილმან ჰიოლე** (Höhle, T. „Über Komposition und Derivation: Zur Konstituentenstruktur von Wortbildungsprodukten im Deutschen“. Zeitschrift für Sprachwissenschaft 1(1): 1982, 76-112.); **კრისტინ კოპფი** (Kopf, K. „*Fugenelemente diachron.*

Eine Korpusuntersuchung zu Entstehung und Ausbreitung der verfügbaren N+N-Komposita“.
Berlin, Boston: De Gruyter, 2018.);

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოვიძიეთ და დავამუშავეთ მასმედიის ენის თავისებურებების შემსწავლელი სამეცნიერო ლიტერატურა. შესაბამისად, გავანალიზეთ თანამედროვე, აქტუალური კვლევები ზეპირი და წერილობითი ენების ურთიერთმიმართების შესახებ. აღნიშნული საკითხის შესწავლაც, ასევე უშუალოდაა დაკავშირებული გენტივის პრობლემატიკასთან, რადგან გენტივის, როგორც ნორმის და მისი ვარიანტების ფუნქციონირება განსხვავებულად წარმოჩინდება, როგორც ზეპირ, ასევე - წერილობით ენაში, ხოლო, მასმედიის ენა მოიცავს ორივე ენის მახასიათებლებს.

პრესის ენის თავისებურებებზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი იყო შემდეგ მეცნიერთა კვლევები: ჰაინც-ჰელმუტ ლიუგერი (Lüger, Heinz-Helmut: „Pressesprache“.
2., neu bearbeitete Auflage. In: Germanistische Arbeitshefte; 28. Tübingen: Niemeyer Verlag, 1995.); ალექსანდრა პაულფრანცი (Paulfranz, A. „Kasusmarkierungen der Gegenwartssprache in deutschen Lokal-und Regionaltageszeitungen“. In: Schriften aus der Fakultät Geistes- und Kulturwissenschaften der Otto-Friedrich-Universität Bamberg, B.13. UNIVERSITY OF BAMBERG PRESS, 2013.); ლეონარდ პონი (Pon, L. „Nominalphrase in der deutschen Pressesprache von heute“. Doktorarbeit. Mentor: prof. dr. sc. Velimir Petrović Osijek, 2011.); ულრიხ შმიტცი (Schmitz, U. „Sprache in modernen Medien. Einführung in Tatsachen und Theorien, Themen und Thesen“. Berlin: Erich Schmidt, 2004. და სხვ.);

ზემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო შრომების ანალიზი ნათელს ხდის, რომ ინტერესი გენტივისა და მისი სემანტიკური ეკვივალენტების ირგვლივ ძალიან დიდია, მიუხედავად ამისა არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული როგორც ზოგადად ლინგვისტიკაში, ასევე პრესის ენაში. კერძოდ,

ა) მიუხედავად მცდელობისა, დღემდე არ არსებობს გენტივის სემანტიკური ვარიანტების სრულყოფილი და ამომწურავი კლასიფიკაცია.

ბ) საენათმეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება გენტივის სემანტიკური ვარიანტების ფუნდამენტური აღწერა-დახასიათება, მათი შედარებითი, გამოყენების სიხშირის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი.

გ) არ არის შესწავლილი გენეტიკის სემანტიკური ეკვივალენტების პრობლემატიკა თანამედროვე გერმანული ბეჭდური მედიის ენაში, მასმედიის ენა კი, სხვა ფუნქციურ ენებთან ერთად (იურიდიული, ეკონომიკური), წარმოადგენს გენეტიური სტრუქტურების ყველაზე გავრცელებულ არეალს.

დ) არ არის გამოკვლეული გენეტიკის და მისი სემანტიკური ეკვივალენტების პრობლემატიკა **ზეპირი და წერილობითი** ენების ჭრილში, ხოლო ბეჭდური მედიის ენა ეყრდნობა ორივე ენის კანონზომიერებებს.

წარმოდგენილი საკითხების სიღრმისეულად განხილვა და შესწავლა განაპირობებს სადისერტაციო თემის **სიახლეს**. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი აღნიშნულ პრობლემათა მოგვარების ცდად გვესახება.

აღვნიშნავთ წარმოდგენილი კვლევის **მეცნიერული სიახლის** შემდეგ პრინციპულ მომენტებს:

ა) სადისერტაციო ნაშრომში პირველად ვახდენთ გენეტიკის **სემანტიკური ვარიანტების** (აპოზიცია, განსაზღვრებითი ზედსართავი სახელი, წინდებულიანი ფორმები, კომპოზიტები) **ფუნდამენტურ კლასიფიკაციას** ბეჭდური მედიის ენაში იმის განსაზღვრით, თუ, ალტერნატიული ფორმებიდან რომელი უფრო მეტად უახლოვდება მნიშვნელობით და ფუნქციით გენეტიკს და აქვთ თუ არა მათ პოტენციალი იმისა, რომ მთლიანად განდევნონ გენეტივი ენის სისტემიდან.

ბ) სიახლეა გენეტიური ეკვივალენტების (აპოზიცია, განსაზღვრებითი ზედსართავი სახელი, წინდებულიანი ფორმები, კომპოზიტები) **კორპუსული კვლევა პრესის ენის კონკრეტულ ჟანრებში**, ესენია **კომენტარი, რეპორტაჟი, ინტერვიუ**.

გ) ინოვაციაა საგაზეთო ტექსტებში გენეტიური ვარიანტების **რაოდენობრივი და ხარისხობრივი** მაჩვენებლების კვლევა, შესაბამისი ანალიზითა და დასკვნებით.

დ) სიახლეს წარმოადგენს **ონლაინ-კორპუსით განპირობებული კვლევის მეთოდოლოგია** და ემპირიულ მასალაზე წვდომა კორპუსის ძიების, მართვის და ანალიზის სისტემის - Cosmas II-ის გამოყენებით.

ე) ინოვაციაა ქართულ ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში **გენეტიური ბრუნვის, როგორც ნორმის** ფუნდამენტური აღწერა და მისი სამეცნიერო ჭრილში წარმოდგენა, გენეტიური ვარიანტების შესაბამის ენობრივ დონეებზე სისტემური, გამოყენებითი და

ფუნქციონირების თავისებურებების აღწერა და ანალიზი, რასაც განვამტკიცებთ გერმანული გაზეთებიდან (Süddeutsche Zeitung, Spiegel, Zeit, Frankfurter Allgemeine Zeitung) მოპოვებული მაგალითებით.

ნაშრომის მიზანია, გენტივის მნიშვნელობების სემანტიკური ეკვივალენტებით ჩანაცვლების პრობლემატიკის შესწავლა და მისი (= ჩანაცვლება) როგორც თანამედროვე გერმანულ ენაში მიმდინარე უწყვეტი პროცესისა და ტენდენციის წარმოდგენა ბეჭდური მედიის ტექსტებზე დაყრდნობით.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დავისახეთ კონკრეტული ამოცანები:

1. წარმოდგენილი კვლევის საწარმოებელი **კონცეპტუალური აპარატის შემუშავება**.

2. თანამედროვე გერმანულ ენაში გენტივის ფუნქციებთან დაკავშირებული **საკამათო საკითხების განხილვა**.

3. თანამედროვე გერმანულ ენაში მიმდინარე ტენდენციის, კერძოდ, **დატივის გენტივთან** მიმართებით არსებული პრიორიტეტების წარმოდგენა და მისი, როგორც ენობრივი კანონზომიერების შესწავლა.

4. გენტივის **ზეპირი და წერილობითი ენების** კანონზომიერებების ჭრილში განხილვა.

5. გენტივის ფორმების **სემანტიკური ვარიანტების გამოკვლევა** პრესის ენაში: აპოზიცია, განსაზღვრებითი ზედსართავი სახელი, წინდებულიანი ფორმები და კომპოზიტები.

6. გერმანულ სივრცეში აქტუალურ გაზეთებზე დაყრდნობით **ტექსტა კორპუსის** (კომენტარი, რეპორტაჟი, ინტერვიუ) შედგენა.

7. ემპირიული მასალის საფუძველზე, გენტივის მნიშვნელობების **სემანტიკური ეკვივალენტების რაობის** გამოკვლევა.

8. ბეჭდური მედიის ენაში გენტივის სემანტიკური ვარიანტებით **შეცვლის სიხშირის** გაანალიზება და მიმდინარე პროცესის, როგორც თანამედროვე გერმანული ენის კანონზომიერების წარმოდგენა.

კვლევის საგანი და ობიექტია გენტივის მნიშვნელობები და ფუნქციები, გენტივის სემანტიკური ეკვივალენტები და მათი ფუნქციები შემდეგ ჟურნალისტურ

ჟანრებში - კომენტარი, რეპორტაჟი და ინტერვიუ. ემპირიულ მასალას წარმოადგენს ისეთი ცნობილი გერმანული გაზეთები, როგორცაა **Spiegel, Frankfurter Allgemeine Zeitung, Süddeutsche Zeitung, Zeit.**

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ მოვიძიეთ და გავაანალიზეთ გაზეთების საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ონლაინ ვერსიები და შევადგინეთ ციფრულ ტექსტთა კორპუსი.

სადისერტაციო ნაშრომის **თეორიულ ღირებულებას** განსაზღვრავს, თანამედროვე გერმანულ ბეჭდური მედიის ენაში გენტივის და მისი სემანტიკური ვარიანტების ურთიერთკავშირის და ურთიერთჩანაცვლების პრობლემატიკის სინქრონიულ და, ნაწილობრივ, დიაქრონიულ ჭრილში შესწავლა.

რაც შეეხება **პრაქტიკულ ღირებულებას**, კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს გერმანისტიკის სპეციალობაზე თეორიული გრამატიკის და დისკურსის ანალიზის კურსების შესწავლისას, ასევე, თარგმანმცოდნეობის სპეციალობის სხვადასხვა სპეცკურსსა და სასემინარო მუშაობის ფარგლებში. ჩატარებული კვლევა საინტერესო იქნება ენათმეცნიერების, ლექსიკოგრაფების და გერმანული ენით დაინტერესებული სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის.

ძირითად საკვლევ საკითხებად მივიჩნიეთ:

1. საკითხის კვლევის ისტორია, მის შესახებ არსებული ტრადიციული და უახლესი თვალსაზრისები, საკამათო საკითხები, თეორიული დებულებანი.
2. გენტივის პრობლემატიკის შემდეგი საკითხების გამოკვლევა ბეჭდური მედიის ენაში:
 - ა) გენტივის მორფო-სინტაქსური ფუნქციები.
 - ბ) გენტივის სემანტიკურ-პრაგმატული ასპექტები.
 - გ) დატივი გენტივის წინააღმდეგ.
 - დ) სუბიექტური და ობიექტური გენტივის პრობლემატიკა.
 - ე) გენტივი როგორც განსაზღვრება.
 - ვ) გენტივი როგორც ზმნის შემავსებელი წევრი.
 - ზ) გენტივის სემანტიკური ეკვივალენტების ფუნქციები და მათი კლასიფიკაცია.

3. ბექდური მედიის ტექსტთა კორპუსის საფუძველზე სემანტიკური ეკვივალენტების დადგენა.

4. გენტივის სემანტიკური ვარიანტებით ჩანაცვლების ანალიზი და სტატისტიკა ბექდური მედიის ენაში.

გამოყენებული მეთოდები. დასახული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ შესაბამისი მეთოდოლოგია **სინქრონული და აღწერთი მეთოდი**, მაგრამ ასევე **დიაქრონული მეთოდიც**. ემპირიულ მასალაზე მუშაობისას გამოვიყენეთ **სტატისტიკური მეთოდი და შედარებითი ანალიზის მეთოდი**. ყოველივე ამის საფუძველზე, ჩავატარეთ გენტივის და მისი სემანტიკური ეკვივალენტების კომპლექსური და შედარებითი ანალიზი თანამედროვე გერმანული ბექდური მედიის ენაში.

კორპუსთან მუშაობის მეთოდად ავირჩიეთ **კორპუსით განპირობებული კვლევის მეთოდი**. კერძოდ, კორპუსი ონლაინ სივრცეში არსებული, ღიად ხელმისაწვდომი გაზეთების ციფრული ვერსიებით. ამ მეთოდის მეშვეობით ვაწარმოეთ კორპუსზე დაკვირვება, აღწერა და შემდგომი ინტერპრეტაცია. შესაბამისად, მოვახდინეთ თეორიული მოსაზრებების გენერირება და შემდეგ მისი ვერიფიცირება.

თეორიული მასალის და ჰიპოთეზების საილუსტრაციოდ გამოვიყენეთ მაგალითები, რომლებიც მოვიძიეთ უახლესი პერიოდის (2015-2019) გამოცემებში.

კვლევის ზემოთ აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომის „გენტიური სტრუქტურები როგორც ნორმა და მათი ვარიანტები თანამედროვე გერმანული ბექდური მედიის ენაში“ სტრუქტურა შემდეგნაირად განისაზღვრა:

შესავალი

თავი 1. გენტივი როგორც ნორმა. გენტივის რაობა და პრობლემური საკითხები

1.1. ნორმის განსაზღვრება

1.2. გენტივი დიაქრონიულ ჭრილში

1.3. გენტივის როლი პოსესიურობის გამოხატვის ასპექტში

1.4. დატივის და გენტივის ურთიერთმიმართება

1.5. გენტივი გამოყენებით პლანში

1.6. გენტივი როგორც სტილისტური საშუალება

თავი 2. გენტივის პრობლემატიკა სინქრონიულ ჭრილში

2.1. გენტივის ზოგადი განხილვა. მორფოლოგიური ანალიზი

2.2. გენტიური ფლექსიის საკითხისათვის

2.3. გენტივის სემანტიკური მახასიათებლები

2.4. გენტივი ნომინალურ ფრაზაში

2.5. გენტივი სინტაქსურ ჭრილში

თავი 3. გენტივის ალტერნატიული ფორმები და მათი ენობრივ-

სტილისტიკური მახასიათებლები ბეჭდური მედიის ტექსტებში

3.1. აპოზიცია

3.2. კომპოზიტი

3.3. ზედსართაული განსაზღვრება

3.4. წინდებულიანი ფრაზა და გენტივის წინდებულები

3.4.1. von წინდებულიანი ფრაზა

3.4.2. von წინდებულიანი ფრაზა და გენტივის წინდებულები

თავი 4. გენტივის ეკვივალენტების ანალიზი და კლასიფიკაცია საგაზეთო-

საჟურნალო ჟანრის ტექსტებში

4.1. მასმედიის ენის თავისებურებები. ზეპირი და წერილობითი ენები

4.2. ჟურნალისტური ჟანრები და გენტიური ვარიანტები

4.2.1. საგაზეთო კომენტარი

4.2.2. რეპორტაჟი

4.2.3. ინტერვიუ

4.3. გენტივის ეკვივალენტების გამოყენების სიხშირე და ანალიზი

დასკვნა

ნაშრომის შესავალში ვასაბუთებთ საკვლევი თემის აქტუალობას და სამეცნიერო სიახლეს, განვსაზღვრავთ კვლევის მიზნებს და ამოცანებს, ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, საკითხის შესწავლის მეთოდოლოგიას და კვლევის ძირითად პრინციპებს, საკითხის კვლევის ისტორიას.

პირველი თავი დაყოფილია ექვს ქვეთავად. აქვე წარმოდგენილია ისეთი საკითხები, როგორცაა უახლესი კვლევების მიხედვით გენეტიკა, როგორც ნორმა, გენეტიკური მნიშვნელობების კლასიფიკაცია, გენეტიკის მორფო-სინტაქსური და სემანტიკურ-პრაგმატული ფუნქციები, სუბიექტური და ობიექტური გენეტიკის პრობლემატიკა, გენეტიკის და დატივის ურთიერთმიმართება, გენეტიკი ზეპირ და წერილობით ენებში.

რაც შეეხება ნორმის რაობას, აღნიშნული საკითხის ღრმად შესწავლის მიზნით, მიმოვიხილეთ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევები. ბოლო საუკუნეების მრავალრიცხოვან ლინგვისტურ კვლევებში მოხდა ენობრივი და სოციალური ნორმების საყოველთაო ჩარჩოში მოქცევა. წარმოდგენილ თავში გავაანალიზებთ სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებები. მართალია, ისინი განსხვავდებიან, თუმცა საინტერესოა მათი გადაკვეთის წერტილი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გენეტიკის, როგორც ნორმატიულ ბრუნვად ჩამოყალიბების დინამიკის მიმოხილვა ისტორიულ პლანში, კერძოდ, ენობრივ ცვლილებებში სხვადასხვა ტენდენციების მიმოხილვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გენეტიკის როლი პოსესიურობის გამოხატვის ასპექტში. დისერტაციაში ამ საკითხთან მიმართებით წარმოვადგინეთ სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებები. ნაშრომში გაანალიზებულია პოსესიური კონსტრუქციების მორფოლოგიური თუ სინტაქსური სტატუსი.

მეოთხე ქვეთავში განხილულია დატივისა და გენეტიკის ურთიერთმიმართება. თანამედროვე გერმანულ ენაში, კერძოდ, ბოლო დროის აქტუალური ტენდენცია, დატივის მიერ გენეტიკის შვეიწროებისა.

მეხუთე ქვეთავში გენეტიკი წარმოდგენილია გამოყენებით ჭრილში. შესაბამისად, აღნიშნულია ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც გერმანული ენის შემსწავლელი დგება. ხოლო, მეექვსე ქვეთავი ეთმობა გენეტიკის, როგორც სტილისტური საშუალების გამოყენებას.

მეორე თავი მოიცავს ხუთ ქვეთავს. აქვე მიმოვიხილავთ გენეტიკის პრობლემატიკას სინქრონიულ ჭრილში ჩვენს მიერ მოძიებული მაგალითების ილუსტრირებით.

პირველ ქვეთავში ვახდენთ გენეტიკის ზოგად აღწერას, მის მორფოლოგიურ ანალიზს. ასევე, გენეტიური მნიშვნელობების კლასიფიკაციას.

მეორე ქვეთავში წარმოვადგენთ ფლექსიის საკითხს და გენეტიკის ბრუნვას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება წინადადების კონკრეტულ წევრებს შორის კავშირის დადგენა.

მესამე ქვეთავი ეთმობა გენეტიკის სემანტიკური მახასიათებლების მიმოხილვას, გავანალიზებთ გენეტიკის მრავალფეროვან სემანტიკურ-პრაგმატულ ფუნქციებს და მათ გამოყენებას ფუნქციებს თანამედროვე გერმანულ ბეჭდურ მედიაში.

მეოთხე ქვეთავში საუბარია ნომინალურ ფრაზაზე. გენეტიკთან მიმართებაში საყურადღებოა ის მოსაზრება, რომ ზოგიერთი კვლევის თანახმად მე-19 ს.-ის ვერბალური სტილი მე-20 ს.-ის ნომინალურმა სტილმა ჩაანაცვლა.

მეხუთე ქვეთავში განვიხილავთ გენეტიკის სინტაქსურ ფუნქციებს, აღვწერთ მათ ნომინალურ ფრაზაში, ვანალიზებთ von წინდებულიან ფრაზას, როგორც გენეტიკის წინდებულების შემავსებელს და მიმოვიხილავთ გენეტიკის წინდებულების არსს და რაობას. აქვე განვიხილავთ ე.წ. „გენეტიურ ზმნებს“.

მესამე თავში ვრცლად წარმოვადგენთ და ბეჭდური მედიის ტექსტების ილუსტრირებით ვანალიზებთ გენეტიკის ყველა სემანტიკურ ეკვივალენტს: აპოზიციას, განსაზღვრებით ზედსართავ სახელს, წინდებულიან ფორმებს, კომპოზიტებს.

პირველ ქვეთავში განხილულია **აპოზიცია**, როგორც გენეტიური სტრუქტურის ერთ-ერთი ეკვივალენტი. მართალია, აპოზიცია არის ატრიბუტის განსაკუთრებული ფორმა, თუმცა ეკვივალენტის ფუნქციით იგი ძალიან მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ჩვენ მიერ შედგენილ კორპუსში.

მეორე ქვეთავი ეთმობა **კომპოზიტს**. იგი ყველაზე ჭარბი რაოდენობით გვხვდება ბეჭდური მედიის, ენაში როგორც გენეტიური სტრუქტურის ერთ-ერთი სემანტიკური ეკვივალენტი. ქვეთავის ბოლოს ვახდენთ კომპოზიტთან დაკავშირებულ განსაკუთრებული შემთხვევების ილუსტრაციას.

მესამე ქვეთავში მიმოვიხილავთ **ზედსართავულ განსაზღვრებას**, როგორც გენეტიური სტრუქტურის მორიგ ეკვივალენტს.

მეოთხე ქვეთავში საუბარია წინდებულის ფრაზაზე ზოგადად, გენიტივის წინდებულებზე და ბრუნვის ცვლაზე. აქვე განვიხილავთ წინდებულებს და წინდებულის მნიშვნელობის მქონე შესიტყვებებს, რომლებიც მოძიებულია ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეულ ტექსტებში, როგორც ჟურნალიდან ასევე გაზეთებიდან. ამავე ქვეთავში ასევე ვიკვლევთ von-წინდებულის ფრაზას, როგორც გენიტიური სტრუქტურის შემცვლელ ფორმას. ასევე წარმოდგენილია გენიტივის წინდებულები, რომელთანაც von წინდებული აქტიურად გამოიყენება.

მეოთხე თავში მოკლედ მიმოვიხილავთ მასმედიის ენის თავისებურებებს და ჟურნალისტურ ჟანრებს (კომენტარი, რეპორტაჟი, ინტერვიუ). Tav

ვრცლად განვიხილავთ გენიტივის მნიშვნელობების ჩანაცვლების განსაკუთრებულ შემთხვევებს. აღნიშნული მოვლენების ილუსტრირება ხდება დისერტაციაში წარმოდგენილ უახლეს ტექსტთა კორპუსის საფუძველზე. შესაბამისად, ვაანალიზებთ და ვადგენთ აღნიშნულ ტექსტებში გენიტივის სემანტიკური ეკვივალენტების გამოყენების სიხშირეს და სტატისტიკას. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილების სახით.

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი დებულებები წარმოდგენილი იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით ჩატარებულ კოლოკვიუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე.

თავი პირველი. გენიტივი როგორც ნორმა. გენიტივის რაობა და პრობლემური საკითხები.

1.1. ნორმის განსაზღვრა თანამედროვე ენათმეცნიერებაში. მიუხედავად იმისა, რომ ნორმის შესწავლას დიდი ტრადიცია გააჩნია, იგი დღესაც აქტუალური კვლევის საგანია. ნორმასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას იკვლევდნენ გრამატიკოსები, ლექსიკოლოგები და სხვ., რადგან ენობრივი ნორმის ფენომენი თანაბრად მნიშვნელოვანია ენის სისტემის ყველა დონისა და ენის გამოყენების ყველა ასპექტისათვის.

ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, გამოხატვის მდიდარ შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, წარმატებული ენობრივი კომუნიკაციისათვის აუცილებელია, მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებებიდან შეირჩეს სამეტყველო სიტუაციისთვის შესაბამისი ვარიანტი. რუდი კელერის აზრით, კომუნიკაციის დროს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია არა შეტყობინების გადაცემა, არამედ, თუ რა გავლენა უნდა მოახდინოს მან თანამოსაუბრეზე:

“Sprache hat viele Zwecke, und wenn man einen exponieren will, so ist es der der Beeinflussung, in deren Dienst die Verständigung steht” (კელერი 1994:132).

აქედან გამომდინარე, გამონათქვამი მაშინ არის კორექტული, თუ ის მორგებულია როგორც კომუნიკაციის სიტუაციაზე, ასევე თანამოსაუბრეზე.

ენობრივი ნორმის ამოცანაც ის არის, რომ წარმატებული გახადოს კომუნიკაცია. ამ თვალსაზრისით, ყოველი ენობრივი აქტი ნორმატიულ პროცესს წარმოადგენს. ამასთან, ენობრივი ნორმის ფორმირებასა და მის დადგენაში გარე ფაქტორებიც მოქმედებენ. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ენის ნორმის, როგორც კომპლექსური ფენომენის ენობრივ, და ასევე სოციალურ ბუნებას.

ენის ნორმისა და ნორმირების პრობლემა ყოველთვის დიდ ყურადღებას იპყრობდა.

დიტრიხ ბუსეს მიხედვით, ენობრივი ნორმის, ენის გამოყენების და ენის სტილის საკითხები, ყოველთვის არის და იქნება ლინგვისტიკის პრობლემა, რადგან ისინი ენის სისტემის სხვადასხვა შრეებს მოიცავენ:

„Das Verhältnis von Sprache (d.h. den sprachlichen Regeln im engeren und elementaren Sinne), Sprachnorm, Sprachgebrauch und Sprachstil ist prekär nicht deswegen, weil es für die Benutzer der Sprache zu einem Problem wird (auch wenn dies gelegentlich - v.a. bei stark normorientierten Individuen - der Fall sein kann), sondern weil es für die Linguistik ein Problem darstellt oder darstellen kann. Ein Problem vor allem deswegen, weil es unterschiedliche Ebenen der sprachwissenschaftlichen Theoriebildung berührt und zusammenbringt, die üblicherweise in der Linguistik gerne strikt auseinandergelassen werden.“ (ბუსე 1997: 63)

ბოლო საუკუნეების მრავალრიცხოვან ლინგვისტურ კვლევებში მოხდა ენობრივი ნორმების და სოციალური ნორმების საყოველთაო ჩარჩოში მოქცევა.

კლაუს გლოის აზრით, ეს ფაქტი გამოხატავს სტრუქტურალისტური პოზიციების სივიწროვის დაძლევას, რაც გამოიხატებოდა ენის სოციალური განზომილების უგულვებელყოფაში. (გლოი 1975: 10)

ენის ნორმის სწორედ სოციოლინგვისტურად ორიენტირებული შეხედულება ჩანს **ვოლფდიტრიხ ჰართუნგის** ციტატაში. აქვე აღნიშნულია, რომ ინდივიდი დამოკიდებულია ზოგად, კოლექტიურ ჩარჩოებზე და მისი დარღვევა შეუძლებელია:

„In einem hinreichend allgemeinen Sinn können wir soziale Normen – und die Normen der sprachlich-kommunikativen Tätigkeit sind ein spezieller Fall sozialer Normen – als ‘gedankliche Festsetzungen’ verstehen, die sich auf menschliche Handlungen beziehen und kollektive Verbindlichkeit besitzen, die vom Handelnden also eine bestimmte, wiederkehrende Art des Handelns fordern und so auf eine Regulation sozialen Verhaltens hinzielen. [...] Mit kollektiver Verbindlichkeit ist auf dieser allgemeinen Ebene gemeint, daß die gedanklichen Festsetzungen [...] vom Individuum nicht willkürlich hervorgebracht werden, sondern als – individuelle und kollektiv vermittelte – Widerspiegelung gerade jener Tätigkeitsmerkmale, die den kollektiven Vollzug einer Tätigkeit ermöglichen oder zumindest charakterisieren. Das Individuum ist so gezwungen, sich mehr oder weniger genau an solche Festsetzungen zu halten, wenn nicht die kollektive Vollziehbarkeit in Gefahr gebracht werden soll“ (ჰართუნგი 1977: 11-12).

კლავს გლოის მოსაზრებით, ენობრივი ნორმა არის სოციალური ნორმების კრებული, რომელიც ადგენს და განსაზღვრავს სამეტყველო სიტუაციას:

„Unter ‘Sprachnormen’ verstehe ich jene Teilmenge sozialer Normen [...], die durch Werturteile, Aufforderungen und (geäußerte) normative Erwartungen den Umfang der zulässigen sprachlichen Mittel, und – in Abhängigkeit von Faktoren der ‘Situation’ sprachlichen Handels – eine spezifische Auswahl dieser Mittel bestimmen, vorschreiben oder auch nur empfehlen. ‘Sprachnormen’ sind also nicht etwa sprachlich fixierte Normen überhaupt, d. h. Normformulierungen, sondern soziale Normen, die – gleichgültig, ob formuliert oder nicht formuliert – den Umfang, die Auswahl, den spezifischen Gebrauch von Sprachmitteln in irgendeiner Hinsicht als verbindlich festlegen“ (გლოი 1975: 61).

დიტერ ნერიუსი კი ენის ნორმებს აღწერს როგორც ენობრივი აქტის აზრობრივ დებულებებს. (ნერიუსი 1980)

ყველა ამ განმარტებას ბევრი რამ აქვს საერთო. კერძოდ, ენის ნორმა მოიცავს ენობრივ სისტემას, რომელიც ადამიანების ქმედებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ყველა ქმედება ვერ აღიქმება როგორც ნორმა, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებსაც საზოგადოებისთვის მისაღებია.

ნორმა, როგორც შეგნებული ენობრივი დაგეგმვის რეალური შედეგი, გულისხმობს ენის როგორც გრამატიკულ, ისე ლექსიკოლოგიურ, სტილისტიკურ, ფონეტიკურ-ორთოგრაფიულ დონეს, ენის მთელ საკომუნიკაციო გამოვლენას, დაწყებული ლექსიკით და დამთავრებული ინტონაცია-მოდალობით.

ქრისტიან ლემანის მიხედვით, ნორმა არის პროპოზიციათა ერთობლიობა, რომელიც ასევე, სოციალური ნიშნით განისაზღვრება: „Eine **Norm** ist eine Menge von Propositionen, die für eine bestimmte Domäne menschlichen Handelns in einer Gesellschaft einen Sollzustand definiert, d.i. eine Ausprägung des Handelns, welche der Handelnde anzustreben hat, soweit keine höherwertigen Prinzipien dem entgegenstehen. Für den Begriff der Norm ist es gleichgültig, ob diese Menge von Propositionen explizit formuliert ist oder als implizite Konvention in einer sozialen Gemeinschaft gilt“.

საინტერესო და განსხვავებულია ქ. ლემანის მოსაზრება ნორმის შესახებ იმ მხრივ, რომ ნორმა განისაზღვრება სოციალურად და დროითი ფაქტორით, და იგი ღირებულებათა სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს:

„Eine Norm hat einen sozialen und zeitlichen **Geltungsbereich**; sie ist gebunden an eine menschliche Gemeinschaft. Es gibt Normen auf allen Ebenen von der Familie bis hinauf zu internationalen Organisationen.

Der Ausdruck ‘höherwertiges Prinzip’, der in der Definition auftritt, verweist darauf, daß eine Norm nicht absolut gilt, sondern Bestandteil eines **Wertesystems** ist. Ob in einem bestimmten Bereich überhaupt eine Norm bestehen sollte, welche Ausprägungen sie genau umfassen sollte und unter welchen Bedingungen sie einzuhalten ist bzw. von ihr abgewichen werden kann, das alles sind Fragen, die die Norm selbst nicht beantwortet, sondern die nur im Rahmen des übergeordneten Wertesystems beantwortet werden können“.

ბოჰუსლავ ჰავრანეკი განასხვავებს ნორმისადმი ორგვარ მიდგომას, **დესკრიპციულს** - ენათმეცნიერულს და **პრესკრიპციულს** - გრამატიკულს. ასევე, საინტერესოა მასთან ნორმის დეფინიცია წერილობით და ზეპირ ენებთან მიმართებით. თუ წერილობით ენას, ზეპირთან შედარებით მეტად ესაჭიროება პრესკრიპციული ნორმირება, განსაკუთრებით ეს ეხება სამეცნიერო ენას, რომელიც ნორმატიულად სრულყოფილი უნდა იყოს, მაგრამ არა საყოველთაოდ გასაგები, ზეპირი ენა, ნორმირების თვალსაზრისით, ნაკლებად კორექტულად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი (ჰავრანეკი 1976: 144).

ნორმის ენობრივი ფორმირება, პირველ რიგში, ემსახურება სალიტერატურო ენის კორექტულად გამოყენებას. სალიტერატურო ენისადმი ნორმატიული მიდგომა მიზნად ისახავს, მიღწეულ იქნეს სალიტერატურო ენის სტაბილიზაცია და მონოლითურობა, მოხდეს ნორმათა უნიფიკაცია ისე, რომ, ერთი მხრივ, ხელი არ შეეშალოს ენის საყოველთაო ფუნქციონირებას, ხოლო, მეორე მხრივ, არ დაბრკოლდეს ცოცხალი სალიტერატურო ენის განვითარება, რათა საგრძნობლად არ გაიზარდოს განსხვავება ზეპირ-სამეტყველო და მწიგნობრულ ენებს შორის. ნორმალიზაციის ობიექტური საფუძველია აგრეთვე, ნორმატიული ვარიანტულობის შენარჩუნება. ნორმა განისაზღვრება არა მხოლოდ მაშინ, როცა ფორმათა ვარიანტულობა იჩენს თავს,

არამედ ყველა შემთხვევაში, როცა კი ორთოგრაფიული სირთულეებია მოსალოდნელი.

სალიტერატურო ენა ნორმირებული სისტემაა, წინასწარ შემუშავებულ წესებსა და კანონებზე დამყარებული ენაა. იგი არ თანხვდება არც ერთ დიალექტს, არამედ არის ზედიალექტური მოვლენა. თუმცა, მჭიდრო კავშირი აქვს როგორც დიალექტებთან, ისე ცოცხალ მეტყველებასთან. დიალექტები წარმოადგენს მასაზრდოებელ, გამამდიდრებელ წყაროს სალიტერატურო ენისათვის. ცოცხალი მეტყველებაც დიდ ზეგავლენას ახდენს მასზე. ენის განვითარების ბუნებრივი პროცესი ცოცხალ მეტყველებაში აისახება. ენაში მომხდარი ცვლილებები ჯერ ცოცხალ მეტყველებაში იჩენს თავს, შემდეგ შეიძლება იქცეს ნორმად და დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში.

გერმანულ სალიტერატურო ენას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. წყაროების მიხედვით, თანდათან ყალიბდებოდა გააზრებული მიდგომა სალიტერატურო ენის ნორმირებისადმი, თუმცა, ერთიანი ნორმების მიღება და დანერგვა ყოველთვის არ ხდებოდა.

თანამედროვე გერმანული სალიტერატურო ენის ნორმები უკვე დიდი ხანია დადგენილია. მიუხედავად ამისა, ენის განვითარების ცოცხალი პროცესი ხშირად „ეწინააღმდეგება“ დაკანონებულს. იქმნება წინააღმდეგობა ნორმასა და მეტყველებას შორის, თავს იჩენს შეცდომები.

ინდივიდი, რომელიც ცდილობს საკუთარი ენობრივი სისტემა დაამთხვიოს ენობრივ იდეალს (სალიტერატურო ენას), არჩევანის წინაშე დგება. იგი ვალდებულია დაიცვას სალიტერატურო ენის ნორმა. ის კი, რომელიც ანგარიშს არ უწევს სალიტერატურო ენის ნორმას, არ დგება არჩევანის წინაშე, თავისუფლად, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე წარმოთქვამს არასწორ ფორმებს. მსგავსი ფაქტები დამაფიქრებელია. შესაძლოა, სწორედ აქ იკვეთება ენობრივ ერთეულთა დამკვიდრების, ნორმად ქცევის ტენდენცია.

საინტერესოა თანამედროვე გერმანულ ენაში მიმდინარე ფორმათწარმოებისა და გარკვეულ ფორმათა დამკვიდრების პროცესი. დღეს, წინააღმდეგობა შეიმჩნევა არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის, არამედ

თვით ნორმებშიც. ამის შედეგია ნორმათა დარღვევის შემთხვევები, ენობრივ ფორმათა ვარიანტები.

გენიტივით გამოხატულ მნიშვნელობებს, როგორც ნორმას, ასევე ნორმიდან გადახვევას, ფუნდამენტური ნაშრომები მიუძღვნა **გიზელა ციფონუნმა**. იგი აღნიშნავს, რომ მხოლოდ გენიტივი და დატივი ინარჩუნებენ ფლექსიას, ხოლო სხვა ბრუნვებს ეს ნიშანი უკვე დაკარგული აქვთ:

„Der Genitiv Singular ist neben dem Dativ Plural der einzige Kasus des Deutschen, der in bestimmten Flexionsklassen noch eindeutig am Substantiv erkennbar ist: Maskulina und Neutra wie Vater und Kind weisen im Genitiv Singular ein -(e)s auf, während alle anderen Kasus im Singular endungslos sind oder dies zumindest sein können (vgl. Dativ Kind(e)). Nicht nur in der Substantivmorphologie, sondern auch in der Morphosyntax der Nominalgruppe tanzt der Genitiv aus der Reihe, Es gilt: (1) Dass eine Nominalgruppe im Genitiv steht, muss an den morphologischen Markern eindeutig erkennbar sein“ (ციფონუნი 2003).

გ. ციფონუნი, ასევე განიხილავს კუთვნილებით ნაცვალსახელებს და აღნიშნავს, რომ ეს ფორმები გენიტივში, როგორც ნორმა, სულ უფრო ექვემდებარება ცვლილებებს და თითქმის გაქრობის პირასაა: „Als pränukelearer Genitiv gehört dessen/deren zu einer grammatischen Spezies, die im Deutschen insgesamt vom Aussterben bedroht ist. Bei den Substantiven bzw. Substantivphrasen werden in normalem, also weder ironisierendem noch altertümelndem Sprachgebrauch, nur die Genitive von Eigennamen, vorwiegend Personennamen, in der Gegenwartssprache noch pränukelear gesetzt. Dabei hat der pränukeleare Gebrauch durchaus seine Tücken. Auch der von dessen/deren“ (ციფონუნი 2003).

1.2. გენიტივი დიაქრონიულ ჭრილში. განსაკუთრებით საინტერესოა გენიტივის, როგორც ნორმატიულ ბრუნვად ჩამოყალიბების დინამიკა ისტორიულ პლანში და გენიტივით გამოხატული მნიშვნელობების ნორმად ფორმირება და განვითარება. შესაბამისად, გენიტივის, როგორც ნორმის და მისი ეკვივალენტების კვლევისას, აქტუალურია ზოგიერთი ასპექტის განხილვა დიაქრონიულ ჭრილში.

ენის ისტორიის თანახმად, გერმანულში არსებობს ბრუნვით გამოხატული მიმართებების ორი საშუალება: ფლექსიით და წინდებულიანი სტრუქტურით, რაც

ემყარება არსებითი სახელისა და მასზე დამოკიდებული სიტყვის ურთიერთქმედებას. არსებობს ამ საშუალებებს შორის გარკვეული განსხვავება: წინდებულიანი სტრუქტურით შესაძლებელია ცალკეული, ინდივიდუალური რელაციების გამოხატვა, ხოლო ბრუნვებით წარმოჩინდება ზოგადი, არსებითი მიმართებები, რომლებიც განზოგადოებებს ექვემდებარებიან. განსაკუთრებით საინტერესოა ეს მოვლენა გენტივთან და მის სემანტიკასთან მიმართებაში, რადგან გენტივის მთავარი მნიშვნელობა - პოსესიურობა, როგორც თვით ბრუნვით, ასევე წინდებულიანი ფრაზითაც გამოიხატება, მაგრამ გარკვეული შინაარსობრივი მახასიათებლებით.

აღსანიშნავია, რომ დიაქრონიულად, ენობრივ ცვლილებებში შეინიშნება ტენდენცია მარკირებების უფლებელყოფისა, რაც ზოგჯერ ენობრივი ეკონომიის პრინციპებით განისაზღვრება. ეს მოვლენა ხშირად თვით პროდუცენტის მიზნებითაა განპირობებული. ვოლფგანგ ვურცელის მიხედვით, კომუნიკანტი თვითონ ანიჭებს უპირატესობას მარკირებულ (ფლექსიურ) და არამარკირებულ ფორმებს:

„*Die konkurrierenden Flexionsklassen unterscheiden sich in ihrer Markiertheit, wobei die von den Sprechern favorisierten Klassen unmarkiert (oder weniger markiert) und von ihnen nicht favorisierten Klassen markiert (oder stärker markiert) sind*“ (ვურცელი 1988: 260).

შესაბამისად, რაც უფრო ხშირად იქნება გამოყენებული ესა თუ ის შეცვლილი ენობრივი ერთეული, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ადგილი ექნეს ძირეულ ენობრივ ცვლილებას.

საინტერესოა **ანდრე რუსოს** მოსაზრება ბრუნვების დიაქრონიულ პლანში განხილვისას. მას მიაჩნია, რომ ბრუნვათა ფუნქციონალური კვლევის აღწერა თანამედროვე გერმანულ ენაში უნდა მოხდეს დისტრიბუციულად. იგი კრიტიკულად განიხილავს ლუსიენ ტენიერის მიერ შემოთავაზებულ **ვალენტობის მოდელს**, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ბრუნვები გერმანულ ენაში მოკლებულია ყოველგვარ სემანტიკურ მნიშვნელობას. **ა. რუსო** აღნიშნავს, რომ ბრუნვებს და მათ განაწილებას წინადადებაში, დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ბრუნვათა სისტემის ისტორიული გარემოებების გათვალისწინებით, ავტორი მიუთითებს

გერმანულენოვან სივრცეში ენობრივი ცვლილებების მოკლე პერიოდზე და ყურადღებას ამახვილებს აკუზატივზე:

„Die Kasusmodelle weisen seit dem Idg. eine bemerkenswerte formale Beständigkeit auf, auch wenn drei bis vier Jahrtausende in der Entwicklung einer Sprache einen relativ kleinen Zeitraum darstellen... Das heutige Deutsch hat auf der semantischen Ebene zwei völlig verschiedene Typen der Objektstruktur entwickelt... Das Vorhandensein von zwei verschiedenartigen Modelltypen führt unausweislich zu Differenzierten Kasusinterpretationen: So wird der Status der Kasus von neuem problematisch, und zwar deshalb, weil sie ZUGLEICH als Entitäten mit referentieller Bedeutung und als Entitäten mit informativem Wert fungieren können. Besonders betroffen ist der Akk., der beiden Modelltypen angehört und somit der Gefahr ausgesetzt ist, ein heterogener Kasus zu werden.“
(რუსო, 1997: 15)

დიაქრონიულ ჭრილში გენტივის განხილვისას საინტერესოა **სიმონ პიკლის** სტატია „Wandel und Variation der Genitivstellung in einem diachronen Predigten-Korpus“ (პიკლი 2019) ადნომინალური გენტივის პოზიციის შესახებ. ავტორი მიუთითებს, რომ ცალკეული თემატური კვლევები ვერ ქმნის პრობლემის გადაწყვეტის საერთო სურათს. თითოეული მათგანი განსხვავებულ დროის მონაკვეთს მოიცავს, განსხვავებულია ასევე ტექსტის სახეობები და რეგიონები, სადაც კვლევები ტარდება.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კვლევა ჩატარდა საეკლესიო ტექსტების, კერძოდ, ქადაგებების კორპუსზე დაყრდნობით. იგი მოიცავს მე-9 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე პერიოდს. ტექსტის სახეობის არჩევას ავტორი ასაბუთებს იმით, რომ იგი, როგორც პროზა, სინტაქსური პრობლემის კვლევისათვის შესაფერის მასალას წარმოადგენს. კორპუსის კვლევით გამოვლინდა, რომ 780 შემთხვევაში გენტივის განსაზღვრება წინა პოზიციაზეა, ხოლო 2.968 შემთხვევაში უკანა პოზიციაზე, პროცენტული ფარდობითობა ასე გამოიყურება: 21% 79%-ის წინააღმდეგ. ავტორი სტატიაში ასევე განიხილავს შინაგან და გარეგან ფაქტორებს, რამაც ზემოქმედება მოახდინა კვლევის შედეგებზე.

გენტივის პრობლემატიკა საფუძვლიანად შეისწავლა **ჰუგო მოზერმა**, რომელმაც აღწერა გენტივის s-ფლექსია ისტორიულ პლანში. ასევე, პარტიტიული გენტივის

თანდათან გაქრობა და გენეტიკის შეცვლა von - წინდებულისანი სტრუქტურით (მოზერი 1967: 22).

საყურადღებოა **ინგრიდ დალის** მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამედროვე გერმანული ენა ხელოვნურად ინარჩუნებს ტრადიციულ ბრუნვებს. დიალექტებში კი, უკვე აღარ გამოიყენება ოთხივე ბრუნვა. ხშირ შემთხვევაში, ისინი სხვა ეკვივალენტებითაა ჩანაცვლებული. ავტორი ასევე მიუთითებს, რომ რადგან გერმანულ ენაში არის ტენდენცია, ზეპირ ენაში გენეტიკის მისი ეკვივალენტებით ჩანაცვლებით, შესაბამისად, გენეტიკიც გაქრობის პირასაა, მაგრამ, მეორე მხრივ, გარკვეულ გენეტიურ სტრუქტურებში s-ფლექსია სავალდებულოა და არ ექვემდებარება ანულირებას. მათ მიეკუთვნება უარტიკლო გენეტიური ატრიბუტები, მაგალითად, Hersteller schmackhaften Weins რომელშიც ფლექსიის გამოტოვება შეუძლებელია. ასევე, შესაძლებელია მსგავსი სტრუქტურების von წინდებულისანი ფრაზით ჩანაცვლება. მაგალითად, Der Stift von Anna, der Hersteller von schmackhaften Wein (დალი 1971: 181–193).

დამარის ნიუბლინგი აღნიშნავს, რომ ყველა ბუნებრივი ენა მუდმივად განიცდის ცვლილებას, რასაც იგი ენის უნივერსალიებს უკავშირებს. **დ. ნიუბლინგის** მიხედვით, ადამიანების უმეტესობა ენის ცვლილებას უკავშირებს გერმანული კულტურის ენის განადგურებას, ასევე ლექსიკურ ცვლილებას, როგორცაა, მაგალითად ანგლიციზმების შემოტანა ენაში, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფით შეფასებას იწვევს.

უნდა აღინიშნოს, რომ გენეტიკზე ყველაზე მეტად გერმანული ენის ბრუნვათა სისტემის დასუსტება ახდენს გავლენას, ვინაიდან გერმანული ენის ისტორიაში სწორედ მისი უკუსვლა შეინიშნება. თუმცა, კვლევების თანახმად, ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები არაერთმნიშვნელოვანია. მათ შორის სახელდება ასევე რიცხვის მარკირების გაძლიერება. ავტორი ასეთ შეფასებებს გაუმართლებელს და არამეცნიერულს უწოდებს:

„Alle natürlichen Sprachen befinden sich in ständigem Wandel. Diese Tatsache gehört zu den Universalien der Sprache. Die meisten Leute assoziieren jedoch mit Sprachwandel merkwürdige Dinge: Erstens halten sie Sprachwandel durchweg für etwas Verwerfliches, für Sprachverfall, für den Niedergang der deutschen (Sprach-)Kultur u.ä. Zweitens setzen sie ihn

in aller Regel mit lexikalischem Wandel gleich, und zwar meistens mit der Entlehnung von Anglizismen, die [...] auch ausschließlich negativ bewertet wird. Eventuell kommt der „Verlust“ des Genitivs hinzu [...] und der Wandel vom Genitiv zum Dativ nach Präpositionen wie während oder wegen“ (ნიუბლინგი 2017: 1-2).

ზოგადად, შეიძლება აღინიშნოს, რომ გერმანული ენის ბრუნვების მარკირებები დროთა განმავლობაში გაქრობას ექვემდებარება. ეს არ არის მხოლოდ თანამედროვე გერმანული ენის ტენდენცია, არამედ იგი შეინიშნება გერმანული ენის ადრეულ განვითარების ეტაპებზეც. ძველ ზემოგერმანულში უკვე არსებობს ბრუნვის სისტემა, მაგრამ საშუალო ზემოგერმანულიდან თანდათან იცვლება ბრუნვის ფლექსიები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრუნვების საკითხი მასმედიის ენაში არის და რჩება ერთ-ერთ აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხად. საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჟურნალისტურ ტექსტებში ხშირად ვხვდებით ენობრივ დაუდევრობებს და განსაკუთრებით, ბრუნვების ფლექსიების უარყოფას. აღნიშნულ მოვლენაზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, ულრიხ შმიცი მიუთითებს, რომ მასმედია, თავისი განსაკუთრებული პროდუქტიულობით განსაზღვრავს სწრაფ ცვლილებებს ბრუნვის სიტემაში, რასაც ნორმატიული ენა შედარებით ნელა განახორციელებდა:

„Der schnelle Abbau des Deklinationssystems ohne Massenmedien wesentlich langsamer verlaufen würde, da diese durch ihre innere Vielfalt, enorme Produktivität und immense Verbreitung den Umgang mit der Sprache lenken, erweitern, differenzieren und kanalisieren“ (შმიცი 2004: 44).

თუ ვინფრიდ ვაიერი 1968 წელს წიგში „Der Genitiv im neuesten Deutsch“ წერდა, რომ ჟურნალისტები, განსაკუთრებით ფრთხილად გენტივთან მიმართებაში არიან და გენტიურ ფლექსიას დიდ ყურადღებას აქცევენ, ფრიც ჩირჰი საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს და მიუთითებს გერმანული საგაზეთო ენის დეგრადაციაზე:

„Das Zeitungsdeutsch sprachlich derart hingeschludert ist, daß man nur zu leicht geneigt ist, solchen Verdikten zuzustimmen und sie für berechtigt zu halten“ (ჩირჰი 1965:129).

ვერნერ ვინტერი საინტერესოდ განმარტავს მასმედიის ენაში გენტივთან დაკავშირებულ პრობლემას და აღნიშნავს, რომ ჟურნალისტის წერის მანერას

განსაზღვრავს გარე ფაქტორები, მაგრამ ის უნდა ეცადოს, რომ კორექტული, ნორმატიული ენით წეროს:

„Anders als die Angehörigen anderer schriftstellerischer Berufe hat der Journalist oft einfach keine Zeit, sein Opus immer wieder durchzufeuern, bis es höchsten sprachlichen Ansprüchen, so wie er als Autor versteht, genügt. Er muss Artikel liefern, und zwar schnell. Er kann zwar nicht unbedingt schreiben, wie ihm der Schnabel gewachsen ist (denn gesprochenes und geschriebenes Deutsch können sehr verschieden sein), aber er kann und muss benutzen, was seiner Erfahrung nach normales Schriftdeutsch ist“ (ვინტერი 1966: 21–35).

აღსანიშნავია, რომ ბრუნვის სისტემაში ცვლილებები და ბრუნვის ფლექსიების „დამახინჯება“ განსაკუთრებით მასმედიის ენისათვისაა დამახასიათებელი. შეიძლება ეს ვითარება აიხსნას იმ გარემოებითაც, რომ საგაზეთო ენისათვის ნიშანდობლივია ორივე ენის, ზეპირი და წერილობითი კანონზომიერებების შერწყმა, რაც ზოგ შემთხვევაში წარუმატებლად სრულდება. ისტორიულად, ენობრივი ცვლილებები ძირითადად ზეპირ მეტყველებაში მიმდინარეობს, რაც შემდეგ გავლენას ახდენს წერილობით ენაზეც. შესაბამისად, ზეპირ ენაში გენიტივის ფლექსიის ზოგჯერ უგულებელყოფა, უფრო ხშირად მას ადგილი აქვს დიალექტებში, აირეკლება წერილობით ენაშიც. აღნიშნულ მოვლენას ხშირად თან ახლავს სიჩქარით გამოწვეული შეცდომებიც, რაც განაპირობებს არა მარტო გენიტივის ფლექსიის ანულირებას, არამედ გენიტივის შემცვლელი ეკვივალენტების არაკორექტულად გამოყენებასაც. აღნიშნული მოვლენა ვრცელდება ასევე სხვა ბრუნვებთან მიმართებაშიც, ისევე, როგორც წინდებულის ფრაზაში გენიტივის ნაცვლად დატივის არასწორი წარმოდგენა და სხვ.

1.3. გენიტივის როლი პოსესიურობის გამოხატვის ასპექტში. ენათმეცნიერებაში კუთვნილების, ანუ პოსესიურობის კვლევა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, განსაკუთრებით, გენიტივთან მიმართებაში. აღნიშნული ენობრივი უნივერსალია გამოხატავს კუთვნილებით, ფლობით მიმართებას მფლობელსა (**Possessor-Besitzer**) და საკუთრებას (**Possessum-Besitztum**) შორის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხედველობაში გვაქვს საკუთრება ფართო გაგებით.

აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში, საინტერესოდ მიგვაჩნია ჰანს იაკობ ზაილერის სტატია, სადაც მას არასწორად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ტერმინები **პოსესიურობა** და **პოსესია** ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენება. იგი თვლის, რომ ეს არის არა მეცნიერულ კვლევაზე, არამედ მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებული მოსაზრება და მათი შინაარსი, ენის სინქრონიული კვლევის არცერთ მოდელში არ არის დაზუსტებული:

„Die Termini *Possessivität* und *Possession*, die wir synonym für einander verwenden wollen, sind vorwissenschaftlich. Ihr Inhalt hat in keinem der Modelle der synchronen Sprachbeschreibung eine befriedigende Präzisierung erfahren. Die Auffassungen darüber, was man in gewissen Sprachen als possessiv anzusehen hat, schwanken.“ (ზაილერი 1972: 231)

აქვე ავტორი დასძენს, რომ გერმანულ ენაში ტერმინები *Possession*, *possessiv* პარალელურად მოიაზრება, ერთი მხრივ, გენიტივზე და კუთვნილებით ნაცვალსახელებზე, მეორე მხრივ, კი კონსტრუქციებზე ზმნებით **haben**, **gehören**, **besitzen**. ჰ. ზაილერი თვლის, რომ გამოხატვის ზემოთ დასახელებული ორივე საშუალება ერთმანეთს ავსებს, და, რომ მხოლოდ ერთად ქმნიან პოსესიურობის ფენომენის მოდელს. აღნიშნულის განსამტკიცებლად მას მოჰყავს ორი მაგალითი: **Karls/sein Haus** (გენიტივი/კუთვნილებითი ნაცვალსახელი) და **Karl hat ein Haus**. იყო მცდელობა, ერთი კონსტრუქციის მეორეთი ჩანაცვლების, რომ ფრაზას **Karls Haus** საფუძვლად უდევს კონსტრუქცია **Karl hat ein Haus**, მაგრამ ავტორის აზრით შეუძლებელია ამ მოსაზრების განზოგადება, თუნდაც, კონსტრუქციაში **Karls Tod ≠ Karl hat einen Tod** (ზაილერი 1972:2).

ქრისტიან ლემანი ნაშრომში „**Semantik. Theoretische und empirische Bereiche**“ (Ch. Lehmann 2013) **პოსესიურობას** აანალიზებს როგორც **პროტოტიპულ ცნებას** და განიხილავს როგორც მიმართებას მფლობელსა და საკუთრებას შორის.

პოსესიურობის, როგორც პროტოტიპულ ცნებაზე მიუთითებს ასევე ჰ. ზაილერიც:

„Die **Possessivität** ist prototypisch als eine Beziehung der Zugehörigkeit zwischen zwei Objekte zu verstehen, von denen eines, das die Possessivität ausübt, als **Possessor (Besitzer)**

fungiert, während das andere, das der Possessivität unterliegt als **Possessum (Besitztum)** eintritt. Der Possessor ist prototypisch belebt und vorzugsweise menschlich. Das Possessum kann genauso belebt wie unbelebt sein“ (ზაილერი 1988: 81).

კუთვნილებითი მიმართების დასამყარებლად ამა თუ იმ საგანსა და ნაცვალსახელით გამოხატულ პირს შორის **კუთვნილებითი ნაცვალსახელებისა** და **კუთვნილებითი არტიკლის ფუნქციის მქონე სიტყვების** (ე.წ. Artikelwörter) გამოყენებაზე საუბრობს, ასევე, **გიზელა ციფონუნი** ნაშრომში „**Das Pronomen, Teil III: Possessivpronomen**“ (ციფონუნი 2005).

გერმანულ ენაში **პოსესიურობის** პრობლემატიკას საინტერესო ნაშრომები მიუძღვნეს ფრიც ზერცისკომ, ბერნდ ჰაინემ, გერჰარდ ჰელბიგმა და იოახიმ ბუშამ, პეტერ გალმანმა, ქრისტიან ფანდრიხმა. **თომას შტოლცის** მიხედვით, ზაილერის შემდეგ, პოსესიურობის კვლევაში განვითარება შეინიშნება **ბერნდ ჰაინესა და ლეონ შტასენის** ნაშრომების წყალობით, და დღეს ამ ფენომენის კვლევა აღარ არის წარმოუდგენელი (შტოლცი 2011:39).

ჰანს გლინცი მიუთითებს გენიტივის საერთო მნიშვნელობაზე (Gesamtbedeutung des Genitivs), რომელსაც ის **კუთვნილებას** უწოდებს:

„Wir fassen vielmehr alles zusammen, was durch Genitiv-Anschluß ausgedrückt werden kann, und suchen dafür einen, wenn auch vielleicht ‘vagen‘, ja ‘primitiven‘ gemeinsamen Nenner. Da können wir nun nichts anderes angeben als Zugehörigkeit“ (ზერცისკო 1984: 6).

როგორც ავტორი აღნიშნავს, ასეთ მოსაზრებას პოსესიურობის უზუსტო განმარტებამდე მივყევართ.

პეტერ აიზენბერგი განიხილავს გენიტივის მნიშვნელობას და მას **პოსესიურ და ფლობის** (Genitivus auctoris) ზოგად მიმართებას მიაწერს, თუმცა, მისი აზრით, პოსესიურობას განსაკუთრებულად გამოხატავს **Teil-von-Relation** - ს, ანუ ნაწილის მთელთან მიმართებას. ავტორი მიიჩნევს, რომ გენიტიური ატრიბუტის ამგვარი კლასიფიკაცია პირობითია და აღწერითი ხასიათის მატარებელია.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ პოსესიური კონსტრუქციები მათი მორფოლოგიური თუ სინტაქსური სტატუსის მიხედვით, სხვადასხვა გრამატიკული სფეროს შესწავლის საგანია.

გ. ჰელბიგი და ი. ბუშა განიხილავენ შემდეგ პოსესიურ მიმართებებს:

ქონა-ყოლის მიმართება (haben-Verhältnis):

Das Haus meines Vaters - mein Vater hat ein Haus.

კუთვნილების მიმართება / დამოკიდებულება (Gehören zu Verhältnis):

Die Schule meines Bruders - mein Bruder gehört zu der Schule.

ნაწილის მთელთან მიმართება (Teil-von-Verhältnis):

Die Hälfte des Buches - die Hälfte ist Teil von dem Buch (ჰელბიგი / ბუშა 1998: 592).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პოსესიურობა, როგორც ლინგვისტური ფენომენი, არ შემოიფარგლება მხოლოდ ცნებით **ქონება**. ამას ადასტურებს ჯ. ლაიონზიცი, რომელიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ პოსესიური კონსტრუქციების უმცირესობა განსაზღვრავს სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით **ფლობას** ან **საკუთრებას** (ლაიონზი 1967:722).

მსგავს მოსაზრებას იზიარებს **გიზელა ციფონუნი**, რომელსაც მიაჩნია, რომ პოსესიურობის განსაზღვრებაში აუცილებელია ყურადღების გამახვილება რამდენიმე ნიშან-თვისებაზე, კერძოდ, პოსესორი პიროვნებაა, პოსესუმი კი უსულო, ჩვეულებრივ კონკრეტული, საგანია. რაც შეეხება მიმართებას, ექსკლუზიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი პოსესუმისთვის ერთი პოსესორია, რომელიც ავტორის მიხედვით, ფლობს ექსკლუზიურ უფლებას პოსესორის მიმართ. პოსესუმს გააჩნია მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა. **გ. ციფონუნი** აღნიშნავს, რომ პოსესორს უფლება გადაეცემა სპეციფიური ტრანზაქციის, კერძოდ, ყიდვის ან ჩუქების მეშვეობით. ეს უფლება ნარჩუნდება მანამ, სანამ იგი ახალ ტრანზაქციას არ შეასრულებს. რაც შეეხება პოსესუმზე წვდომას, ამისათვის საჭიროა, ხელმისაწვდომი იყოს პოსესორისთვის:

„A. Der Possessor ist eine bestimmte Person.

B. Das Possessum ist eine unbelebte Entität, gewöhnlich ein konkreter Gegenstand.

C. Die Relation ist exklusiv, d.h. für jedes Possessum gibt es genau einen Possessor.

D. Der Possessor hat bestimmte exklusive Rechte bezüglich des Possessums.

E. Das Possessum ist ein Gegenstand von (materiellem oder immateriellem) Wert.

F. Die Rechte des Possessors werden ihm durch einen spezifischen Transaktionsakt (Kauf, Schenkung) übertragen und verbleiben bei ihm, bis er selbst eine erneute Transaktion tätigt.

G. Der Besitz ist von Dauer.

H. Um Zugang zum Possessum zu haben, befindet es sich typischerweise in lokaler Erreichbarkeit für den Possessor, kann auch ein permanenter oder regelmäßiger Begleiter des Possessors sein“ (ციფონუნი 2005: 27).

უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები **საკუთრება (Possessum)** და **კუთვნილება (Possessivum)** განსხვავდება ერთმანეთისაგან. **კუთვნილება** აღწერს ზოგადად პოსესიურობის გამოხატულებას.

პოსესიური მიმართება შეიძლება გამოიხატოს ე.წ. **არტიკლის ფუნქციის მქონე სიტყვებითაც (Artikelwörter)**, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვანი პალიტრით გვხვდება ბეჭდური მედიის ტექსტებში.

საინტერესოა **ქრისტიან ლემანის** ხედვა პოსესიურობის მიმართ:

„Possession (lat., „Besitzverhältnis“) ist innerhalb der Linguistik die Bezeichnung sowohl für eine Relation als auch für eine **funktionale Domäne**, die sich um diese Relation kristallisiert“ (ლემანი 2013: 11).

ავტორის აზრით, **კუთვნილების დამოკიდებულება**, როგორც პროტოტიპული ცნება, გამოხატავს ბინარულ მიმართებას მფლობელსა და საკუთრებას შორის, და, რომ კუთვნილებითი კონსტრუქცია იქმნება კუთვნილებითი მიმართებიდან. ამ განმარტების მიხედვით, მეორე წინადადება წარმოადგენს კუთვნილების კონსტრუქციის ძირითად ინსტანციას:

1. **Sein Ohr** (Possessor : er; Possessum: Ohr) (მფლობელი : ის; საკუთრება : ყური)

2. **Peters Bruder** (Possessor: Peter; Possessum: Bruder) (მფლობელი : პეტერი; საკუთრება : ძმა)

3. **Der Grund des Meeres** (Possessor: Meer; Possessum: Grund) (მფლობელი: ზღვა; საკუთრება: ფსკერი) (ლემანი 2013:1).

თუმცა, ასევე საინტერესოა მეორე და მესამე შემთხვევა: წინადადებაში **Peters Bruder** პოსესორი დგას გენიტივში და განვრცობას არ საჭიროებს. ხოლო წინადადებაში

Der Grund des Meeres, მფლობელი არატიპიურია. საკუთრების აღმნიშვნელი არსებითი სახელი წარმოდგენილია განსაზღვრული არტიკლით.

ასევე, მიგვაჩნია, რომ, როდესაც პოსესიურობის ფენომენს აღვწერთ, აუცილებელია რამდენიმე ცნების განხილვა, რომლებიც პოსესიურობის ფენომენის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და პოსესიურ კატეგორიებს წარმოადგენენ.

პოსესიურობასთან მიმართებაში საინტერესოა შემდეგი საკითხი: **ატრიბუტული და პრედიკატული პოსესიურობის ოპოზიცია**, რომლებსაც ბერნდ ჰაინე უნივერსალურ კატეგორიად მიიჩნევს (ჰაინე 1997: 143).

გერმანულ ენაში **ატრიბუტული პოსესიურობა** ძირითადად ბრუნვის, კერძოდ, გენტივის საშუალებით გადმოიცემა, შესაბამისად იქმნება **ნომინალური ფრაზა** [[NP. das Fahrrad] [NP.des Jungen]].

ალიენაციური და ინალიენაციური პოსესიურობის ოპოზიცია (alienable vs. inalienable Possessivität): ცნებებში ალიენაცია (Alienabilität) და ინალიენაცია (Inalienabilität)¹ იგულისხმება განსხვავება გასხვისებად და გაუსხვისებად სახელებს შორის. ჰ.ზაილერთან ალიენაციური და ინალიენაციური პოსესიურობის ნაცვლად ჩნდება **აბსოლუტური (absolute) და რელატიური სახელები (relationale Nomina)**:

Das **Buch** des Schülers vs. Die **Mutter** der Freundin (ზაილერი 1988: 77)

ჰ. ზაილერი ინალიენაციურ სახელებში მოიაზრებს სიტყვებს **დედა, მამა, ექთან, მასწავლებელი, უფროსი**, რომლებიც გამოხატავენ რელაციურობას. ამასთან ერთად, გაუსხვისებადი საკუთრების პროტოტიპები ნათესაობის აღმნიშვნელი და სხეულის ნაწილების გამომხატველი სახელებია. ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები გამოხატავენ დამოკიდებულებას, კუთვნილებას (Beziehung bzw. Zugehörigkeit), მაშინ როდესაც სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელები (Pars pro toto –Relation)² გამოხატავენ მთელის ნაწილს (ზაილერი 1988: 81).

ინალიენაციური სიტყვა **დედა** გამოხატავს არა ინდივიდის თვისებას, არამედ ადასტურებს, რომ ამ სახელწოდებით აღნიშნული პიროვნება **A** კავშირშია პიროვნება

¹ inalienabel – (Rechtsw.) unveräußerlich, nicht übertragbar (Duden- Das Fremdwörterbuch 2005:445).

² Pars pro Toto *das*; - (lat.): Sprachw. Redefigur, die einen Teilbegriff an die Stelle eines Gesamtbegriffs setzt (z.B. unter einem Dach = in einem Dach) (Duden- Das Fremdwörterbuch 2005:766).

B-სთან. ეს მიმართება კი შემდეგნაირად აღინიშნება: **Mutter von**. შესაბამისად სიტყვა **დედა** B-ს გარეშე, ე.ი. **შვილის** გარეშე აზრს მოკლებულია.

NP	PRED	NP k
Jemand	Mutter von	Jemand k.

როგორც **დედა (Mutter)** მიანიშნებს **შვილის** არსებობაზე, ასევე მიუთითებს იგი **მასწავლებელზე** და ა.შ. **რელატიური სახელები** არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ნათესაობის და სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელებით. ამ მოსაზრებასთან მიმართებაში, იგი აღნიშნავს, რომ ნათესაობის გამომხატველი სახელები შეიძლება განხილული იყოს სოციალურ ჭრილში, როგორც **მასწავლებელი, ექიმი ... (Lehrerin, Ärztin ...)**. თუ სიტყვა **დედა** გამოხატავს მიმართებას **შვილთან**, მაშინ ასევე გამოხატავს **სახლი** მიმართებას **კართან**, რადგან კარი წარმოადგენს სახლის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშანს. (ზაილერი 1988: 81).

ქრისტიან ლემანი შემდეგნაირად განიხილავს **რელატიურ სახელებს**:

„Begriffe wie die von **Verwandten** (Mutter, Bruder usw.), von **Körperteilen** (Hand, Gesicht usw.), von **Raumregionen** (Seite, Ecke, Spitze, Boden usw.) sind semantisch **relational**... Mütter, Hände, Seiten usw. kommen normalerweise nicht isoliert, sondern nur als die Mutter, Hand, Seite von jemand bzw. etwas vor“ (ლემანი 2013: 3).

ალიენაციური, 3. ზაილერის მიხედვით, იგივე **აბსოლუტური სახელი**, მაგ.: **წიგნი, რვეული (Buch, Heft)** განსხვავებით **ინალიენაციური, რელატიური სახელისაგან** არ გულისხმობს არანაირ მიმართებას: **jemandes Buch**.

გ. ციფონუნის აზრით, თუ **ალიენაციური სახელი კუთვნილების** მიმართებაში იჩენს თავს, მაშინ საჭიროა კუთვნილებითი არტიკლის ფუნქციის მქონე სიტყვის გამოყენება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია **წიგნის, რვეულის** ამოცნობა. კუთვნილებითი ნაცვალსახელით **ჩემი (mein)** კუთვნილებითი დამოკიდებულების გამოხატვის შემდეგ შესაძლებელია **ჩემი რვეულის (mein Heft)** გამოყოფა **რვეულთა ჯგუფიდან** (ციფონუნი 2005: 3).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანულ ენაში, ძირითადად, კუთვნილებითი მიმართების გამოხატვა შესაძლებელია **გენტივით (der Genitiv)**, რომელიც პასუხობს

კითხვას **wessen?** (ძირითადად ვისი? იშვიათად რისი?) და რომელსაც უშუალოდ მოსდევს მარკირებული არსებითი სახელი (**wessen Buch?** - ვისი წიგნი?).

3. ვაინრიხის მიხედვით: „Die Markierung des Genitivs zeigt sich am Artikel und am Substantiv und somit ist der Genitiv, im Vergleich mit den anderen Kasus auffallend deutlich markiert und zwar durch das Flexiv **-s** oder **-es**“ (ვაინრიხი 1993: 698).

„ამ სახის კუთვნილებითი მიმართების გადმოცემის შემთხვევაში, [...] ჯერ ვასახელებთ საგანს, შემდეგ მას, ვისაც იგი ეკუთვნის: **die Handtasche der Frau, die Fenster unseres Hauses, der Bruder dieses Mädchens.** [...]. არსებითი სახელი გენტივში, ასახელებს რა, თუ ვის ეკუთვნის საგანი, ამით აკონკრეტებს მას და ამ საგნის გამომხატველი არსებითი სახელიც შესაბამისად ჩვეულებრივ განსაზღვრული არტიკლით იხმარება“ (გვენცაძე 2004:288):

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გენტივის ძირითადი მნიშვნელობა პოსესიურობისა და საგნის ნაწილის მთელთან მიმართების გამოხატულებაა. პოსესიურობის გამოხატვაში გენტიური ატრიბუტის (**das Genitivattribut**) მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს პეტერ გალმანი:

„**Das Genitivattribut** (auch: attributiver Genitiv) ist ein Attribut, also ein Gliedteil, das von einem Nomen abhängt, in Form einer Nominalphrase im Genitiv“ (გალმანი 2014/2015:1).

1.4. დატივისა და გენტივის ურთიერთმიმართება. თანამედროვე გერმანული ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხს წარმოადგენს დატივისა და გენტივის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, რადგან არსებობს ტენდენცია, დატივის მიერ გენტივის შევიწროებისა და ენიდან განდევნისა. გენტივის პრობლემატიკასთან უშუალო კავშირშია ის ფაქტი, რომ გენტივი გერმანულ ენაში სხვადასხვა შინაარსით და ფუნქციით წარმოჩნდება. მაგალითად, როცა გენტივის გვერდით არიან მსგავსი მნიშვნელობის მქონე კონსტრუქციები:

1. Ich beschuldige Sie **des Mordes** | Ich unterstelle Ihnen **einen Mord**

2. Am Tag **des Mordes** regnete es | Am Tag, **an dem der Mord stattfand**, regnete es

3. Anhand **des Mordes** lässt sich zeigen, ... | Mit **dem Mord** lässt sich zeigen, ... (კოპფი

2013: 5)

პირველ შემთხვევაში, საქმე გვაქვს გენტივის ობიექტთან, რომელიც დამოკიდებული არის ზმნაზე **beschuldigen**. მეორე შემთხვევაში, საუბარია განსაზღვრებაზე, ხოლო მესამეში, ბრუნვაზე, რომელსაც მოითხოვს წინდებული, ამ შემთხვევაში **anhand**. სამივე მაგალითში წარმოდგენილია მოვლენათა განვითარება, მაგრამ ისინი ერთმანეთის პარალელურად კი არ მიმდინარეობს, არამედ სამივეში გენტივი და დატივი მძაფრ კონკურენტულ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება.

ისევე როგორც დატივი, გენტივიც ახდენს წინადადებაში ობიექტის მარკირებას; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს არქაიზმია, ხოლო დატივთან აღნიშნული ზმნის გამოყენება ნორმატიული და თანამედროვეა:

Genitiv: Wir gedenken **der zahlreichen Opfer**

Dativ: Wir helfen **den zahlreichen Opfern** (კოპფი 2013: 7)

თუ რომელ ბრუნვაში იქნება ობიექტი, ეს დამოკიდებულია ზმნაზე.

ზმნები, რომლებიც გენტივის ობიექტს მოითხოვს, დღესდღეობით იშვიათია, მათი უმეტესობა დროთა განმავლობაში ვერ დარჩა მისი ბრუნვის ერთგული. ისინი ზოგჯერ უფრო მეტად იხრებიან დატივისკენ, ან წინდებულის დამატებისკენ. მაგალითად:

Er **gedenke** in der Silvesternacht besonders **jenen russischen Soldaten**, die die nationalen Interessen des Landes in entfernteren Regionen verteidigen, sagte Putin in der am Donnerstag vom Staatsfernsehen ausgestrahlten Rede.³

დატივის გამოყენება ამ შემთხვევაში შეიძლება იმით აიხსნას, რომ ზმნა **gedenken**, განსაკუთრებით კი, გერმანული ენის შვეიცარიულ და ავსტრიულ ვარიანტებში, ამ ბრუნვას მართავს:

An die Demokratie erinnern sich hier einige nur, wenn es ihnen nützt. (statt: der Demokratie)⁴

³ F.A.Z. 2016. Nachricht: Neujahrsansprache im Kreml: Putin schwört Russen auf Kampf gegen Terror ein.

Quelle: dpa <https://www.faz.net/aktuell/politik/kampf-gegen-den-terror/neujahrsansprache-im-kreml-putin-schwoert-russen-auf-kampf-gegen-terror-ein-13992433.html>

⁴ Zeit online 2016. Interview von Özlem Topçu: "Wir erleben seit einem Jahr einen zivilen Putsch".

<https://www.zeit.de/zustimmung?url=https%3A%2F%2Fwww.zeit.de%2Fpolitik%2Fausland%2F2016-07%2Fselahattin-demirtas-tuerkei-demokratie-putsch-interview>

აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში საინტერესოა ირმარდ ელტერის სტატია: „Genitiv versus Dativ. Die Rektion der Präpositionen wegen, während, trotz, statt und dank in der aktuellen Zeitungssprache“. იგი ეხმაურება ბოლო წლებში, განსაკუთრებით არალინგვისტების დისკუსიებს ენაში ცვლილებების თემაზე, რომლებიც ძირითადად უკავშირდება არაერთ პრობლემას: ანგლიციზმების მომეტებით გამოყენება, კონიუნქტივის გამოყენების შემცირება და გენტივის დატივით ჩანაცვლება, რაც არა მარტო ენაში ცვლილებად, არამედ ენის დაშლის სიმპტომად იქნა შეფასებული (ელტერი 2012:125).

აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ავტორს მოჰყავს მრავალჯერ ციტირებული შეუსაბამო ენის ყოველდღიურ გამოყენებასა და სალიტერატურო ენის ნორმას შორის, რაც გამოიხატება განსაზღვრულ წინდებულებთან, განსაკუთრებით კი, ეს ეხება წინდებულს **wegen**, გენტივის დატივით ჩანაცვლებაში.

სტევენ ბარბურსა და პატრიკ სტევენსონზე დაყრდნობით, ი. ელტერი აღნიშნავს, რომ გენტივის გამოყენება გერმანულ ენაში ლიტერატურული ენით შემოიფარგლება: „Ist er in einem einzelnen Satz präsent, so hebt er diesen quasi automatisch als eine standardsprachliche, formelle Äußerung hervor“ (ელტერი 2012:125-136).

სასაუბრო ენაში კი, ავტორის მიხედვით, გენტივის დატივით ჩანაცვლება შედარებით ნორმალურია, თუმცა არაკორექტულად ითვლება. ამის გამო ზოგიერთი მოსაუბრე ამას თავს არიდებს:

„In der Umgangssprache nimmt sich die Ersetzung des Genitivs durch den Dativ als relativ normal aus, obwohl sie als inkorrekt gilt und deshalb auch von bestimmten Sprechern prinzipiell vermieden wird“ (ელტერი 2012:125).

ავტორი კვლავ ს. ბარბურსა და პატრიკ სტევენსონს იმოწმებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ამ მოვლენით კიდევ ერთხელ ხდება ენის ყოველდღიურ გამოყენებასა და ენის გრამატიკას შორის შეუსაბამობის დემონსტრირება:

„In der Umgangssprache nimmt sich die Ersetzung des Genitivs durch den Dativ als relativ normal aus, obwohl sie als inkorrekt gilt und deshalb auch von bestimmten Sprechern prinzipiell vermieden wird. Nach Barbour/Stevenson handelt es sich hier um

eine Erscheinung, „an der sich sehr gut die Divergenz des alltäglichen Sprach-gebrauchs von der Grammatiklehre demonstrieren lässt“ (ელტერი 2012:125-136).

დატივისა და გენტივის შორის კონფრონტაციის პრობლემას განიხილავს ასევე, **კორინე იმბოდენი** თავის შრომაში „Präpositionale Rektions-Alternativen im gesprochenen Deutsch. Eine korpusgestützte Analyse struktureller Muster“. აღნიშნულ პრობლემას ავტორი განიხილავს წინდებულების trotz, wegen, während, gemäß მაგალითზე. ავტორის მიხედვით, ეს ის წინდებულებაა, რომელთა გამოყენება ენაში სხვადასხვა ბრუნვასთან ხდება ისე, რომ ისინი მნიშვნელობას არ იცვლიან. სწორედ ამიტომ, ისინი ენის მომხმარებლებისთვის წარმოადგენენ საეჭვო ფორმას. ამასთან არსებობს კვლევები წერილობითი ენის კორპუსებთან მიმართებაში, და ამ კვლევების საფუძველზე მოცემული ვარიაციების არსებობა დაფუძნებულია გრამატიკალიზაციის მოდელზე, ანალოგიური ფორმების წარმოშობაზე და ა.შ. (იმბოდენი 2018:16-18)

ავტორს შრომაში გამოყენებული აქვს მაგალითები კორპუსიდან FOLK (Forschungs- und Lehrkorpus Gesprochenes Deutsch), რომელიც ეყრდნობა სასაუბრო ენას.

კორინე იმბოდენი თავის წიგნში განიხილავს **კლაუდიო დი მეოლას** პირველ შრომებს (დი მეოლა 1999: 344), სადაც ავტორმა, მის მიერ შერჩეული კორპუსის საფუძველზე, ოთხი წინდებული გამოიკვლია, რომლებიც გენტივის მართავენ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წინდებულები nahe, entsprechend und gemäß უფრო ხშირად მარცხენა, წინდებული entgegen კი, მარჯვენა პოზიციაზე გვხვდება; გენტივის წილი მრავლობით რიცხვში მეტია, ვიდრე მხოლობითში; იგი, უპირატესად, დარგობრივ და პრესის ტექსტებში გამოიყენება; მყარი მართვა მხოლოდ ძალიან დაბალი და ძალიან მაღალი გრამატიკალიზაციის მქონე წინდებულებს ახასიათებთ, დანარჩენებთან შეინიშნება მერყეობა; დატივი მარჯვენა, და, დატივი ან გენტივი მარცხენა, პოზიციაზე დაფიქსირდა მხოლოდ წინდებულთან entlang. კორპუსული კვლევისას, შემთხვევითი შერჩევის პრინციპმა აჩვენა, რომ წინდებულებს entgegen, nahe, entsprechend, gemäß, აქვთ უნარი თუნდაც ნორმატიული ენის საპირისპიროდ, წერილობით ენაში მართონ გენტივი. ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას ადასტურებს კორინე იმბოდენის კონცეპცია:

„Folgende Schlüsse konnten gezogen werden:

1. Nahe, entsprechend und gemäß stehen öfter in Prä-, entgegen steht öfter in Poststellung.

2. Die Variation ist auf einen bestimmten strukturellen Kontext beschränkt: Nur in Prästellung schwankt die Rektion (zwischen Genitiv und Dativ), die Poststellung regiert stabil den Dativ.

3. Genitivrektion ist nicht selten.

4. Der Genitivanteil ist im Plural höher als im Singular.

5. Genitive kommen bevorzugt in fach- und pressesprachlichen Texten vor, seltener in anderen Teilkorpora (Unterhaltung, Belletristik und Sachprosa).

6. Eine konstante Rektion ist nur für Adpositionen mit sehr niedrigem und sehr hohem Grammatikalisierungsgrad charakteristisch. Alle dazwischen liegenden Stufen weisen Schwankungen auf.

7. Die Eigenschaft Dativ in Poststellung und Dativ oder Genitiv in Prästellung wurde bis jetzt nur entlang zugeschrieben. Die Stichprobe zeigt aber, dass entgegen, nahe, entsprechend, gemäß – entgegen der standardsprachlichen Norm – selbst in kontrollierter Schriftsprache einen Genitiv regieren können“ (იმბოდენი 2018:16).

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დაადგინა, რომ გრამატიკალიზაციის ხარისხი დატვივის მარჯვენა პოზიციის წინდებულებისა მით უფრო მაღალია

1. რაც უფრო დიდია წილი მარცხენა პოზიციისა

2. რაც უფრო დიდია გენტივის მართვის წილი.

ოდინდელი დატვივი ადგილს უთმობს გენტივს მარცხენა პოზიციის წინდებულებთან. ამით კი, მაქსიმალური ხდება საწყისი სტრუქტურიდან გადახვევის ხარისხი (იმბოდენი 2018:17).

დი მეოლას კვლევებმა ნათელი გახადა, რომ მართვის ცვლა წინდებულებთან, გრამატიკალიზაციის პროცესის შედეგს წარმოადგენს. გარდა ამისა, როდესაც წინდებულიან ფრაზაში ხდება ადგილის მონაცვლეობა, ეს წინ უსწრებს ბრუნვის ცვლას და ასევე, გრამატიკალიზაციის პროცესის ნაწილს წარმოადგენს.

გრამატიკალიზაციის მოდელი, როგორც მართვის მონაცვლეობის მამოძრავებელი ძალა, ხდება წინაპირობა ნასახელარ წინდებულებთან მიმართებაში (დი მეოლა 2009: 216–218).

კ. იმზოდენი, კორპუსის კვლევის შედეგად ადგენს, რომ დატივი გენიტივის წინდებულებთან და გენიტივი დატივისა და აკუზატივის წინდებულებთან იქნა გამოყენებული.

1.5. გენიტივი გამოყენებით პლანში. გენიტივთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემატიკის განხილვისას, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე მნიშვნელოვანი და მრავალჯერ განხილული საკითხი - გენიტივის სწავლება გერმანული როგორც უცხო ენის შემსწავლელებთან. ამასთანავე, საკმაოდ საინტერესოა გენიტივის მრავალფუნქციურობის წარმოჩენა გამოყენებითი კუთხითაც. ამ საკითხს მრავალი კვლევა მიემდგვნა, მაგრამ მათ შორის გამოვყოფთ დეიზი ლანგეს, კრისტოფ ბატენის და ერიკ მორგენზენის ნაშრომებს.

გენიტივის გამოყენებით პლანში შესწავლა ყოვეთვის იწყება გერმანულ ენაში ბრუნვის კატეგორიის დახასიათებით და მისი თავისებურებების აღწერით. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ბრუნვა მორფო-სინტაქსური კატეგორიაა, რომლის რეალიზება ნომინალურ ფრაზაში ხდება და წინადადების შიგნით სემანტიკური კავშირით გამოიხატება.

გერმანული ენის ბრუნვათა სისტემა განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა გერმანული ენის - როგორც უცხო ენის, სწავლებასა და დაუფლებაში. არსებობს მოსაზრებები, რომ აღნიშნული სირთულეები განპირობებულია თვით შემსწავლელის მშობლიური ენით, მაგრამ ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ კვლევები ამ მიმართულებით საკმაოდ მწირია.

თანამედროვე გერმანულ ენაში ოთხი ბრუნვაა. თითოეული მათგანი მეტ-ნაკლებად აქტიურ მონაწილეობას იღებს როგორც ნომინალურ ფრაზაში, ასევე ზმნების, წინდებულების და ზედსართავი სახელების მართვაში.

კრისტოფ ბატენი სტატიაში „Der Genitiv als Attributkasus im Fremdsprachenerwerb“ იკვლევს გენიტივის როლს უცხო ენის შესწავლასა და სწავლების პროცესში. მკვლევარი ეყრდნობა ნიდერლანდელი გერმანული ენის შემსწავლელებთან

ჩატარებულ ექსპერიმენტს იმის შესახებ, თუ როგორ გამოხატავენ ისინი გერმანულ ენაში კუთვნილებას. კვლევის საფუძველზე ბატენი აკეთებს დასკვნას, რომ, მაშინ, როცა ბავშვებში, რომელთათვისაც გერმანული ენა მშობლიურია ან მეორე ენაა, სირთულეს წარმოადგენს მარჯვენა პოზიციის გენიტის ატრიბუტის შესწავლა, გერმანული ენის როგორც უცხო ენის შემსწავლებლებს შესწევთ უნარი, მარჯვენა პოზიციის ატრიბუტებს დაურთონ გენიტის მარკირება. ავტორი მათ სამ ჯგუფში აერთიანებს, რომელთაგან პირველი უპირატესობას von-წინდებულიან ფრაზას ანიჭებს; მეორე - გარკვეულწილად ითვალისწინებს გენიტის მარკირებას, თუმცა ხშირად von-წინდებულიან ფრაზას იყენებს და მესამე კი უპირატესობას მარჯვენა პოზიციის ატრიბუტებს ანიჭებს:

„Während Kinder im Erstspracherwerb und im Zweitspracherwerb das nachgestellte Genitivattribut nur mühsam erwerben, sind DaF-Lerner imstande, nachgestellte Attribute mit einer Genitivmarkierung zu versehen. Es lassen sich sequenzmäßig drei Gruppen unterscheiden: Eine Gruppe bevorzugt von-Phrasen; eine zweite Gruppe fügt in geringem Maße Genitivmarkierungen hinzu, aber greift trotzdem noch häufig auf von-Phrasen zurück; eine letzte Gruppe bevorzugt nachgestellte Genitivattribute“ (ბატენი 2013:195).

კ. ბატენი ნაშრომში გენიტის განიხილავს, როგორც ატრიბუტის ბრუნვას, კუთვნილება კი გერმანულ ენაში, როგორც წესი, გამოიხატება მარჯვენა პოზიციის ატრიბუტით, რომელიც საზღვრულს განსაზღვრული ნიშნის მიხედვით, უფრო ზუსტად განსაზღვრავს. ავტორი ასევე მიუთითებს მარცხენა პოზიციის ატრიბუტზე, რომელიც, ძირითადად, საკუთარ სახელებთან ფიგურირებს და არტიკლი არ ახლავს თან. ან კიდევ, ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებზე, რომლის დროსაც ყველა სახელი, განურჩევლად სქესისა, -s დაბოლოებას დაირთავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორი von-წინდებულიან ფრაზის გამოყენებაზე საუბრობს. თუმცა კ. ბატენის მიხედვით, აღნიშნული ფრაზის გამოყენება თანამედროვე გერმანულ ენაში ფართოდ არის გავრცელებული, მაშინაც კი, როცა გენიტის ატრიბუტის გამოყენება სავსებით შესაძლებელი იქნებოდა:

„Zum Ausdruck von Zugehörigkeit im Deutschen wird das Bezugswort in der Regel von einem nachgestellten Genitivattribut näher bestimmt. [...] Es kommen auch vorangestellte

Genitive vor, und zwar wenn es sich um artikellose Eigennamen und Verwandschaftsbezeichnungen wie *Mutter*, *Vater* handelt. Dieser Genitiv wird für alle Genera mit *s* gebildet. Wenn der Gebrauch einer *s*- oder einer *r*-Endung nicht möglich ist, wird eine Präpositionalphrase mit *von* verwendet [...]. Die Ersatzkonstruktion mit *von* ist im Gegenwartsdeutschen allerdings weit verbreitet, auch wenn der Gebrauch eines Genitivattributs durchaus möglich wäre“ (ბატენი 2013:196).

შეჯამების სახით, კ. ბატენი აკეთებს დასკვნას, რომ, როგორც კი პრობანდებმა მარჯვენა პოზიციის გენიტივის ატრიბუტი ათვისეს, **von**-წინდებულიანი ფრაზის გამოყენების სიხშირე შემცირდა, ან საერთოდ აღარ გამოიყენებოდა. ამასთან, შესაძლებელი გახდა ათვისების სამი განსხვავებული ფაზის გამოყოფა; პირველ შემთხვევაში, მოსწავლეები ორ შესაძლო ვარიანტს იყენებენ მყარი სიტყვათწყობით. მეორე ფაზაზე, პირველისგან განსხვავებით ჩნდება გენიტივის მარკირებები. რაც შეეხება მესამე ფაზას, აქ ხდება მარჯვენა პოზიციის გენიტივის ატრიბუტის გამოყენება, **von**-წინდებულიანი ფრაზისა კი მცირდება ან საერთოდ ქრება:

„Insgesamt erwecken diese Beobachtungen den Anschein, dass die Verwendung der *von*-Konstruktionen zurückgeht oder sogar ganz verschwindet, sobald der Genitiv als Attributkasus nachgestellter Phrasen richtig erworben ist. Es lassen sich entsprechend der [...] Gruppeneinteilung also drei Erwerbsphasen unterscheiden (der vorangestellte Genitiv wird dabei nicht berücksichtigt):

1. Die Lerner benutzen die zwei Möglichkeiten mit fester Wortstellung. Dabei werden die *von*-Phrasen bevorzugt. Genitivmarkierung kommt nicht vor.
2. Ebenso wie 1. Phase, aber erste Genitivmarkierungen tauchen auf.
3. Nachgestellte Genitivattribute mit entsprechender Markierung setzen sich durch und *von*-Phrasen nehmen ab oder verschwinden ganz“ (ბატენი 2013:201).

რაც შეეხება მონაცემთა ინტერპრეტაციას, კ. ბატენი ახდენს „ნიშანთა უნიფიცირების“ („Merkmalunifizierung“) მეშვეობით. ამ შემთხვევაში, ავტორის მიხედვით ხდება კონსტიტუენტებს შორის გრამატიკული ინფორმაციების გაცვლა და მათი უნიფიცირება. პირველ ეტაპზე, ავტორის მიხედვით, ნიშანთა უნიფიცირება ფრაზის შიგნით მიმდინარეობს; ქვემდებარისა და ზმნის შეთანხმება მოითხოვს

გრამატიკული ინფორმაციის გაცვლას, რაც ფრაზას სცდება. კ. ბატენი, ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ დედანაზე მოსაუბრის შემთხვევაში, ავტომატურად ხდება ნიშანთა უნიფიცირება, დამწყებთან კი ეს პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს:

„Es lassen sich also drei Entwicklungsstufen unterscheiden:

1. keine Merkmalunifizierung

2. phraseninterne Merkmalunifizierung

3. phrasenübergreifende Merkmalunifizierung“ (ბატენი 2013:202).

კ. ბატენის მიხედვით, ნომინალურ ფრაზაში ხდება ბრუნვის ინფორმაციის გაცვლა და უნიფიცირება კონსტიტუენტებს შორის. ეს გაცვლა კი, ავტორის აზრით, მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, როცა მოსწავლე დაეუფლება ნიშანთა უნიფიცირებას ფრაზებს შიგნით, რაც ერთბაშად არ ხდება.

კ. ბატენი აღნიშნავს, რომ ნიშანთა უნიფიცირება არ არის ერთადერთი თეორია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მონაცემთა განმარტება, თუმცა, მისი აზრით, საინტერესოა უცხო ენის სწავლების პროცესში. ავტორის აზრით შეუძლებელია პროცესის ბუნებრივი განვითარების „ჯობნა“, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ ჰიპოთეზაა სწავლებადობის შესახებ.

ასევე, ავტორი მიუთითებს იმაზე, რომ პრობანდები აღარ ან თითქმის აღარ იყენებდნენ **von**-ფრაზებს, როგორც კი დაეუფლნენ *s* დაბოლოების გამოყენებას. ეს შედეგი კი, ავტორს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რამდენადაც ფრაზებს შიდა ნიშანთა უნიფიცირება არ გულისხმობს, რომ ენობრივი სტრუქტურების ადრეულ საფეხურზე გამოყენება არ შეიძლება. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ამ მოსაზრებას.

გამოყენებით პლანში განსხვავებულად და, ვფიქრობთ, საინტერესოდ განიხილავს **დეიზი ლანგე** გენიტის სტატიაში „Der Genitiv in der „Leichten Sprache“ – das Für und Wider aus theoretischer und empirischer Sicht“ (ლანგე 2019)

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „მარტივი ენა“⁵ ითვალისწინებს კომუნიკაციას ბარიერების გარეშე, რომელიც შექმნილია კოგნიტიური შეზღუდვების მქონე ადამიანებისათვის. თავდაპირველად, „მარტივ ენასთან“ დაკავშირებით, გარკვეული საკითხები იქნა

⁵ „Leichte Sprache“. საკუთარი თარგმანი.

გამოკვლევითი პროექტის „Leichte Sprache im Arbeitsleben“ ფარგლებში. კვლევის ძირითად საგნად, სწორედ გენტივი იქნა არჩეული. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, გონებრივი შეზღუდვის მქონე და, მეორე მხრივ, წერა-კითხვის უცოდინარი პირები. ანალიზით უნდა დადგენილიყო, რამდენად რთული იქნებოდა გენტივი ამ ორი ჯგუფისთვის, ვინაიდან მკვლევრები რეკომენდაციას უწევდნენ მათთვის გენტივის დატივური **von**-წინდებულებით ფრაზით ჩანაცვლებას.

დ. ლანგეს თანახმად, გენტივის თემასთან დაკავშირებული კვლევის ორივე ფაზის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რამდენად გამოყენებადი და აღქმადია გენტივი ზემოთ დასახელებულ სამიზნე ჯგუფებში.

რაც შეეხება გამოყენებას, დადგენილ იქნა, რომ გენტივი ე.წ. „მარტივ“ ტექსტებში გვხვდება ძირითადად, ატრიბუტის ფუნქციით. ავტორის აზრით, საერთოდ, დებატები გენტივის და შესაძლებელი სუბსტიტუციური ფორმების ირგვლივ იმაზე მეტყველებს, რომ „მარტივი ენის“ წესები ნაწილობრივ ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ამით საეჭვოს ხდის მათ გამოყენებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იგი ასახელებს მოკლე წინადადებების გამოყენებას, მაგრამ ნომინალიზირებისა და დამოკიდებული წინადადების აკრძალვას.

„Insgesamt bezeugt die Auseinandersetzung mit dem Genitiv und möglichen Substitutionsformen, dass die Regeln „Leichter Sprache“ zum Teil im Widerspruch zueinander stehen und so zwangsläufig für Unsicherheit in der Umsetzung sorgen (z.B.: geringe Satzlänge, aber Nominalisierungs- und Nebensatzverbot)“ (ლანგე 2019:37-72).

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დ. ლანგე საერთოდ კითხვის ქვეშ აყენებს მოცემულ სამიზნე ჯგუფებში გენტივის გაგების პრობლემებს და სუბსტიტუციის საჭიროებას. იგი აღნიშნავს, რომ ემპირიულ დასკვნებში კვლევის დროს გამოყენებული ტესტიდან არანაირი ევიდენსი ამისა არ მოიპოვება. რაც შეეხება აღქმის თვალსაზრისით **von**-ფრაზის უპირატესობას გენტივის ატრიბუტების ტიპებთან მიმართებაში, ეს მხოლოდ მინიმალური, მაგრამ უმნიშვნელოა, და ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა ორივე სამიზნე ჯგუფში პოსესიურ ატრიბუტებთან. კორპუსის შედეგებით, გენტივის გამოყენება პოსესიური ატრიბუტის ფუნქციით, ნაკლებად ფიგურირებს. და, თუ ეს ასეა, დ. ლანგეს აზრით, ეს მეტყველებს „მარტივი“

ტექსტების პრაქტიკის ნეგატიურ გავლენაზე წერილობითი და ზეპირი მეტყველების დაუფლებისას და, რომ წესები სასწრაფოდ გადახედვას საჭიროებს.

გენიტივის ატრიბუტების განვრცობამ, ასევე აჩვენა სირთულე „მარტივ ენაში“ პარტიტიული ატრიბუტის აღქმის კუთხით, როგორც von წინდებულიან, ასევე გენიტიურ ფრაზაში. თუმცა, ავტორი ამ შედეგს არ მიიჩნევს მნიშვნელოვნად. თითქმის უპრობლემო აღმოჩნდა ასევე ნომინალიზაციის ორივე სახეობა. ის გამოიყენება უმეტეს შემთხვევაში, გენიტივში კი უფრო კარგად იქნა აღქმული, ვიდრე წინდებულიან სუბსტიტუტში. ეს კი, ავტორის აზრით, ეწინააღმდეგება გენიტივისა და ნომინალიზაციის უგულებელყოფას, და, მოკლე წინადადებების გამოყენებას უფრო არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, ვიდრე ნომინალიზაციისას.

დ. ლანგეს საინტერესოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ ორივე სამიზნე ჯგუფში, გადაწყვეტილების მიღების კუთხით, უმნიშვნელო განსხვავება დაფიქსირდა გენიტიური და von სტრუქტურების აღქმაში. ეს კი, მისი აზრით, ამყარებს კრიტიკას იმის თაობაზე, რომ „მარტივი ენა“ უნივერსალურ და ყველაზე მორგებულ კონცეპციას წარმოადგენს. ავტორი თვლის, რომ მსგავსი კვლევა საჭიროა ჩატარდეს უფრო დიდ ჯგუფებში და ტესტის უფრო ჰომოგენური გადანაწილებით, რათა უფრო განზოგადებული შედეგი იქნას მიღწეული ამ მიმართულებით.

რაც შეეხება ტესტის მოცულობას, დ. ლანგე მიიჩნევს, რომ გენიტიური ატრიბუტების დანაჩენი სახეობებიც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. ასევე, გამოკვლეული უნდა იქნას, თუ რა ზეგავლენას ახდენს გენიტიური სტრუქტურებისა და მათი სუბსტიტუტების სემანტიკური, მორფოლოგიური და სტრუქტურული მახასიათებლები მათ აღქმაზე. ტესტმა, მისი აზრით, შესაძლებელი გახადა ამ ფაქტორების შესახებ ცალკეული ჰიპოთეზების წამოყენება:

„Weiterer Forschungsbedarf besteht zudem zur Verständlichkeit hier nicht einbezogener Genitivtypen, wie etwa dem Genitivus definitivus/explicativus, qualitatis oder superlativus, sowie zum Einfluss semantischer, morphologischer oder struktureller Eigenschaften der Genitivkonstruktionen bzw. derer Substitute auf das Verstehen. Der Verständnistest ermöglicht es, vereinzelt Hypothesen zu diesen Einflussfaktoren aufzustellen“ (ლანგე 2019:68).

გენტივის გამოყენებითი კუთხით განხილვა შეეხება არა მარტო სასწავლო პროცესს, არამედ, ამ კუთხით ტერმინოლოგიურ სირთულეებსაც. ამას მოწმობს **ერიკ მორგენზენის** სტატია „Die Termini direktes und indirektes Objekt in der Grammatik: Gebrauch und Relevanz im DaF-Unterricht“, რომელშიც გამოკვლეული და განხილულია აღნიშნული ტერმინები სხვადასხვა აღიარებული გრამატიკების მასალაზე. კვლევა ეყრდნობა დანიელ გერმანული ენის შემსწავლელებთან ჩატარებულ ექსპერიმენტს. ასევე, არის მცდელობა აღნიშნული პრობლემის საინტერესოდ გადაწყვეტისა:

„Zum Gebrauch der Termini in ausgewählten Grammatiken. Zunächst einmal sei darauf hingewiesen, daß die genannten Termini nicht in allen Grammatiken des Deutschen benutzt werden.! In diesen Grammatiken finden sich ausschließlich Bezeichnungen wie Genitivobjekt, Akkusativobjekt usw. In vielen anderen Darstellungen kommen die Bezeichnungen direktes und indirektes Objekt aber neben den morphosyntaktischen Bezeichnungen vor.? Es geht mir im folgenden darum, diese letztere Gruppe von Grammatiken etwas näher zu betrachten, und zwar erst einige für Dänen abgefaßte Schulgrammatiken des Deutschen, dann einige größere Nachschlagewerke für den Universitätsgebrauch“.⁶ (მორგენზენი 2021:645)

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კვლევები ძალიან საინტერესოა, რადგან ვთვლით, რომ მსგავსი კვლევები კიდევ უფრო სრულყოფილ პასუხს გაცემს იმ კითხვებზე, რომლებიც, უკვე დიდი ხანია, გენტივთან დაკავშირებით ჩნდება.

1.6. გენტივი როგორც სტილისტური საშუალება. როგორც უკვე აღინიშნა, გენტივი სხვა ბრუნვებისაგან გამოირჩევა, როგორც მრავალფუნქციური ბრუნვა. საინტერესოა გენტივის, როგორც სტილისტურ საშუალების აღწერა და გამოკვლევა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გენტივი, როგორც სტილისტური საშუალება, უნდა იქნეს განხილული დიაქრონიასთან კავშირში, რადგან დროითი ფაქტორი დიდწილად განსაზღვრავს გენტივის, როგორც მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლის არსს და რაობას. ამ მხრივ, გერმანულ ენათმეცნიერებაში არსებობს კვლევები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ. მათ შორის გამოვყოფდით **ქრისტინ შეცლეს** სტატიას

⁶ Mogensen, Jens Erik: Die Termini direktes und indirektes Objekt in der Grammatik: Gebrauch und Relevanz im DaF-Unterricht. From the journal [Informationen Deutsch als Fremdsprache](https://doi.org/10.1515/infodaf-1994-210605) <https://doi.org/10.1515/infodaf-1994-210605> Requires Authentication Published by [De Gruyter](https://doi.org/10.1515/infodaf-1994-210605) August 28, 2021.

„Genitiv als Stilmittel in der Novelle“, სადაც ის აღნიშნულ საკითხს განიხილავს პაულ იოჰან ლუდვიგ ფონ ჰაიზეს კრებულზე „Deutscher Novellenschatz“ დაყრდნობით. როგორც ავტორი აღნიშნავს, ბოლო საუკუნეების მანძილზე უფრო და უფრო პროგრესირებს გენტივის უკანდახევა გერმანულ ენაში, რასაც იგი სხვადასხვა კორპუსის ანალიზით ადასტურებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა არ ეხება გენტივის ყველა კონსტრუქციას. გარდა ამისა, ავტორის თანახმად, რამოდენიმე ავტორთან გენტივი გამოიყენება, როგორც სტილისტური საშუალება, რათა ნოველებს არქაული, ასევე მაღალფარდოვნების ელფერი მიანიჭოს.

ენის ცვლილება გავლენას ახდენს ენის გამოყენების ყველა სფეროზე. იგი მოიცავს არა მარტო ლექსიკურ, სემანტიკურ და სინტაქსურ, არამედ სხვა ენობრივ დონეებსაც. მაგალითად, სტილისტურს.

ქ. შეცლეს თანახმად, საყოველთაოდ ცნობილი გენტივის გაქრობა ხშირად სახელდება, როგორც გერმანული ენის დაცემის ან საერთოდ უკუგანვითარების ინდიკატორი.

უნდა აღინიშნოს, რომ ენის ცვლილებები დიდი ხანია მიმდინარეობს, რაც ქ. შეცლეს თანახმად, პირველ რიგში, კონკურენტული ენობრივი საშუალებების ვარიაციებში აისახება. ენობრივ კომუნიკაციაში ამ ვარიაციების თანამონაწილეობა ხდება, როგორც სტილისტური საშუალებისა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ადვერბიალური გენტივი, რომლის გამოყენება სტანდარტულ ენაში არც თუ ისე ხშირია, თუმცა იკვეთება მისი გამოყენება მაღალფარდოვანი სტილის შრეებში და სპეციალურ სტილისტურ რეგისტრში.

ქ. შეცლემ გამოიკვლია XIX-XXI საუკუნეების გერმანულ ენაში გენტივის დიაქრონია სხვადასხვა დროითი მონაკვეთის მხატვრული ტექსტების საფუძველზე. კვლევის ობიექტს წარმოადგენს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს Novelle (XIX საუკუნე), თომას მანის Tod in Venedig (XX საუკუნე) და უვე ტიმის Die Entdeckung der Currywurst (XXI საუკუნე).

კვლევამ კიდევ უფრო განამტკიცა ზემოთ აღნიშნული იმის თაობაზე, რომ, მართალია, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე შეინიშნება ზოგადად გენტივის

გამოყენებაში უკუსვლა, მაგრამ ზოგიერთი გენიტიური კონსტრუქცია, სტილისტურ დონეზე მაინც შენარჩუნებულია თანამედროვე ენაში.

აჯამებს რა კვლევის შედეგებს, ქ. შეცლემ აღნიშნავს, რომ გენიტივი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ძირითადად ადნომინალური მნიშვნელობით გამოიყენება, რაც უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული არტიკლით და კუთვნილებითი ნაცვალსახელებით წარმოჩინდება. შესაბამისად, ავტორი მიუთითებს, რომ ერთი მხრივ, როგორც გენიტივის ამ ტიპის, ასევე კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფუნქცია კუთვნილების გამოხატვაა. მეორე მხრივ, განსაზღვრული არტიკლის გამოყენების სიხშირე შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ იგი, როგორც წესი, კიდევ უფრო ზუსტად აღწერენ ნაცნობი საგნებს, მაგალითად, კუთვნილებასთან ან ფლობასთან მიმართებაში.

რაც შეეხება ადნომინალური გენიტივის განსაზღვრული არტიკლით გამოყენების სიხშირეს, ავტორს მიაჩნია, და ჩვენც სრულიად ვიზიარებთ, რომ სავარაუდოდ ეს განპირობებულია იმით, რომ განსაზღვრული არტიკლი უფრო ზუსტად აღწერს ნაცნობ საგნებს მათი ფლობის ან მათზე კუთვნილების მიმართებაში.

ადნომინალური გენიტივის შენარჩუნებაში თავისი წვლილი შეაქვს ასევე ე.წ. **s-გენიტივს**, რომელიც გამოირჩევა თავისი მარკირებით და სპეციფიურობით:

„Die [...] Ergebnisse zeigen, dass der Genitiv bereits in den letzten beiden Jh. im Wesentlichen adnominal gebraucht wird. Der Erhalt dieses Genitivtyps basiert vor allem auf den hohen Anteilen der adnominalen Genitive mit definitivem Artikel sowie mit Possessivpronomina. Das häufige Auftreten der Possessivpronomina kann auf die Natur des adnominalen Genitivs selbst zurückgeführt werden, da das Genitivattribut wie auch die Possessivpronomen dazu dienen, eine Besitzrelation anzuzeigen. Ferner treten die adnominalen Genitive mit definitivem Artikel vermutlich deshalb jeweils am häufigsten auf, weil sie generell zur näheren Beschreibung bekannter Entitäten, z.B. in Bezug auf deren Besitz oder Zugehörigkeit, gebraucht werden. Des Weiteren trägt auch die Stabilität des s-Genitivs zum Erhalt des adnominalen Genitivs bei“ (შეცლე 2017: 138).

მიუხედავად ყველაფრისა, აღნიშნული კვლევით საერთო ჯამში იკვეთება **პრენომინალური გენიტივის** გამოყენების რაოდენობრივი კლება, **ადვერბიალური**

გენიტივი მე-19 საუკუნეში უკვე ნაკლებად ფიგურირებს, ასევე აღარ არის აქტუალური ამ პერიოდში **ზედსართავი სახელები გენიტივით**, მაშინ, როცა **გენიტივის წინდებულები** კვლავ სტაბილურობას ინარჩუნებს. რაც შეეხება **თავისუფალ გენიტივს**, ავტორი აღნიშნავს, რომ მითითებულ დროის მონაკვეთში იგი სტაბილურია, თუმცა ჯერ კიდევ მყარ გამოთქმებში ფიგურირებს და აღარ არის პროდუქტიული.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საინტერესოა გენიტივის მართვიანი ზმნების განხილვა სტილისტიკის დონეზე. აღსანიშნავია, რომ გერმანულ ენაში საკმაოდ შემცირდა იმ ზმნების რაოდენობა, რომლებიც გენიტივის ობიექტს მოითხოვენ, ან სრულიად კარგავენ, ან მათი ჩანაცვლება ხდება წინდებულიანი ან უწინდებულო დატივის ფორმებით.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ზმნას (sich) erinnern, რომელსაც ადრე წინდებულიანი მართვის ნაცვლად გენიტივი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტი თომას მანის რომანიდან შედარებით ახალია და მე-20 საუკუნეს მიეკუთვნება, ზმნა erinnern ამგვარი მართვით, უკვე სტილისტურად მოძველებულ ფენას და არქაიზმებს მიეკუთვნება:

„**Erinnern sie sich des Gartens**, mein Herr, **des alten, verwucherten Gartens** hinter dem grauen Patrizierhause? Das grüne Moos sproß in den Fugen des verwitterten Mauern, die seine verträumte Wildnis umschlossen. **Erinnern Sie sich auch des Springbrunnens** in seiner Mitte? Lilafarbene Lilien neigten sich über sein morsches Rund, und sein weißer Strahl plauderte geheimnisvoll auf das zerklüftete Gestein hinab. Der Sommertag neigte sich“ (Th.Mann, Tristan 1947: 60).

აღსანიშნავია, რომ დღესაც ზოგიერთ ზმნას გენიტივის ობიექტით, თავისი ფუნქციები სრულად არ ამოუწურია და თანამედროვე გერმანულში მაღალფარდოვანი ან ოფიციალური სტილის საჩვენებლად გამოიყენება. მაგალითად, ზმნა gedenken (Gen.) ძირითადად გვხვდება ისეთ ტექსტებში, სადაც ვინმესადმი ხსოვნა და პატივის მიგებაა გამოხატული:

„Will Kultursenator Thomas Flierl (Linkspartei.PDS) der Mauer und **ihrer Toten** wirklich **gedenken**?“ (Berliner Zeitung, 23.12.2005)

„Meine Zunge soll an meinem Gaumen kleben, wenn ich **deiner** nicht **gedenke**, wenn ich nicht lasse Jerusalem meine höchste Freude sein.“ (Die Zeit, 17.12.2017, Nr. 52)

„Wir luden am Sonnabend nach dem Frühstück, also mittags, die Fahrräder ins Auto, parkten dieses kurz vor der Glienicker Brücke am Rande der Königstraße und radelten, **des Kommissars Palu gedenkend**, "an einer der schönsten Uferpromenaden Europas" an der Havel entlang“. (Berliner Zeitung, 03.12.2005)⁷

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ წარმოდგენილი მრავალფეროვანი კვლევები და მათი ანალიზი, ნათლად წარმოაჩენს გენტივის, როგორც ბრუნვის თავისებურებებს და განამტკიცებს აზრს გერმანულ ენაში მისი განსხვავებული მნიშვნელობისა და ფუნქციების შესახებ.

⁷ <https://www.dwds.de/r/?corpus=dta&q=gedenken> მოძიებულია 15.07.2018

თავი 2. გენტივის პრობლემატიკა სინქრონიულ ჭრილში.

2.1. გენტივის ზოგადი განხილვა. მორფოლოგიური ანალიზი. გენტივი გერმანული ენის ბრუნვათა სისტემაში რიგით მეორე ბრუნვაა, რომელიც ენათმეცნიერთა აზრით, საკმაოდ გამორჩეულია თავისი ფორმითა და ფუნქციით:

„Der Genitiv wird im Deutschen traditionell auch als „2. Fall“ bezeichnet und mit wessen? Erfragt. Die Grundbedeutung des Genitivs ist der Ausdruck von Possessivität und Partitivität“ (ჰენჩელი 2010:108).

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე „პრობლემური“ ბრუნვაა გერმანული ენის ბრუნვათა სისტემაში. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია მისი გამოყენების თვალსაზრისით, რაც გულისხმობს კონკურენციას სხვა მსგავს კონსტრუქციებთან, რომელთა კვლევაც მოცემული ნაშრომის ძირითად საგანს წარმოადგენს. მეორე მხრივ, კი გენტივის პრობლემურ მხარეს ქმნის მისი ფორმა, კერძოდ, მამრობითი სქესის ძლიერი ბრუნების და საშუალო სქესის სახელები:

„Der Genitiv bereitet im Deutschen viele Probleme. Es gibt hier einerseits die bekannten Gebrauchsprobleme, etwa die Konkurrenz mit anderen Konstruktionen (keineswegs nur die überstrapazierte Konkurrenz mit dem Dativ), siehe dazu die Zusammenstellung in Duden (2016, Randnummern 1534–1540). Und zum anderen gibt es Formprobleme, namentlich bei den starken Maskulina und Neutra. 1 Wie in der Publikation von Konopka & Fuß (2016) nachgewiesen wurde, handelt es sich dabei nicht um eine schlichte Dreifachopposition -es vs. -s vs. null; so gut wie immer stehen sich nämlich entweder die lange und die kurze Endung oder aber die kurze Endung und gar keine Endung gegenüber“ (ციმერი 2018:1)

მიგვაჩნია, რომ გენტივის არსისა და რაობის უკეთ გაგებისათვის, აუცილებელია გენტიური მნიშვნელობების კლასიფიკაცია, გენტივის მორფო-სინტაქსური და სემანტიკურ-პრაგმატული ფუნქციების მიმოხილვა, და მასთან დაკავშირებული საკითხების აღწერა-გამოკვლევა.

გენტივი, იშვიათად, გენეტივი, წარმოშობილია ლათინურიდან **genus, generis**, რაც ნიშნავს: ‚სქესი‘, ‚წარმოშობა‘. ტრადიციულად, მას მეორე ბრუნვასაც უწოდებენ,

ხოლო კითხვიდან გამომდინარე, რომელიც მოცემულ ბრუნვას დაესმის, მას ასევე უწოდებენ: „Wes-Fall“

გრამატიკის ზოგიერთი მკვლევარის (ვ. ადმონი, ჰ. პაული, გ. ჰელბიგი, ჰ. ბრინკმანი), გენტივის თანამედროვე გერმანულ ენაში უპირველეს ფუნქციად მიიჩნევს მის ატრიბუტულ ფუნქციას. გამონაკლისს არ წარმოადგენს ადმონი, რომლის მიხედვითაც, გენტივის განზოგადებული ფუნქცია არის ერთი რეალური ცნების მეორესთან კავშირი (პეტრავეჩიუსი 1979:26).

კოპფის მიხედვით აიხინგერი გენტივს სისტემის პერიფერიულ ბრუნვას უწოდებს, რომლის მარგინალიზაცია კვლავ გრძელდება. ამასთან შემორჩენილი გენტივები ან მაღალ სტილს ებღაუჭება (**harren, sich bedienen, bemächtigen, erfreuen, rühmen**) ან კიდევ გარკვეულ დარგობრივ ენას (**jmd. bezichtigen, beschuldigen, verweisen, ...** იურისპრუდენციის სფეროსთვის). ეს ის ფენომენია, რომელიც ცალკეულ ენობრივ გადმონაშთებში შეინიშნება ხოლმე. აიხინგერი აქ პარალელს ავლებს მსგავს ენობრივ მოვლენებზე გამოყენებიდან თითქმის მთლიანად გამქრალ დატივის -e დაბოლოებასთან (**im Walde, in diesem Sinne, dem Kinde**).

„Eichinger bezeichnet den Genitiv als einen »Randfall des Systems«, und wie man hier sieht, wird er weiter marginalisiert. Dabei klammern sich die verbliebenen Genitive an eine höhere Stilebene (*harren, sich bedienen, bemächtigen, erfreuen, rühmen*) oder an bestimmte Fachsprachen (*jmd. bezichtigen, beschuldigen, verweisen, ...* für den juristischen Bereich). Das ist ein Phänomen, das sich bei sprachlichen Relikten regelmäßig beobachten lässt. Eichinger verweist auf ähnliche Erscheinungen bei der fast völlig verschwundenen Verwendung des Dativ-e (*im Walde, in diesem Sinne, dem Kinde*)“ (კოპფი 2013).

„ბრუნვის ცვლის შესაძლო მიზეზად იგი ასახელებს სისტემის არაერთმნიშვნელოვნებას:

	M	N	F
Genitiv	eines lauten Hundes	eines lauten Kindes	einer lauten Menge
Dativ	einem lauten Hund	einem lauten Kind	einer lauten Menge“ (კოპფი

2013).

უნდა აღინიშნოს, რომ თუ არსებითი სახელი და მისი თანმხლები მდებარეობითი სქესისაა (როგორც ჩვენს შემთხვევაში *die Menge*), მაშინ დატივსა და გენტივში

განსხვავებული ფორმები არ გვაქვს. ვინაიდან მდედრობითი სქესის არსებითი სახელები ხშირია, აქ შეიძლება საზღვარი უფრო და უფრო გაქრეს, რაც შემდეგ იწვევს ახალი განმარტებების საჭიროებას მამრობით და საშუალო სქესის არსებით სახელთა სასარგებლოდ.

მეორე მხრივ - განიხილება ისეთი შემთხვევები, როგორცაა **auf das Ende harren** - შეიძლება სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე ზმნა იყოს წინდებულიანი ობიექტის პროტოტიპი. მაგალითად, **warten auf**.

ჰაინც ფათერის მიხედვით, ბრუნვის შერჩევასა გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, თუ რომელ ბრუნვას მოითხოვს ზმნა, ზედსართავი სახელი, წინდებული და, მოცემული კვლევის გათვალისწინებით, არსებითი სახელი, რომელიც გენიტიური სტრუქტურის ბირთვს წარმოადგენს. ბრუნვის ფორმის შემთხვევაში, პირიქით, საუბარია დაბოლოებაზე, რომელიც ამა თუ იმ ბრუნვას განეკუთვნება. აქვე ის მიუთითებს ბრუნვათა ფორმებში მომხდარ ცვლილებებზე, მათ შორის არის **გენიტივის -s** დაბოლოების დაკარგვაც **მამრობითი და საშუალო** სქესის სახელებთან:

Bei der Kasuswahl geht es darum, welchen Kasus ein Verb, ein Adjektiv, ein Substantiv oder eine Präposition regiert bzw. welcher Kasus sich in Appositionen oder koordinierten NPs findet. Bei der Kasusform dagegen geht es um die Endung, die einem gewählten Kasus zugeordnet wird [...]. Ich behandle folgende Veränderungen in den Kasusformen: Wegfall des Genitiv-*s* bei Maskulina und Neutra, [...] (ფათერი 2009:129).

საინტერესოა, რომ აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით გავრცელებულია მასმედიის ენაში. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამოდენიმე მაგალითს ბეჭდური მედიიდან:

Auf dem Gründungsparteitag der Kommunistischen Partei Deutschlands am 31. Dezember 1918 beschreibt die sozialistische Vordenkerin den **Charakter des 9. November** so:⁸

⁸ Süddeutsche Zeitung 2018; Bericht von Robert Probst: Spartakusaufstand Januar 1919: Als in Berlin der Bürgerkrieg tobte; <https://www.sueddeutsche.de/politik/spartakus-aufstand-rosa-luxemburg-liebknecht-spd-noske-buergerkrieg-revolution-weltkrieg-freikorps-1.4240607-0#seite-2>

Das wäre ein fatales Signal - zumal Sie ja seit einiger Zeit als eine Art **Klassensprecher des westlichen Balkan** auftreten.⁹

Keine **Abschaffung des Soli**, keine Bildungsreform, kein Digitalministerium, kein Einwanderungsgesetz.¹⁰

სამივე მსაზღვრელი, **November, Balkan** და **Soli**, გენტივის დაბოლოების გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენტივის დაბოლოება **-s** არ გვხვდება სუსტი ბრუნების მამრობითი სქესის არსებით სახელებთან, სადაც **-s** დაბოლოებას **-en** დაბოლოება ენაცვლება. მაგალითად:

Die Sorge des scheidenden Präsidenten der Demokratischen Republik Kongo war unbegründet, schon vor Sonnenaufgang hatten sich Millionen Wähler auf den Weg gemacht, um dafür zu sorgen, dass zum ersten Mal seit der Unabhängigkeit 1960 ein Machtwechsel durch Wahlen gelingt.¹¹

-s დაბოლოებას არ ღებულობს ასევე **-us** სუფიქსზე დაბოლოებული მამრობითი სქესის არსებითი სახელი, როგორც ეს შემდეგ მაგალითშია:

Da sich die Nato jedoch von Anfang an auch darüber legitimiert hatte, **ein Wiedererstarken des Nationalismus** zu verhindern und die europäische Einigung voranzutreiben, entstanden durch die veränderte geopolitische Lage neue Herausforderungen.¹²

მომდევნო მაგალითში, არსებითი სახელი **Das Titelbild** გამოყენებულია **-s** დაბოლოების გარეშე, თუმცა სალიტერატურო ენაში მსგავსი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული:

⁹ Spiegel online 2019; Interview von Walter Mayr: Serbiens Präsident Vucic "Ich würde in Brüssel gehängt"; <https://www.spiegel.de/politik/ausland/serbiens-praesident-aleksandar-vucic-im-interview-ich-wuerde-in-bruessel-gehaengt-a-1297524.html>

¹⁰ Spiegel online 2019; Interview von Severin Weiland: FDP-Chef Lindner "Vielleicht sind wir manchmal zu ängstlich"; <https://www.spiegel.de/politik/deutschland/fdp-chef-christian-lindner-im-interview-vielleicht-sind-wir-manchmal-zu-aengstlich-a-1285436.html>

¹¹ Süddeutsche Zeitung 2018; Bericht von Constanze von Bullion, Berlin: Afrika: Der Kongo wählt. <https://www.sueddeutsche.de/politik/merkel-neujahrsansprache-regierung-1.4270684>

¹² Spiegel online 2019; Bericht von [Almut Cieschinger](#) und [Mara Küpper](#): Verteidigungsbündnis des Westens Zum 70. Geburtstag - was man über die Nato wissen muss: <https://www.spiegel.de/politik/ausland/die-nato-wird-70-was-man-ueber-das-buendnis-wissen-muss-a-1261001.html>

Kurz nach Ende des TV-Duells wurde die Änderung des Namens, der Beschreibung und **des Titelbild** wieder rückgängig gemacht.¹³

წარმოვადგენთ გენიტიური დაბოლოების თავისებურებებს ჩვენს მიერ მოძიებული ილუსტრაციების მაგალითზე, რომლებიც თვალსაჩინოს ხდიან მის განსხვავებულ ფუნქციონირებას ბეჭდური მედიის ენაში.

1) გენიტიური ფლექსიის თავისებურება **საკუთარი სახელებთან**.

როგორც წესი, ნორმატიულ ენაში მიღებულია **-s** დაბოლოება საკუთარ სახელებთან, თუმცა, გვაქვს გამონაკლისი შემთხვევები:

Maas' Vorstoß wurde am Rande einer Ukrainereise am Dienstag bekannt.¹⁴

Ross' einziges sichtbares Relikt aus alten Tagen ist sein akkurater Dreiteiler.¹⁵

Da wirkte er von **Scholz' Angriffslust** überrumpelt.¹⁶

Nach der vorigen Wahl im April schienen die Gespräche zwischen **Sánchez' sozialistischer PSOE** und **Pablo Iglesias' linkspopulistischer Podemos** recht weit fortgeschritten.¹⁷

პირველ ორ შემთხვევაში საქმე გვაქვს საკუთარ სახელებთან, რომელთაგან ერთი ბოლოვდება **-s**-ზე, მეორე კი ორმაგ **-s**-ზე. მესამე მაგალითში კი საკუთარი სახელი ბოლოვდება **-z**-ზე. სწორედ ეს არის მიზეზი გენიტივის **-s** დაბოლოების შერწყმისა ფუძის თანხმობებთან. მეოთხე მაგალითში კი ორივე შემთხვევის დემონსტრირება ხდება. წერილობით ენაში ეს გამოისახება აპოსტროფით. დუდენის გრამატიკის მიხედვით, მსგავსი ფორმები, თითქმის ყოველთვის, წინა პოზიციის გენიტივის განსაზღვრებად გვევლინება, რასაც ოთხივე მაგალითი მოწმობს. თუმცა, უნდა

¹³ Spiegel online 2019; Nachricht: Während britischem TV-Duell Tories benennen eigene Twitter-Seite in "FactcheckUK" um. Quelle: kko/dpa; <https://www.spiegel.de/politik/ausland/boris-johnson-vs-jeremy-corbyn-tories-benennen-twitter-seite-in-factcheckuk-um-a-1297317.html>

¹⁴ Spiegel online 2019; Bericht von [Christoph Schult](#): Macrons "Hirntod"-Äußerung Maas will die Nato wiederbeleben: <https://www.spiegel.de/politik/ausland/heiko-maas-will-nato-nach-hirntod-kritik-von-emmanuel-macron-wiederbeleben-a-1297288.html>

¹⁵ Zeit online 2015; Bericht von Kerstin Kohlenberg: "Ich habe da mitgemacht"; <https://www.zeit.de/2015/52/diplomatie-demokratie-diplomat-vereinte-nationen-luegen>

¹⁶ Spiegel online 2019; Bericht von [Christian Teevs](#): SPD-Kandidatenduell Bald fertig: <https://www.spiegel.de/politik/deutschland/spd-kandidatenduell-showdown-der-sozis-a-1297069.html>

¹⁷ F.A.Z. 2019: Politisches Interview von Anna-Lena Ripperger: Interview zur Wahl in Spanien: „Irgendein Wunder muss geschehen“; Quelle: FAZ.NET. https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/interview-mit-susanne-gratius-ueber-die-wahl-in-spanien-16476907.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

აღინიშნოს, რომ აქ იკვეთება ზღვარი ზეპირ და წერილობით ენებს შორის, რადგან ეს მორფოლოგიური მოვლენა წერილობით ენაში უფრო მკაფიოდ ჩანს.

რაც შეეხება ზეპირ ენას, აქ გენტივის ნაცვლად ხშირად გამოიყენება კონსტრუქცია **von** წინდებულით:

Seit dem **Rücktritt von Andrea Nahles** Anfang Juni steckt die SPD in einem Selbstfindungsprozess.¹⁸

In einem Vorort von Damaskus stellten syrische Rebellen im Oktober Käfige auf, in denen sich Offiziere der Regierungsarmee und deren Familienangehörige befanden.¹⁹

გენტივის მარკირებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი მომენტი იკვეთება. კერძოდ, საუბარია შეწყვილებულ ფორმებზე, ე.წ. სიტყვათა მყარ წყვილებზე, რომელთაგან ხშირად წყვილის მხოლოდ მეორე არსებითი სახელი მიიღებს -s დაბოლოებას, როგორც ეს შემდეგ მაგალითებშია:

(a) ein Stück eigenen **Grund und Bodens**, die Dichter **des Sturm und Drangs**, die Verleugnung **seines Fleisch und Blutes**, die Rolle **des Freund und Helfers**.

(b) Aber auch: Dass ein Teil des Neusser **Grundes und Bodens** einst von römischen Legionären bewohnt wurde, ist weithin bekannt. Der bürgerliche Roman hatte vor der Epoche **des Sturms und Drangs** das gleiche Problem (დუდენი 2009:204/313).

ჩვენ მიერ შედგენილ კორპუსში ზემოთ დასახელებული შემთხვევებიდან არც ერთი არ არის დაფიქსირებული.

2)გენტივის დაბოლოება **გეოგრაფიულ სახელებთან**.

ნორმატიული გრამატიკის მიხედვით, გეოგრაფიული სახელი დაირთავს გენტივის -s დაბოლოებას:

In **Diyarbakırs Altstadt** brannte die Moschee.²⁰

თუმცა, შემდეგ მაგალითში **გეოგრაფიული სახელი** გენტივის -s დაბოლოების გარეშეც გამოიყენება:

¹⁸ Spiegel online 2019; Bericht von Christian Teevs: SPD-Kandidatenduell Bald fertig.

<https://www.spiegel.de/politik/deutschland/spd-kandidatenduell-showdown-der-sozis-a-1297069.html>

¹⁹ Süddeutsche Zeitung 2015; Nachricht: Jahresrückblick: Das war das politische Jahr 2015. Quelle: AFP.

<https://www.sueddeutsche.de/politik/jahresueckblick-das-war-das-politische-jahr-2015-1.2768635>

²⁰ Süddeutsche Zeitung 2015; Interview von Luisa Seeling: Kurdenkonflikt in der Türkei: "Europa muss der

Türkei die rote Karte zeigen". <https://www.sueddeutsche.de/politik/kurdenkonflikt-in-der-tuerkei-europa-muss-der-tuerkei-die-rote-karte-zeigen-1.2801789>

Vor welcher monumentalen **Aufgabe der Versöhnung, des Wiederaufbaus verwüsteter Dörfer und der Wiedergutmachung Kolumbien** steht, kann man in El Boquerón erfahren.²¹

იმავე სტატიაში, იგივე **გეოგრაფიული სახელი** ირთავს -s დაბოლოებას:

Über die Transversale Medellín-Bogotá, durch dichten Regenwald und über Passhöhen, quält sich der gesamte Schwerverkehr **zwischen den beiden größten Städten Kolumbiens**.²²

ლუდვიგ აიხინგერი ეყრდნობა ენტონი როულის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ უცხოურ გეოგრაფიულ სახელებთან იკვეთება ვარიაციები, გენიტის -s დაბოლოებით და მის გარეშე. თუმცა, ავტორი ერთგვარ ლოგიკურ ახსნას პოულობს, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ამით სურთ იმის დადგენა, თუ როგორია სინამდვილეში ამ გეოგრაფიული ადგილის სახელი:

„Bekannt ist (siehe Rowley 1988), dass das bei fremderen geografischen Namen systematisch zu Variation führt. Zumindest ein Teil der Logik ist hier klar: Man will im endungslosen Fall klarstellen, wie der Name wirklich heißt“ (აიხინგერი 2012:100):

აღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითს მასმედიის ენიდან:

Anders als die Länder **des westlichen Balkan**, [...]“²³

Für **die Staaten des Westbalkans** ist 2018 ein Jahr der Verheißungen gewesen.²⁴

ამ მხრივ, ასევე საინტერესოა შემდეგი მაგალითები, სადაც ოთხი შემთხვევიდან სამ შემთხვევაში, საკუთარი სახელი გენიტის ბრუნვის მარკირებით არის წარმოდგენილი. ბოლო შემთხვევაში კი, იგივე საკუთარი სახელი ბრუნვის მარკირების გარეშეა. ოთხივე შემთხვევა მოძიებულია ერთი და იმავე წყაროდან, რომელიც ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის:

Zunächst rangen hier die marxistischen Guerrillagruppen „**Revolutionäre Streitkräfte Kolumbiens**“ (Farc) und „Nationale Befreiungsarmee“ (ELN) um die Vorherrschaft.²⁵

²¹ F.A.Z. 2016, Bericht von Matthias Rüb, San Francisco: Kolumbien: Entmintes Gelände

https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/amerika/entmintes-gelaende-muehsamer-wiederaufbau-in-kolumbien-13989649.html?printPageArticle=true#pageIndex_2

²² Ebd.

²³ F.A.Z. 2016, Bericht von Karl-Peter Schwarz, Laibach: Slowenische Grenze: Ein Zaun und seine Gegner

<https://www.faz.net/aktuell/politik/fluechtlingskrise/slowenien-sichert-seine-grenze-und-schafft-fakten-13991196.html>

²⁴ SZ 2018, Bericht von Peter Münch: Europäische Union: Der Südosten wartet.

<https://www.sueddeutsche.de/politik/europaeische-union-der-suedosten-wartet-1.4267982>

²⁵ F.A.Z. 2016, Bericht von Matthias Rüb, San Francisco: Kolumbien: Entmintes Gelände

Über die Transversale Medellín-Bogotá, durch dichten Regenwald und über Passhöhen, quält sich der gesamte Schwerverkehr **zwischen den beiden größten Städten Kolumbiens**.²⁶

Mit ihren noch etwa 1.500 Kämpfern kann die ELN heute jedoch nicht mehr **die Stabilität Kolumbiens** untergraben.²⁷

Vor welcher monumentalen **Aufgabe der Versöhnung, des Wiederaufbaus verwüsteter Dörfer und der Wiedergutmachung Kolumbien** steht, kann man in El Boquerón erfahren.²⁸

ავტორი მსგავსი ვარიაციების თანაარსებობას მამრობითი და საშუალო სქესის გეოგრაფიულ სახელებთან იმით ხსნის, რომ ეს ვარიაციები ფუნქციონალური და ნაწილობრივ სტილისტური ხასიათისაა, თუმცა ეს არანაკლებ გამოწვეულია -s დაბოლოების როგორც გენტივის ძლიერი ხასიათის ნიშნით, რომელიც მისი აზრით ერთი მხრივ უშვებს გარკვეულ შემთხვევაში მის გამოტოვებას, მაგრამ ასევე ამა თუ იმ ფორმით მისი თავისებურების გამოყენებას. (აიხინგერი 2009:255-267)

მსგავს ვარიაციებზე საუბრობს ასევე **ქრისტინ ციმერი**, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მამრობითი და საშუალო სქესის გეოგრაფიულ სახელებთან, რომლებსაც თან ახლავს განსაზღვრული არტიკლი:

„Am wichtigsten ist die Unterscheidung zwischen artikelhaltigem und artikellosem Eigennamengebrauch. Die An- bzw. Abwesenheit eines Artikels wirkt sich auf das onymische Flexionsverhalten aus. So ist bei Maskulina und Neutra Nullmarkierung nur bei realisiertem Artikel eine Option im Genitiv.

Der Kasusausdruck wird hier innerhalb der Nominalgruppe durch den Artikel gewährleistet. Kongruenz ist ebenfalls möglich“ (ციმერი 2020:6).

დუდენის გრამატიკაში განხილულია ასევე საკუთარი სახელები, რომლებიც რამოდენიმე ნაწილისგან შედგება. ძირითადი ნაწილი ამ შემთხვევაში მარჯვნივ დგას, სახელგვარის სწორედ ეს ნაწილი მიიღებს გენტივის -s დაბოლოებას (დუდენი 2009:989/1566).

[Rainer Maria Rilke] → die Gedichte [Rainer Maria Rilkes]

https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/amerika/entmintes-gelaende-muehsamer-wiederaufbau-in-kolumbien-13989649.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

²⁶ Ebd.

²⁷ Ebd.

²⁸ Ebd.

ჩვენს მიერ მოძიებულ მაგალითში, ერთი პიროვნების ორი გვარია მოხსენიებული, რომლებიც ერთმანეთისგან დეფისით არის გამოყოფილი. გენტივის -s დაბოლოებას მიიღებს ბოლოს დასახელებული გვარი, იქნება ის მარჯვენა თუ მარცხენა პოზიციის მსაზღვრელი:

„Bereits vor ein paar Tagen hat die FDP in Syrien eine Blauhelmission gefordert“, sagte die FDP-Verteidigungspolitikerin Marie-Agnes Strack-Zimmermann **zu den Vorschlägen Kramp-Karrenbauers**.²⁹

Daraufhin waren Zweifel daran laut geworden, ob **Kramp-Karrenbauers Plan** nun überhaupt noch Sinn ergibt.³⁰

დუდენი ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმ გვარებზე, რომლებსაც დასაბამიდან ახლავს წინდებული; საუბარია გერმანულ **von**, ჰოლანდიურ **van**, ფრანგულ **de** და იტალიურ **da, di**-ზე. ავტორი დასძენს, რომ ასეთი სახელები ძირითადი წესის მიხედვით იბრუნვის და, როგორც წესი, სახელგვარის ბოლო ნაწილი იღებს გენტივის -s დაბოლოებას. თუმცა აქ გათვალისწინებულ უნდა იქნას ერთი მომენტი, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ისტორიული ან დიდგვაროვანთა სახელგვარებია, მაშინ ისინი von წინდებულთან ერთად ატრიბუტის როლში, ავტორის აზრით განხილულ უნდა იქნას როგორც წარმომავლობის დასახელება. ამ შემთხვევაში, გენტივის -s დაბოლოება ბოლო სახელს დაერთვის. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს გენტივური ატრიბუტი, რომელიც საზღვრულს უსწრებს წინ (დუდენი 2009:989/1566).

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მაგალითიც ზემოთ დასახელებულ შემთხვევას ადასტურებს:

Angela Merkel unterstützt **Ursula von der Leyens Klimapläne**.³¹ (Zeit online 12.12.2019)

²⁹ Zeit 2019. Nachricht: Heiko Maas sieht Redebedarf bei Syrien-Vorstoß. Quelle: ZEIT ONLINE, dpa, stü <https://www.zeit.de/politik/ausland/2019-10/annegret-kramp-karrenbauer-syrien-einsatz-heiko-maas>

³⁰ Zeit 2019. Nachricht: Nato-Partner reagieren verhalten auf Plan für Syrien-Schutztruppe. Quelle: ZEIT ONLINE, dpa, AFP, lu <https://www.zeit.de/politik/ausland/2019-10/annegret-kramp-karrenbauer-syrien-schutztruppe-nato>

³¹ Zeit 2019. Nachricht: EU-Gipfel: Angela Merkel unterstützt Ursula von der Leyens Klimapläne. Quelle: ZEIT ONLINE, dpa, Reuters, AFP, fin <https://www.zeit.de/politik/2019-12/eu-gipfel-klimaplaene-eu-angela-merkel-zustimmung>

როგორც წარმოდგენილმა ანალიზმა აჩვენა, საკმაოდ მრავალფეროვანია გენიტიური სტრუქტურების მორფოლოგიური ვარიაციები მასმედიის ენაში.

2.2. გენიტიური ფლექსიის საკითხისათვის. წარმოდგენილი პრობლემატიკის კვლევისას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, გავრცობილად შევეხოთ ფლექსიის საკითხს გენიტივთან მიმართებაში. როგორც ნებისმიერი ცოცხალი არსება, ასევე იცვლება გერმანული ენის ფლექსიაც, რის გამოც ჩნდება თანამედროვე ვარიანტები, როგორიცაა:

am Rand des Sonnensystems – am Rande des Sonnensystems

der Wasserüberschuss des Tanganika – der Wasserüberschuss des Tanganikas

der Entschluss des Autors – der Entschluss des Autoren

dank **des** Zaubertranks – dank **dem** Zaubertrank (კოპფი 2013)

ფლექსია, ანუ სიტყვათცვლილება, გულისხმობს გრამატიკული ინფორმაციების მარკირებას არსებით სახელზე, ზმნაზე და ზედსართავ სახელზე. გერმანულ ენაში ფლექსიის განვითარებას **ლუდვიგ აიხინგერმა** მთელი თავი მიუძღვნა. იგი ამ ფენომენს ორი პერსპექტივით განიხილავს: ერთი მხრივ, **ლ. აიხინგერი** საუბრობს ცალკეულ **ფორმაცვლილებაზე** (ესენია კონკრეტული დაბოლოებები), მეორე მხრივ კი, მის მიღმა არსებულ სისტემაზე. ამ მხრივ საინტერესოა მისი მოსაზრებები დატივისა და გენიტივის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (აიხინგერი 2013:123).

ასევე მნიშვნელოვანია **ფლექსიის** განმარტება, რომელიც **ელკე ჰენჩელს** ეკუთვნის. კერძოდ, იგი **ფლექსიაში** მოიაზრებს ენის უნარს, სხვადასხვა სახის ცვლილების საშუალებით გამოხატოს გრამატიკული კატეგორიები, აქვე მიმოიხილავს **ფლექსიის** პროტოტიპულ შემთხვევას ე.წ. ფუძისეულ და მის კონკურენტულ, შედარებით ახალ, მაგრამ გერმანულ ენაში ბევრად უფრო გავრცელებულ, ე.წ. **გარეგან** ანუ **აფიქსალურ** ფლექსიას (ჰენჩელი 2010:85).

ფლექსიის განმარტებას იძლევა **ე. ჰენჩელი** ასევე თავის წიგნში „Deutsche Morphologie“, სადაც იგი **ფლექსიას** არათავისუფალ (თანმხლებ) „**დაბმულ**“ **გრამატიკულ მორფემას**, იგივე ფორმანტი ანუ აფიქსი, უწოდებს, რომელიც ერთდროულად რამოდენიმე გრამატიკული კატეგორიის გამოხატვას ემსახურება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იგი ასახელებს -es დაბოლოებას, რომელიც როგორც

ბრუნვის, ასევე რიცხვის კატეგორიას გამოხატავს, -te დაბოლოება კი, როგორც პირისა და რიცხვის, ასევე დროის კატეგორიებს. ამით განსხვავდება ფლექსია აგლუტინაციისაგან, რომლის შემთხვევაშიც ერთი მორფემა მხოლოდ ერთ გრამატიკულ კატეგორიას გამოხატავს:

„Flexion (von lat.flectere ‚biegen‘; engl.:inflection). Wenn ein gebundenes grammatisches Morphem zum Ausdruck mehrerer grammatischer Kategorien zugleich verwendet wird, so spricht man von Flexion. So steht etwa im Deutschen die Endung -es in (des) Kindes gleichzeitig für die Kategorien Kasus (Genitiv) und Numerus (Singular), die Endung -te in lachte sowohl für Person und Numerus als auch für Tempus (1. und 3. Person Singular Präteritum). Dadurch unterscheidet sich Flexion von Agglutination, bei der jeweils ein Morphem für eine Kategorie steht“ (ჰენჩელი 2009:95).

მეცლერის ლექსიკონში მოხსენიებულია ფრიდრიხ შლეგელისეული შინაგანი ფლექსია, რომელსაც მოგვიანებით უპირისპირდება გარეგანი ფლექსია, იგი გულისხმობს ფლექსიური კატეგორიების აფიქსებით გამოხატვას სიტყვის ფუძის ცვლილების გარეშე. ფლექსია, ასევე მოხრა, მიხრა, ფორმათა წარმოება, ფლექსიური ენების განმსაზღვრელი მახასიათებელია. ენებისა, სადაც მეტყველების ნაწილები განიცდიან ცვლილებას წინადადებაში მათი ფუნქციის და მიხედვით. რა თქმა უნდა, არსებითი სახელის შემთხვევაში, საუბარია როგორც ფუძის ცვლაზე, კერძოდ, უმლაუტი, და/ან აფიქსებზე. ამ სახეცვლილებებს ცალკეული მეტყველების ნაწილის შემთხვევაში, ფლექსიური პარადიგმა ან ფლექსიათა კლასები ჰქვია (Metzler Lexikon 2016:202).

ჩვენს ნაშრომში დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია ზედსართავი ფლექსია, რომელიც სინამდვილეში არ გულისხმობს კერძოდ ზედსართავ სახელს, არამედ არტიკლის ფუნქციის მქონე სიტყვათა³²

³² ე.წ. Artikelwörter: დუდენის მიხედვით ამ კლასში გაერთიანებულია ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები. შდრ.: Duden: Die Grammatik, 4. Bd.; Bibliographisches Institut & Brockhaus AG, Mannheim, 2005, S.257, (Randnummer 348);
შდრ.: Eisenberg, P.: Grundriss der deutschen Grammatik Bd. 1: Unter Mitarbeit von Nanna Fuhrhop 4., aktualisierte und überarbeitete Auflage, Verlag J. B. Metzler Stuttgart · Weimar. S.163.
Schwache und starke Adjektivflexion im Deutschen: Kognitive Hintergründe. In: Zeitschrift für angewandte Linguistik 2015; 63(1): S.204. DE GRUYTER MOUTON

უმრავლესობას, რომლებიც იგივე ფუნქციას ასრულებენ, ანუ გამოხატავენ საზღვრული სიტყვის მორფოლოგიურ კატეგორიებს. მაგალითად:

Im April dieses Jahres wurde er wegen Spionage zu 14 Jahren Haft verurteilt.³³

წარმოდგენილ მაგალითში, მსაზღვრელი სიტყვის თანმხლებად ფიგურირებს ნაცვალსახელი, კერძოდ, ჩვენებითი.

ასევე, არტიკლის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს კუთვნილებითმა ნაცვალსახელებმა **sein** და **unsere**:

Der Abgeordnete Paul Podolay aus Bayern hat auch im dritten Wahlgang die erforderliche Mehrheit verfehlt. Er kritisierte **eine „systematische Ausgrenzung“ seiner Partei**.³⁴

Podolay sagte, das demonstrierte, „dass sie **das Repräsentanzrecht unserer Millionen von Wählern** grundsätzlich verachten und uns als demokratisch gewählte Oppositionsabgeordnete systematisch ausgrenzen“.³⁵

ხოლო შემდეგ მაგალითში, **deren** წარმოადგენს ჩვენებითი ნაცვალსახელის **die** მხოლოდითი რიცხვის გენტივის ფორმას, თუმცა, ეს ფორმა ემთხვევა მრავლობითი რიცხვის ფორმას. კონკრეტულ შემთხვევაში, კონტექსტიდან გამომდინარე, არის მხოლოდითი რიცხვის გენტივის ფორმა, რადგან საუბარია ოპოზიციისაზე, მაგალითად:

Seitdem unternehmen Kabila und seine Regierung alles, um einen Erfolg der Opposition zu verhindern. **Deren zwei populärste Kandidaten** wurden nicht zur Wahl zugelassen, bei Kundgebungen wurde **auf deren Unterstützer** geschossen.³⁶

მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე მომდევნო მაგალითშიც, თუმცა, ამჯერად **Dessen**, რომელიც წარმოადგენს **der** ნაცვალსახელის მხოლოდითი რიცხვის გენტივის ფორმას (ციფონუნი 2003:18):

³³ Zeit online 2019; Nachricht: Russland und Litauen tauschen Spione aus. Quelle: ZEIT ONLINE, dpa, AP, jul <https://www.zeit.de/politik/ausland/2019-11/spionage-agentenaustausch-russland-litauen-begnadigung>

³⁴ Zeit online 2019; Nachricht: Paul Podolay: Vierter AfD-Kandidat scheitert als Bundestagsvizepräsident; Quelle: ZEIT ONLINE, dpa, tst <https://www.zeit.de/politik/deutschland/2019-12/paul-podolay-afd-kandidat-bundestagsvizepraesident-scheitern>

³⁵ Ebd.

³⁶ Süddeutsche Zeitung 2018; Bericht von Constanze von Bullion, Berlin: Afrika: Der Kongo wählt. <https://www.sueddeutsche.de/politik/merkel-neujahrsansprache-regierung-1.4270684>

Die SPD habe in den vergangenen Jahren "zu viele faule Kompromisse gemacht", es dürfe kein Weiter-so geben, die Partei brauche den Neuanfang, sagt er, "und zu einer anderen Politik gehört auch ein anderes Personal".

Das heißt: jemand anderes als Olaf Scholz. Den Finanzminister und Vizekanzler der Großen Koalition.

Dessen Co-Kandidatin Klara Geywitz kontert: Sie lasse es Walter-Borjans nicht durchgehen, dass er Scholz dauernd zum „größten existierenden Problem der SPD“ erkläre, ruft Geywitz.³⁷

უნდა აღინიშნოს, რომ **დუდენის** გრამატიკაში ცალკე ქვეთავად არის გამოყოფილი **dessen**, **deren** და **derer** ნაცვალსახელებთან გენიტის ფორმის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხი. ჩვენს მიერ მოძიებული მასალის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ პირველი ორი ნაცვალსახელი გამოიკვეთა. ორივე მათგანი, **dessen**, **deren**, გამოყენებულია **კატაფორული** მნიშვნელობით და ორივე წარმოადგენს **მარცხენა პოზიციის** მსაზღვრელს:

„Die Genitivformen dessen und deren können ähnlich wie possessive Artikelwörter vor ein Substantiv treten. Im demonstrativen Gebrauch (a) können dessen/deren und Possessive oft gegeneinander ausgetauscht werden; beide Varianten sind standardsprachlich korrekt“ (დუდენი 2009:282/375):

ასევე, არტიკლის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ნაცვალსახელმა და განუსაზღვრელმა რიცხვითმა სახელებმა **viel**, **mehrere**, **andere**, **jede**, და ასევე, **nächste**.

Frankreich drohte ins Chaos zu gleiten, weil Präsident Emmanuel Macron **die Unzufriedenheit vieler Menschen** über echte oder vermeintliche Ungerechtigkeiten unterschätzt hatte.³⁸

Esi-Chef Knaus, der als einer der Väter des EU-Flüchtlingspakts mit der Türkei gilt, hat in Gesprächen mit **Regierungen mehrerer EU-Länder** einen neuen Ansatz vorgeschlagen:[...]³⁹

³⁷ Spiegel online 2019; Bericht von Christian Teevs: SPD-Kandidatenduell Bald fertig;

<https://www.spiegel.de/politik/deutschland/spd-kandidatenduell-showdown-der-sozis-a-1297069.html>

³⁸ Süddeutsche Zeitung 2018; Bericht von Stefan Ulrich: Demokratie: Was wirklich zählt;

<https://www.sueddeutsche.de/politik/rueckblick-streitthemen-vorschau-1.4269307>

³⁹ Spiegel online 2019; Bericht von Markus Becker, Brüssel: Streit über neue EU-Mitglieder Frankreichs fatale Blockade; <https://www.spiegel.de/politik/ausland/eu-keine-einigung-zu-beitritt-von-westbalkan-staaten-a-1297300.html>

Weder Wahlen noch Demonstrationen müssten die, die über **das Schicksal anderer Länder** bestimmen, da fürchten.⁴⁰

Im eigenen Interesse könne man all diese Fragen am besten lösen, „wenn wir **die Interessen anderer** mitbedenken“, sagte Merkel laut vorab veröffentlichten Redemanuskript.⁴¹

Bei der Abstimmung wurden nacheinander **die Delegiertenstimmen jedes einzelnen Bundesstaats** abgerufen.⁴²

Man werde sich **im Frühling nächsten Jahres** wieder um das Thema kümmern, dann sei auch die neue Kommission im Amt.⁴³

როგორც მაგალითებიდან ჩანს, საკმაოდ მრავალფეროვანია ნომინალურ ფრაზაში არტიკლის ფუნქციის მქონე სიტყვების გამოყენება, რომლებიც თან ახლავს გენიტიურ სტრუქტურებს.

ფლექსიის ყველაზე გავრცელებულ გამოვლინებას წარმოადგენს **ბრუნვა**, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება წინადადებაში მის წევრებს შორის კავშირის დადგენა.

სწორედ ამ აზრს აჟღერებს **გერჰარდ ჰელბიგი** შემდეგ ციტატაში:

„Die Kasus dienen dazu, die Beziehungen des Substantivs zu anderen Elementen im Satz mit Hilfe morphologischer Mittel zum Ausdruck zu bringen“ (ჰელბიგი 1996:280).

აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენიტივთან მიმართებაში.

გერმანულ ენაში განასხვავებენ უწინდებულ (der reine Kasus) და წინდებულ (der Präpositionalkasus) ბრუნვას. პირველ შემთხვევაში, ავტორის თანახმად, საქმე ეხება გარკვეული ბრუნვის ფორმით მოცემული არსებითი სახელის მეორე სახელთან

⁴⁰ Zeit online 2015; Bericht von Kerstin Kohlenberg: "Ich habe da mitgemacht";

<https://www.zeit.de/2015/52/diplomatie-demokratie-diplomat-vereinte-nationen-luegen>

⁴¹ Süddeutsche Zeitung 2018; Bericht von Constanze von Bullion, Berlin: "Müssen mehr Verantwortung übernehmen". <https://www.sueddeutsche.de/politik/merkel-neujahrsansprache-regierung-1.4270684>


⁴² Zeit online 2016; Nachricht: Republikaner ernennen Trump zum Präsidentschaftskandidaten; Quelle: ZEIT ONLINE, AFP, dpa, suk;

<https://www.zeit.de/politik/2016-07/republikaner-nominieren-trump-zum-us-praesidentschaftskandidaten>

⁴³ Spiegel online 2019; Bericht von Markus Becker, Brüssel: Streit über neue EU-Mitglieder Frankreichs fatale Blockade;


<https://www.spiegel.de/politik/ausland/eu-keine-einigung-zu-beitritt-von-westbalkan-staaten-a-1297300.html>

უშუალოდ დაკავშირებაზე, მეორე შემთხვევაში კი, მათი დაკავშირება ხდება წინდებულის მეშვეობით. გ. ჰელბიგი აღნიშნულს შემდეგნაირად წარმოადგენს:



ასევე, გ. ჰელბიგი აღნიშნავს, რომ გერმანულ ენაში შეუძლებელია უწინდებულო ბრუნვების ერთმნიშვნელოვნად გამიჯვნა, როგორც მისი ფორმიდან გამომდინარე, ასევე, იმ არაენობრივი მოვლენებისა გამო, რომლებსაც ისინი ასახავენ. გენიტივი, მაგალითად, შეიძლება შემდეგი დაბოლოებებით გამოიხატოს: -es, -s, -n, -er, ნულოვანი დაბოლოება. ასევე მრავალფეროვანია ის არაენობრივი მოვლენები, რომლებსაც გენიტივი გამოხატავს. ზემოთ აღნიშნული ფორმალურ და შინაარსობრივ მოვლენებს გ. ჰელბიგის თანახმად უპირისპირდება ოთხი ბრუნვა:

„Die reinen Kasus im Deutschen können weder von der reinen Form her noch von den außersprachlichen Sachverhalten her, die sie bezeichnen, eindeutig abgegrenzt und bestimmt werden. Von der äußeren Form her würde sich eine Vielfalt von Kasus ergeben, die überdies noch von Wort zu Wort zu differenzieren wäre (so kann etwa der Genitiv ausgedrückt werden durch -es, -s, -n, -er, Nullendung). Auch die außersprachlichen Sachverhalte, die ein Kasus bezeichnen kann, sind äußerst vielfältig [...]. Der Vielfalt von formalen Ausdrucksmitteln und bezeichneten außersprachlichen Sachverhalten stehen somit vier abgrenzbare reine Kasus gegenüber, die durch ihre syntaktische Äquivalenz in einem Substitutionsrahmen gekennzeichnet sind. Für den Genitiv z. B. läßt sich das wie folgt verdeutlichen“ (ჰელბიგი, ბუმა 1996: 281):



გ. ჰელბიგის მოცემული სქემა ნათლად ასახავს გენტივის, როგორც ფორმალურ მხარეს, ასევე იმ არაენობრივ მოვლენებს, რომლების შეიძლება გენტივით გამოიხატოს.

ამკარაა, რომ გენტივი, ზეპირ მეტყველებაში თუ არა, წერილობით ენაში საკმაოდ სტაბილურ პოზიციას ინარჩუნებს, იმისათვის, რომ მისი გაქრობა ვივარაუდოთ.

2.3. გენტივის სემანტიკური მახასიათებლები.

ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების განსამტკიცებლად გამოვიკვლიეთ ემპირიული მასალა. კვლევის შედეგად გამოვლინდა გენტიური სტრუქტურის სემანტიკურ-პრაგმატული ფუნქციების მრავალფეროვანი გამოყენება, რასაც მოწმობს მოძიებული შემთხვევები და ილუსტრაციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენტივის სემანტიკურ დონეზე განხილვა თავისთავად გულისხმობს სხვა დონეებსაც, რადგან შეუძლებელია ენობრივი ერთეულის ავტონომიურად, იზოლირებულად განხილვა ენობრივი სისტემის მხოლოდ ერთ განზომილებაზე. შესაბამისად, გენტივის სემანტიკურ-პრაგმატულ დონეზე კვლევა მოიცავს მისი მორფო-სინტაქსური მახასიათებლების აღწერასაც.

სემანტიკური თვალსაზრისით, **დუდენის** გრამატიკაში გამოყოფილია 4 ტიპი:

„Nach semantischen Gesichtspunkten lassen sich zunächst vier Arten von Genitivattributen ansetzen: der possessive Genitiv, der Genitivus Qualitatis, der explikative Genitiv sowie der partitive Genitiv“ (დუდენი 2009: 824/1266).

ფრიდრიხ ბლატცი შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს: **Definitionsgenitiv**, **Genitivus Auctoris**, **Genitivus Possessoris (possessivus)**, **der Genitivus Qualitatis** და **der partitive Genitiv** (ბლატცი 1900: 358).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ავტორი თანხმდება იმ საკითხში, რომ გენტივის განსაზღვრების ზემოხსენებული ვარიანტები ხშირად ერთმანეთს კვეთს და, შესაბამისად, ამგვარი კლასიფიკაციით ვერ მოხდება მათი ნათლად გამიჯვნა ერთმანეთისგან.

დუდენის გრამატიკაში ასევე, სახელდება დანარჩენი ვარიანტები. ვალენტობიდან გამომდინარე, პოსესიური გენტივი ნაწილობრივ დამატების,

ნაწილობრივ კი, გარემოების ფუნქციით გვევლინება. განსაზღვრებად განხილულ უნდა იქნას **Genitivus subiectivus** და **Genitivus obiectivus**. (დუდენი 2009: 824/1266).

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ საგაზეთო ტექსტებიდან მოძიებული მაგალითები მიუთითებენ ზემოთ წარმოდგენილი გენტივის სემანტიკური ვარიანტების ჭარბად გამოყენებაზე:

Ein Abgleich der genannten Namen mit Datenbanken ergab, wie er mitteilte, bis dahin keine Treffer. (**Genitivus obiectivus**)⁴⁴

Ein Abgleich der genannten Namen → die genannten Namen werden abgeglichen
Aber angesichts der Bedrohung einfach zu verstummen, sich der Lebensfeindlichkeit zu beugen, gerade **am Beginn eines neuen Jahres**?⁴⁵

am Beginn eines neuen Jahres → das neue Jahr beginnt (**Genitivus subiectivus**)

Das käme einer deutlichen **Verschärfung des Konflikts** gleich.⁴⁶ (**Genitivus subiectivus**)

გარკვეული ინტენსივობით გამოირჩევიან თანამედროვე ბეჭდურ მედიაში, შემდეგი სემანტიკური ვარიანტები: **Genitivus Auctoris**, **Genitiv des Produkts**, **Genitivus Qualitatis**, **Genitivus explicativus**, **Genitivus partitivus**. მაგალითად:

Die Demokraten halten **Trumps Mauerpläne** dagegen für eine reine Wahlkampfmasche, mit der er seine migrationsfeindlichen Wählerschichten binden will.⁴⁷ (**Genitivus Auctoris**)

Diese Asymmetrie der Opferbereitschaft verhilft Dschihadisten zu einem taktischen Vorteil.⁴⁸ (**Genitivus Qualitatis**)

⁴⁴ F.A.Z 2016: Bericht von Günter Bannas und Albert Schäffer: Terrorwarnung in München: Mia san mia. https://www.faz.net/aktuell/politik/kampf-gegen-den-terror/terrorwarnung-in-muenchen-mia-san-mia-13993347.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

⁴⁵ F.A.Z. 2016: Bericht von Günter Bannas und Albert Schäffer: Terrorwarnung in München: Mia san mia. https://www.faz.net/aktuell/politik/kampf-gegen-den-terror/terrorwarnung-in-muenchen-mia-san-mia-13993347.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

⁴⁶ Spiegel 2016: Nachricht: Nahostkonflikt Tote und Verletzte nach Messerattacke in Jerusalem, Quelle: sun/dpa/AFP. <https://www.spiegel.de/politik/ausland/nahostkonflikt-tote-und-verletzte-nach-messerattacke-in-jerusalem-a-1069426.html>

⁴⁷ SZ 2018: Nachricht: Migration:Trump gibt Demokraten Schuld an Tod von Migrantenkindern; Quelle: dpa-Newskanal; <https://www.sueddeutsche.de/politik/migration-trump-gibt-demokraten-schuld-an-tod-von-migrantenkindern-dpa.urn-newsml-dpa-com-20090101-181229-99-380874>

⁴⁸ Spiegel 2015: Bericht von Dirk Kurbjuweit: Werte Die Waffe Mut. <https://www.spiegel.de/politik/die-waffe-mut-a-9d88851e-0002-0001-0000-000140604216>

Was nun ansteht, ist **ein diplomatisches Ringen erster Güte** - und noch komplizierter.⁴⁹
(**Genitivus Qualitatis**)

Die Regierungen reagierten, indem sie Kriege aus der Luft vorbereiten oder ganz führen lassen. Das Risiko tragen nur noch wenige Piloten. Kampfdrohnen senken es auf null. Auch das ist **eine Strategie der Leere**. Der Boden, beim Drohneneinsatz auch der Himmel, bleibt frei von unseren Soldaten.⁵⁰ (**Genitivus explicativus**)

Eines Ihrer bisher erfolgreichsten Videos auf YouTube heißt „AFD-Wähler sind arm dran.“⁵¹ (**Genitivus partitivus**)

განსაზღვრებას, რომელიც წარმოდგენილია არსებითი სახელით გენიტევში, საფუძვლად უდევს პრედიკაციის სხვადასხვა სახეობა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ კონტექსტებს:

(1) **Genitivus possessivus**

Es gelingt ihnen, mit wenig Leuten und wenig Aufwand tief in **das Leben der westlichen Welt** einzugreifen, es in ihrem Sinne zu verändern.⁵²

Aber wir sprechen hier über **die Möglichkeiten der deutschen Politik**.⁵³

(2) **Genitivus definitivus**

Das war schon immer so, und nun, **in diesen Tagen des Krieges und der Wirtschaftskrise**, sind solche Figuren vielleicht besonders wichtig.⁵⁴

(3) **Genitivus explicativus**

⁴⁹ SZ 2015. Bericht von Cathrin Kahlweit, Wien: Ost-Ukraine: Die Schwierigkeiten der Demokratie im Donbass.

<https://www.sueddeutsche.de/politik/ukraine-diesmal-demokratisch-1.2717428>

⁵⁰ Spiegel 2015: Bericht von Dirk Kurbjuweit: Werte Die Waffe Mut.

<https://www.spiegel.de/politik/die-waffe-mut-a-9d88851e-0002-0001-0000-000140604216>

⁵¹ F.A.Z. 2019: Interview von Sebastian Eder: Nico Semsrott im Interview: „Ich bin das beste

Argument für die Frauenquote“. https://www.faz.net/aktuell/politik/europawahl/die-partei-nico-semsrott-im-interview-ueber-die-europawahl-16168746.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

⁵² Spiegel 2015: Bericht von Dirk Kurbjuweit: Werte Die Waffe Mut.

<https://www.spiegel.de/politik/die-waffe-mut-a-9d88851e-0002-0001-0000-000140604216>

⁵³ Zeit 2017: Interview von Alexandra Endres: "So schafft man Voraussetzungen für noch mehr Flucht".

<https://www.zeit.de/wirtschaft/2017-09/brot-fuer-die-welt-cornelia-fuellkrug-weitzel-fluchtursachen-interview/komplettansicht>

⁵⁴ F.A.Z. 2019: Interview von Karen Krüger: Gespräch mit Asli Erdogan: „Schlechter Journalismus

ermöglichte die Kampagne“; https://www.faz.net/aktuell/feuilleton/medien/gespraech-mit-asli-erdogan-schlechter-journalismus-ermoeglichte-die-kampagne-16485821.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

Sie haben seine Theorie bekräftigt, dass **ein Tsunami arabischer Flüchtlinge** auf Europa zusteuert, vor dem allein er uns bewahren kann.⁵⁵

(4) Genitivus partitivus

Die 10 **Abgeordneten der nordirischen Protestantenpartei** könnten zum Zünglein an der Waage werden.⁵⁶

(5) Genitivus subjectivus

Das Bundesverkehrsministerium (BMVI) hatte **die Kritik der Prüfer** zurückgewiesen und sein Vorgehen "in allen Bereichen für zulässig beziehungsweise angemessen" erklärt.⁵⁷

(6) Genitivus subjektivus zu intransitiven Verben

Interessant wird aber vor allem, wie **Maas' Plädoyer** für eine politische Vertiefung in Paris aufgenommen wird.⁵⁸

(6) Genitivus objectivus

Besonderes Aufsehen erregte **die Absage des Fußballspiels** Deutschland gegen die Niederlande im November in Hannover.⁵⁹

(7) Genitiv des Eigenschaftsträgers

Die Stadt gleichsam lahmlegen?, wie es später Andrä formulierte. Oder sich auf die Räumung der Bahnhöfe zu beschränken, im Vertrauen auf **die Exaktheit der Warnung**⁶⁰

(8) Genitiv der Eigenschaft

Die feste Burg, die Festung, **ein Ort höchster Sicherheit** – jeder wünscht sich das manchmal, spirituell, aber auch praktisch. Rückzug, Abschottung, Einigelung.⁶¹

⁵⁵ Zeit 2017: Interview von Tomasz Kurianowicz: "Deutschland hat Kaczyński so stark gemacht".
<https://www.zeit.de/kultur/2017-10/radoslaw-sikorski-polen-pis-rechtsruck-interview>

⁵⁶ SZ 2018: Nachricht: EU: Wer will was im Brexit-Streit? Quelle: dpa-Newskanal
<https://www.sueddeutsche.de/politik/eu-wer-will-was-im-brexit-streit-dpa.urn-newsml-dpa-com-20090101-181204-99-79680>

⁵⁷ Spiegel online 2019: Bericht von Sven Becker und Gerald Traufetter: Finaler Prüfbericht Rechnungshof verschärft Kritik an Pkw-Maut. <https://www.spiegel.de/politik/deutschland/pkw-maut-bundesrechnungshof-verschaerft-kritik-an-pkw-maut-a-1297030.html>

⁵⁸ Ebd.: Bericht von Christoph Schult: Macrons "Hirntod"-Äußerung Maas will die Nato wiederbeleben.
<https://www.spiegel.de/politik/ausland/heiko-maas-will-nato-nach-hirntod-kritik-von-emmanuel-macron-wiederbeleben-a-1297288.html>

⁵⁹ F.A.Z. 2016: Bericht von Günter Bannas und Albert Schäffer: Terrorwarnung in München : Mia san mia.
https://www.faz.net/aktuell/politik/kampf-gegen-den-terror/terrorwarnung-in-muenchen-mia-san-mia-13993347.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

⁶⁰ Ebd.

⁶¹ Spiegel 2016. Bericht von Dirk Kurbjuweit: Kein feste Burg.

(9) Genitivus auctoris

Richter Schwarz erklärt **die Entscheidung der Kammer** damit, dass der Bundesgerichtshof bei Drogengeschäften eine scharfe Trennlinie gezogen habe zwischen Handeltreiben und Kurierdiensten.⁶²

(10) Genitiv des Produkts

der Dichter des Werkes ← das Werk ist Produkt des Dichters

(11) Genitiv der Zugehörigkeit

Der designierte US-Außenminister Rex Tillerson leitete nach einem Medienbericht **eine Tochterfirma des Ölkonzerns Exxon** mit russischer Beteiligung.⁶³

(12) Genitiv des dargestellten Objekts

Erst Ende November hatte das nordkoreanische Fernsehen **Bilder einer Interkontinentalrakete** gezeigt, die nördlich der Hauptstadt Pjöngjang getestet worden war.⁶⁴

Anadolu zeigte ein **Foto einer Toten** mit einem Schnellfeuergewehr, neben der Leiche war eine Pistole zu sehen.⁶⁵

ასევე მიგვაჩნია, რომ საინტერესოა ელკე ჰენჩელის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ სახეობებს: **Genitivus possessivus**, **Genitivus objectivus**, **Genitivus partitivus**, **Genitivus Qualitatis**, **Genitivus explicativus**, **Genitiv des Eigenschaftsträgers**, **Genitiv des dargestellten Objekts**, **der Genitiv der Steigerung oder genitivischer Superlativ**, **Genitiv der Zugehörigkeit**, **der Genitivus auctoris**, **der Genitiv des Produkts** (ჰენჩელი 2010:99-101).

არსებობს სხვა მკვლევართა განსხვავებული მოსაზრებები პოსესიური გენიტის ალწერა-დახასიათებასთან დაკავშირებით, მაგრამ ვთვლით, რომ ზემოთ

<https://www.spiegel.de/politik/kein-feste-burg-a-204b6c09-0002-0001-0000-000148681450>

⁶² Spiegel 2015: Bericht von Julia Jüttner: Deutschland Die Männer gaben Oliver R. präzise.

<https://www.spiegel.de/politik/zwei-arme-abenteurer-a-909585d4-0002-0001-0000-000140604243>

⁶³ Spiegel 2016: Nachricht: Trumps Außenminister Tillerson in russische Geschäfte im Offshore-Paradies

Bahamas verwickelt? Quelle: pem. <https://www.spiegel.de/politik/ausland/rex-tillerson-chef-des-oelkonzerns-exxon-nutzte-steuerparadies-bahamas-fuer-geschaefte-mit-rusland-a-1126444.html>

⁶⁴ Spiegel online 2018; Nachricht: Diplomatische Offensive aus Pjöngjang Kims Kalkül. Quelle:

ala/dpa/Reuters/sid <https://www.spiegel.de/politik/ausland/kim-jong-uns-neujahrsansprache-diplomatische-offensive-aus-pjoengjang-a-1185781.html>

⁶⁵ F.A.Z. 2015. Nachricht: Nach tödlicher Geiselnahme: Angriff auf Istanbuler Polizeipräsidium. Quelle: dpa

<https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/europa/tuerkei/tuerkei-angriff-auf-istanbuler-polizeipraesidium-13518673.html>

წარმოდგენილი კონცეპციები (დუდენი, ბლატცი, ჰელბიგი, ჰენჩელი) უფრო საინტერესო და საყურადღებოა და ამომწურავად წარმოადგენს ამ ტიპის გენტივის შუქ-ჩრდილებს.

გვინდა, ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ემპირიული მასალის კვლევის დროს გამოიკვეთა ასევე სხვა სახის ატრიბუციები, რომლებიც წარმოდგენილია არსებითი სახელით გენტივში. მომდევნო მაგალითში, ასეთ ნომინალურ ფრაზას ახლავს ზედსართავი სახელი უფროებით ხარისხში, რაც მას უნიკალურს ხდის:

Das neue Jahr beginnt im Ersten, wie das alte endet – mit einem „**Tatort**“. Und zwar **mit dem härtesten seiner Art.**⁶⁶

Bislang sind alle **Vermittlungsversuche** gescheitert, **der einer Gruppe Parlamentsabgeordneter** ebenso wie **der des Universitätspräsidenten.**⁶⁷

წინადადების პირველ ნაწილში საუბარია შუამდგომლობის მცდელობებზე, ანუ საზღვრულზე, მსაზღვრელები კი წინადადების მეორე ნაწილშია წარმოდგენილი. საზღვრული, ორივე შემთხვევაში, მხოლოდ არტიკლით არის დასახელებული, შესაბამისად გენტივში.

შემდეგ მაგალითში კი წარმოდგენილია გენტიური სტრუქტურის მორიგი სახე, კერძოდ, ე.წ. **Genitivus Superlativus**:

„Hier werden **die Ärmsten der Armen** gegeneinander ausgespielt.“⁶⁸

მომდევნო ილუსტრაციაში, გენტიური სტრუქტურით პიროვნების დახასიათება ხდება შედარების მეშვეობით, კერძოდ, ვინმე შულცი იგივეა რაც გუთენბერგი მემარცხენეებისთვის:

Schulz ist so etwas wie **der Guttenberg der Linken**, [...].⁶⁹

⁶⁶ F.A.Z. 2016. Bericht von Michael Hanfeld: „Tatort“ mit Til Schweiger: Fremder, kommst du nach Hamburg, sieh zu, dass du am Leben bleibst. <https://www.faz.net/aktuell/feuilleton/medien/ard-zeigt-verschobenen-tatort-mit-til-schweiger-13991166.html>

⁶⁷ Spiegel online 2019. Bericht von Bernhard Zand: Ausschreitungen in Hongkong Roy ist weg: <https://www.spiegel.de/politik/ausland/hongkong-reportage-aus-einem-krisengebiet-a-1297126.html>

⁶⁸ F.A.Z. 2016. Nachricht: EU-Ausländer: Opposition lehnt Einschränkung der Sozialhilfe ab. Quelle: anst./dpa/AFP <https://www.faz.net/aktuell/wirtschaft/opposition-gegen-spd-vorstoss-zu-sozialleistungen-fuer-eu-auslaender-13993911.html>

⁶⁹ Spiegel online 2016. Bericht von Jan Fleischhauer: Der schwarze Kanal Guttenberg der Linken. <https://www.spiegel.de/politik/guttenberg-der-linken-a-ce450d25-0002-0001-0000-000148681452-amp>

ლუდვიგ აიხინგერი გენტივის განსაკუთრებულ პოზიციასთან მიმართებაში, სამ პუნქტს გამოყოფს. პირველ რიგში, ეს ეხება მამრობითი და საშუალო სქესის სახელებს, რომელთაც გენტივში ორმაგი მარკირება ახასიათებთ; ერთი მხრივ, არტიკლი, მეორე მხრივ, არსებითი სახელი ღებულობს ბრუნვის დაბოლოებას.

შემდეგი პუნქტი ეხება მდედრობითი სქესის სახელებს, სადაც არტიკლის გენტივის და დატივის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, არსებითი სახელი კი დაბოლოების გარეშეა.

ასევე, ლ. აიხინგერი მიუთითებს რიგ შემთხვევებზე, როდესაც არ ახლავს არსებით სახელს ის ელემენტი, რომელიც შეიძლება ბრუნვის მარკირების მატარებელი იყოს. ასეთ შემთხვევაში, ავტორის მიხედვით, სისტემა კოდირების სხვა პრინციპზე გადადის, რომლის მიხედვითაც სხვა ელემენტი შეითავსებს ამ ფუნქციას, იქნება ეს ზედსართავი სახელი თუ წინდებული **von**.

„Zu der „Sonderstellung“ des Genitivs kann man drei zentrale Punkte festhalten:

1. Beim starken Maskulinum und Neutrum ist der Genitiv zweifach und damit übermarkiert, normalerweise wird [...], der Kasus, wie bei den anderen Kasus auch üblich, am Artikel gekennzeichnet, und zwar mit der phonetisch ohnehin schon recht auffälligen Endung /s/, zusätzlich aber mit der gleichen starken Endung auch am Substantiv, was dem Prinzip der Monoflexion eigentlich nicht entspricht.

2. Auf der anderen Seite fallen bei den Feminina Genitiv- und Dativ-Formen zusammen, der Artikel mit der Endung /r/ gilt für beide Fälle, die Substantive sind endungslos.

3. In einer Reihe von Fällen – bei Fehlen eines Elements, an das eine Kasusmarkierung treten kann – geht das System zu anderen Kodierungsprinzipien (Präposition, „Zähleinheit“) über. So kann das Adjektiv [...] die Genitivmarkierung tragen, [...] muss die Präposition von die gemeinte Beziehung deutlich machen“ (აიხინგერი 2013:126-127).

ჩვენს მიერ წარმოებული კორპუსული კვლევა ადასტურებს თანამედროვე გერმანული ენის ის ტენდენცია, რომ ერთგვარ ფენომენად იქცა მამრობით და საშუალო სქესის სახელებთან ნულოვანი დაბოლოება მხოლოდით რიცხვში:

US-Geheimdienste vermuten, dass russische Hacker **mit Billigung des Kreml** in den vergangenen Monaten in das Computersystem der Demokratischen Partei von

Präsidentschaftskandidatin Hillary Clinton eingedrungen waren und interne E-Mails an die Öffentlichkeit brachten, was Clintons Wahlkampf erheblich störte.⁷⁰

Der Preisrückgang **in den ersten drei Wochen des August** sei eine Folge überzogener Sorgen um die chinesische Wirtschaft gewesen.⁷¹

მომდევნო მაგალითში აბრევიატურა არის გენტივის მარკირების გარეშე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, წინა მაგალითისგან განსხვავებით, იგი გენტივში გამოიყენება როგორც -s დაბოლოებით:

Bei den Toten handelt es sich Polizeiangaben zufolge um den Falschfahrer und den **Fahrer des anderen Pkw**.⁷²

წარმოდგენილი მასალის ანალიზმა თვალსაჩინო გახადა გენტივის სემანტიკური მახასიათებლების თავისებურებები ბეჭდური მედიის ენაში.

2.4. გენტივი ნომინალურ ფრაზაში. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უნდა განვიხილოთ გენტივის პრობლემატიკა ნომინალურ ფრაზაში, ვინაიდან **დუდენის** გრამატიკის ავტორები გენტივის განსაზღვრებას ნომინალურ ფრაზებში აერთიანებენ, როგორც წინადადების წევრის ნაწილს. მათი განმარტებით, **ნომინალური ფრაზა** მხოლოდ მაშინ შეიძლება გენტივში იყოს, თუ მას თან ახლავს მინიმუმ ზედსართაული მნიშვნელობის მქონე ფორმაცვალებადი სიტყვა, ან სიტყვა -s ან -r დაბოლოებით:

„Eine Nominalphrase kann nur dann im Genitiv stehen, wenn sie (i) mindestens ein adjektivisch flektiertes Wort und (ii) mindestens ein Wort mit s- oder r-Endung enthält“
(დუდენი 2005:979/1534)

ქრისტა დიურშაიდის მიხედვით, ტერმინით **ნომინალური ფრაზა** მოიაზრება არსებითი სახელების და ნაცვალსახელების ჯგუფები. მსგავსი ფრაზა შეიძლება შედგებოდეს მინიმუმ ერთი სიტყვისგან და არსებითი სახელისგან, ან

⁷⁰ Spiegel online 2017. Nachricht: Mutmaßliche Hackerangriffe Russische Diplomaten verlassen die USA.

Quelle: *mja/AFP* <https://www.spiegel.de/politik/ausland/mutmassliche-hackerangriffe-russische-diplomaten-verlassen-die-usa-a-1128197.html>

⁷¹ FAZ 2015. Bericht von Gerald Braunberger: Gewaltiger Sprung des Ölpreises.

<https://www.faz.net/aktuell/finanzen/devisen-rohstoffe/mehr-als-25-prozent-gewaltiger-sprung-des-oelpreises-13780257.html>

⁷² Spiegel online 2017. Nachricht: Rheinland-Pfalz Falschfahrer verursacht Unfall - zwei Tote. Quelle: *cst/dpa*

<https://www.spiegel.de/panorama/a61-falschfahrer-verursacht-unfall-zwei-tote-a-1128163.html>

ნაცვალსახელისგან. თუმცა, მისი აზრით, იგი უფრო კომპლექსური შეიძლება იყოს და, თავის მხრივ, კიდევ შეიცავდეს ფრაზას, რომელიც ატრიბუტის ფუნქციით გვევლინება:

ენათმეცნიერული კვლევების მიხედვით, თანამედროვე გერმანულ ენაში გენტივის ეკვივალენტებად სახელდება აპოზიცია, კომპოზიტი, განსაზღვრებითი ზედსართავი სახელი და წინდებულიანი ფორმები. წარმოდგენილ თავში მოკლედ მიმოხილულია თითოეული ეკვივალენტის არსი და რაობა, ხოლო მათი ფუნქციონირების თავისებურებები ილუსტრირებული და გაანალიზებულია ბეჭდური მედიის ტექსტებში ჩვენს მიერ მოძიებული კონტექსტების მეშვეობით.

3.1. აპოზიცია. აპოზიცია (დანართი, განკერძოებული განსაზღვრება) წინადადების წევრს განმარტავს და მის შემდეგ დგას. იგი გარკვეულწილად აღწერს წინადადების წინა წევრს. თუმცა, თავადაც წინადადების წევრია. საუბარში აპოზიციას, ჩვეულებრივ, პაუზებით განასხვავებენ ხოლმე, მართლწერისას კი მძიმეები გამოიყენება.

გერმანულ ენათმეცნიერებთან შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა აპოზიციის განმარტებასთან დაკავშირებით. მიმოვიხილავთ და გავაანალიზებთ ზოგიერთ მათგანს:

ელკე ჰენჩელი აპოზიციას ატრიბუტის განსაკუთრებულ ფორმად განიხილავს. ავტორის თანახმად, იგი, როგორც ატრიბუტი, განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის საზღვრულთან, რომელიც წარმოდგენილია არსებითი სახელით (მორფოლოგიური კრიტერიუმი), ზეენობრივი სინამდვილის იმავე ობიექტს წარმოადგენს (სემანტიკური კრიტერიუმი) და წინადადებაში პირდაპირ საზღვრულთან დგას (სინტაქსური კრიტერიუმი):

„Eine besondere Form des Attributs stellt die Apposition (von lat. apposito ‚der Zusatz‘) dar. Eine Apposition ist z.B. *der ewige Verlierer* in Donald, *der ewige Verlierer*. Man versteht unter einer Apposition gewöhnlich ein besonders eng mit seinem Beziehungswort verbundenes Attribut, das

- durch ein Substantiv repräsentiert wird (morphologische Kriterium);

- dieselbe Referenz aufweist, d.h. dasselbe Objekt der außersprachlichen Wirklichkeit bezeichnet (semantisches Kriterium)

- direkt bei seinem Beziehungswort steht und im Satz nicht frei beweglich ist (syntaktisches Kriterium)“ (ჰენჩელი 2013:363).

ავტორის მიხედვით, აპოზიცია შეიძლება გამოტოვებულ იქნას, ან ჩაანაცვლოს თავისი საზღვრული. თუმცა, მას არ შეუძლია საზღვრულის გარეშე წინადადებაში გადაადგილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპოზიციის ნაცვლად **პარენტეზთან** (ჩასმული, ჩამატებული ინფორმაცია) გვექნება საქმე:

„Appositionen können weggelassen werden oder ihr Beziehungswort im Satz substituieren (meine Freundin Regina meint ... / meine Freundin meint ... / Regina meint ...); sie können aber nicht unabhängig von diesem frei im Satz bewegt werden (im Falle von Regina meint, meine Freundin, ... liegt keine Apposition, sondern eine Parenthese vor). (ჰენჩელი 2013:366)

ე. ჰენჩელი ასევე საუბრობს აპოზიციასა და ატრიბუტს შორის განსხვავებაზე, რაც იმით გამოიხატება, რომ ისინი სუბსტანტიური ბირთვით მუდამ ნომინალურ ფრაზას წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, იგი რეფერენტულად იდენტურია მის საზღვრულთან. საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: *Fipps, der Affe* – ამ შემთხვევაში, *Fipps* და აპოზიცია *der Affe* ერთი და იგივეა, სწორედ ამიტომ არის შესაძლებელი მისი გამოტოვება ან, პირიქით, ჩანაცვლება მისი საზღვრულისა, რაზეც ზემოთ აღვნიშნეთ: *Fipps klettert auf den Baum. / Der Affe klettert auf den Baum.:*

„Appositionen unterscheiden sich von Attributen dadurch, dass sie stets Nominalphrasen mit substantivischem Kern sind, darüber hinaus sind sie mit dem Bezugselement referenzidentisch: In *Fipps, der Affe* bezeichnen *Fipps* und die Apposition *der Affe* jeweils dasselbe. Aus diesem Grund können Appositionen normalerweise weggelassen werden oder umgekehrt ihr Beziehungswort ersetzen:

Fipps klettert auf den Baum.

Der Affe klettert auf den Baum. (ჰენჩელი 2010:31)

განსხვავებული და უფრო განვრცობილია **ულრიხ ენგელის** მოსაზრება აპოზიციის შესახებ. კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ აპოზიცია მარჯვენა პოზიციის

ატრიბუტია, რომელსაც არსებითი ნიშნები გააჩნია, რაც იმით გამოიხატება, რომ აპოზიცია თავის საზღვრულზე ყოველთვის დამატებით ინფორმაციას იძლევა, რომელიც შეიძლება გამოტოვებულ იქნას. ავტორის თანახმად, შემდეგი ნიშანი აპოზიციისა ის არის, რომ მოსაუბრეს შეუძლია თავისი მოსაზრების გამოსახატავად, აპოზიციაში გამოიყენოს ნაწილაკები **übrigens** და **nämlich**. ბოლო ნიშნად კი ასახელებს იმას, რომ აპოზიციას არასდროს არ აქვს წინადადების ფორმა:

„Unter Apposition versteht man **nachgestellte Attribute** des folgenden Typs:

Herr Pfeiffer, der Schornsteinfeger, ...

Sie haben folgende wesentlichen Merkmale:

(1) Es handelt sich bei der Apposition immer um eine zusätzlich geäußerte Information, die daher stets weglaßbar ist.

(2) Der Sprecher kann in der Apposition jederzeit seine eigene Stellungnahme durch Partikeln wie *übrigens* und *nämlich* zum Ausdruck bringen.

(3) Die Apposition hat nie satzartige Form“ (ენგელი 1996: 806).

დუდენის გრამატიკის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ აპოზიციის სინტაქსურ მახასიათებლებზე და მიუთითებენ, რომ აპოზიცია წინადადებაში იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც წინადადების წინა წევრი.

აპოზიციაში მოიაზრება მთელი რიგი განსხვავებული კონსტრუქციებისა. თუმცა, მათ შემდეგი საერთო ნიშნებიც გააჩნია. კერძოდ, ეს არის განსაზღვრება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არსებით სახელზე ან ნომინალურ ფრაზაზე არიან დამოკიდებული; თვით ისინი შეიძლება მოგვევლინოს ნომინალური ფრაზის ან მინიმუმ არსებითი სახელის სახით; ისინი არ არიან განსაკუთრებული „განკერძოებული სიტყვის“ როლში, როგორცაა წინდებული ან კავშირი; ისინი უთანხმდებიან საზღვრულ სახელს ან ნომინალურ ფრაზას ბრუნვაში ან დგას სახელობით ბრუნვაში (ნომინატივში):

„Unter der Bezeichnung Apposition fasst man eine Reihe unterschiedlicher Konstruktionen zusammen. Sie haben die folgenden Gemeinsamkeiten:

– Sie sind Attribute, d. h., sie hängen von einem Substantiv (Nomen) oder von einer Nominalphrase insgesamt ab.

– Sie haben selbst die Form einer Nominalphrase oder zumindest eines Substantivs (Nomens).

– Sie weisen kein besonderes »Einleitungswort« wie etwa eine Präposition oder eine Konjunktion auf.

– Sie stimmen mit dem Bezugsnomen oder der Bezugphrase im Kasus überein (= Kongruenz im Kasus) oder stehen im Nominativ“ (დუდენი 2005:979).

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აპოზიციასთან მიმართებაში **პეტერ აიზენბერგის** მოსაზრება. იგი მიუთითებს, რომ არ არსებობს საერთო აზრი იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება აპოზიციაში, მითუმეტეს, რომ ამ სფეროში არსებობს მთელი რიგი მერყევი, ცვალებადი კონსტრუქციებისა. უმეტეს შემთხვევაში, რთულია გრამატიკულ და არაგრამატიკულ გამონათქვამებს შორის მკაფიო ზღვარის გავლება:

„Es besteht keine Einigkeit darüber, was unter »Apposition« zu verstehen ist, zudem gibt es in diesem Bereich eine Reihe ungefestigter, im Umbruch befindlicher Konstruktionen. Viel häufiger als sonst ist es schwierig, eine Grenze zwischen grammatischen und ungrammatischen Ausdrücken zu ziehen“. (აიზენბერგი 2020:279)

პ. აიზენბერგი აპოზიციას უწოდებს სუბსტანტიურ ნომინალურ ფრაზაზე „თანდართულს“, რომელიც ამ ფრაზის მნიშვნელობას არ ცვლის. ამავე დროს, იგი აპოზიციას განასხვავებს პარენტეზისგან და **ლუდგერ ჰოფმანზე** (ჰოფმანი 1998:307) დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ორივე ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს, თუმცა პარენტეზას ხშირად დამოუკიდებელი წინადადების ფორმა აქვს და ერთგვარად „ჩადგმულია“ ლინეალურ სტრუქტურაში, რომელიც ფუნქციურად ინტეგრირებული არ არის.

აპოზიციის შემდგომ დიფერენცირებას შინაგანი სტრუქტურის მიხედვით **პ. აიზენბერგი** ხედავს იმაში, თუ რამდენად მჭიდრო კავშირი არსებობს ნომინალურ ფრაზებს შორის. ავტორის მიხედვით, მაგალითში 2c Ronald – berühmter Kammersänger – სახეზეა **თავისუფალი აპოზიცია**, ხოლო მაგალითებში 2d Ronald der berühmte Kammersänger და 2e Der berühmte Kammersänger Ronald **ვიწრო აპოზიცია** (აიზენბერგი 2020:279). თუმცა, მისი აზრით, არ არის მთლად გარკვეული, რას ნიშნავს **თავისუფალი** და **ვიწრო**. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მას მოჰყავს **გერჰარდ ჰელბიგისა**

და იოაჰიმ ბუშას (ჰელბიგი/ბუშა 2001:511) განმარტება იმის შესახებ, რომ თავისუფალი აპოზიცია საზღვრულს უთანხმდება ბრუნვაში და მისგან სასვენი ნიშნებით გამოიყოფა. შესაბამისად, საუბრის დროს გამოყოფა პაუზით ხდება. თუმცა, პ. აიზენბერგი თვლის, რომ ბრუნვაში შეთანხმება, როგორც გამოყოფის საშუალება საკმარისი არ არის, ვინაიდან, როგორც ის აღნიშნავს, საკმაოდ ხშირად ხდება ანალოგიური ვიწრო აპოზიციაშიც:

„Die Appositionsbeziehung wird weiter danach differenziert, wie eng die beteiligten Nominale aneinandergerückt sind. 2c bezeichnet man als lockere Apposition, 2d, e als enge Apposition (აიზენბერგი 2020:279). Was eng und locker hier genau besagen, ist nicht ganz geklärt. Nach Helbig/Buscha (2001:511) kongruiert die lockere Apposition mit dem Bezugssubstantiv im Kasus und wird durch Satzzeichen abgetrennt. Die Abtrennung erfolgt im Gesprochenen durch Pause und Neuansatz eines Intonationsbogens. Die Übereinstimmung im Kasus ist als Abgrenzungskriterium jedenfalls ungeeignet, denn sie kommt häufig genug auch bei der engen Apposition vor“. (აიზენბერგი 2013:257)

გერჰარდ ჰელბიგი გამოჰყოფს აპოზიციის, როგორც ატრიბუტის ერთ-ერთი სახის, რამოდენიმე ნიშანს. ერთი მხრივ, იგი აღნიშნავს აპოზიციის რეფერენტულ იდენტობას მის საზღვრულთან, რომ ორივე ზეენობრივი რეალობის ერთსა და იმავე მოვლენაზე მიუთითებს, რაც აპოზიციის სემანტიკური ნიშანია; მეორე მხრივ, როგორც ე. ჰენჩელი და პ. აიზენბერგი, გ. ჰელბიგიც აღნიშნავს, რომ აპოზიცია შეიძლება გამოტოვებულ იქნას და ასევე ჩაენაცვლოს საზღვრულს (სინტაქსური დონე). ავტორის თანახმად, აპოზიცია არის ე.წ. პრედიკატული განსაზღვრება (Kopulasatz), შედეგად აპოზიციასა და საზღვრულს შორის კავშირი ანალოგიურია სუბიექტსა და პრედიკატის შორის, რომელიც საფუძვლად უდევს შესაბამის პრედიკატულ+

განსაზღვრებას (Kopulasatz) (ძირითადი სინტაქსური სტრუქტურა). მორფოლოგიური თვალსაზრისით, აპოზიცია წარმოდგენილია სუბსტანტივით. აპოზიციის ბოლო მორფოლოგიურ ნიშნად ავტორი ასახელებს აპოზიციის ფუნქციის მქონე სუბსტანტივის იდენტურობას საზღვრულთან:

„Auch die Apposition ist eine Art Attribut. Sie zeichnet sich durch folgende Merkmale aus:

(1) Die Apposition ist referenzidentisch mit ihrem Bezugswort, d. h., Apposition und Bezugswort beziehen sich auf den gleichen Sachverhalt in der außersprachlichen Realität (semantisch).

(2) Die Apposition ist immer weglafbar und kann an die Stelle ihres Bezugswortes im Satz substituiert werden (syntaktische Oberfläche).

(3) Die Apposition ist ein reduzierter Kopulasatz. Es gelten folglich die gleichen Selektionsbeziehungen zwischen Apposition und Bezugswort wie zwischen Subjekt und Prädikativ des entsprechenden zugrunde liegenden Kopulasatzes (syntaktische Grundstruktur).

(4) Die Apposition wird durch ein Substantiv repräsentiert (morphologisch).

(5) Das als Apposition fungierende Substantiv ist im Kasus mit dem Bezugswort identisch (morphologisch). (ჰელბიგი 1996:606)

დუდენის გრამატიკაში გამოყოფილია აპოზიციის შემდეგი სახეები:

- **Die lockere Apposition** თავისუფალი აპოზიცია, რომელიც მძიმით გამოიყოფა
- **Die partitive Apposition** პარტიტიული (ნაწილობითი) აპოზიცია
- **Appositive Nebenkerne** აპოზიციური მცირე ბირთვი, რომელიც არსებით სახელთან ერთად კომპლექსურ ფრაზას ქმნის
- **Determinative Apposition** die *Universität Hamburg* უნივერსიტეტი, რომელიც ჰამბურგში მდებარეობს
- **Explicative Apposition** ექსპლიკატიური/ახსნა-განმარტებითი
- **Mehrteilige Eigennamen** მრავალნაწილიანი საკუთარი სახელი
- **Nachgestellter Beiname** მეტსახელი არტიკლით, რომელიც აპოზიციის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს (დუდენი 2005:990-997).

ჩვენს კვლევაში ვეყრდნობით დუდენის გრამატიკის ავტორების მიერ წარმოდგენილ აპოზიციის სახეთა კლასიფიკაციას. შესაბამისად, წარმოვადგენთ და გავაანალიზებთ კონტექსტებს აპოზიციის ამ მნიშვნელობების გათვალისწინებით.

ქვემოთ წარმოვადგენთ მათ აღწერას და ანალიზს თანამედროვე ბეჭდური მედიის მაგალითების საფუძველზე:

1) თავისუფალი აპოზიცია (**Die lockere Apposition**) წარმოადგენს ერთგვარ დანართს, რომელიც მსაზღვრელი წევრის ან წევრის ნაწილისგან მძიმით გამოიყოფა. მაგალითად:

„Der amerikanische Präsident, **Barack Obama**, will den Zugang zu Schusswaffen angesichts der Blockadehaltung des Kongresses im Alleingang begrenzen“.¹²⁴

Der Vorsitzende der NRW-Landesgruppe der CDU, Peter Hintze, forderte dagegen ein geschlossenes Votum der Unionsfraktion.¹²⁵

Man könnte darüber den Kopf schütteln oder lächeln, wenn solche Forderungen nicht inzwischen auch auf hochoffizielltem Papier daherkommen würden, als vollstreckbarer Mahnbescheid mit **Briefkopf der Inselrepublik Malta, des kleinsten EU-Mitglieds**.¹²⁶

თავისუფალი აპოზიცია **Barack Obama** განმარტავს ფრაზას, რომელსაც ის მიეკუთვნება და მის იდენტიფიკაციას ახდენს. ამგვარად, გასაგებია, რომ როდესაც საუბარია ბარაკ ობამაზე, იგულისხმება ამერიკის პრეზიდენტი.

თავისუფალი აპოზიცია ზოგჯერ საზღვრული ფრაზისაგან დამოუკიდებლად დგას წინადადების უკანა ველში. ამასთანავე, იგი იღებს იმ ფრაზის ბრუნვას, რომელსაც ის განეკუთვნება (= შეთანხმება ბრუნვაში).

განვიხილავთ იმ შემთხვევებს, რომლებიც ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა, როდესაც აპოზიცია არტიკლით არის გამოყენებული:

„Europa steht vor gewaltigen Herausforderungen“, meint der Fraktionsvorsitzende der Europäischen Volkspartei (EVP), **der CSU-Politiker Manfred Weber**.¹²⁷

¹²⁴ F.A.Z. 2016. Nachricht: Vereinigte Staaten: Obama will strengere Waffengesetze per Erlass anordnen.

Quelle: dpa <https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/amerika/vereinigte-staaten-obama-will-strengere-waffengesetze-per-erlass-anordnen-13993416.html>

¹²⁵ F.A.Z. 2015 Nachricht Grexit auf Zeit?: Schäubles Plan spaltet die SPD. Quelle: gif. /AFP/ dpa /sat.

<https://www.faz.net/aktuell/politik/europaeische-union/grexit-auf-zeit-schaeubles-plan-stoesst-auf-kritik-13698853.html>

¹²⁶ SZ 2016: Bericht von Georg Mascolo und Ronen Steinke: Gesetzeslücke: "Reichsbürger" drangsalieren

deutsche Justiz – mit Hilfe aus Malta; <https://www.sueddeutsche.de/politik/gesetzesluecke-reichsbuerger-drangsalieren-deutsche-justiz-mit-hilfe-aus-malta-1.3282779>

¹²⁷ SZ 2015. Bericht von Daniel Brössler, Thomas Kirchner und Alexander Mühlauer: Das Jahr der EU:

ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აპოზიციას თან ახლავს ზედსართავი სახელი, თუნდაც გასუბსტანტივებული:

Die Feuerwehr informiert auch Dieter Peller, **Technischen Direktor** des Forschungsinstituts.

მაგრამ, თუ არსებით სახელს არ ახლავს ფორმაცვალებადი სიტყვა, ამ დროს მხოლოდ ნომინატივია შესაძლებელი:

Der innenpolitische Sprecher der SPD-Fraktion, Burkhard Lischka, sagte der F.A.S., der Informationsaustausch zwischen den Staaten sei „eine Schwachstelle in der Terrorabwehr“.¹²⁸

Auch die Vizevorsitzende der **Linken-Bundestagsfraktion, Sabine Zimmermann**, bezweifelte einen Handlungsbedarf in der Angelegenheit.¹²⁹

აქვე მოვიყვანო საინტერესო შემთხვევას, სადაც ზემოთ მოყვანილი მაგალითებისაგან განსხვავებით, მსაზღვრელი იკავებს პოზიციას საზღვრულის შემდეგ:

„Polizeientscheidung, um die Ordnung zu wahren,“ sagt **Zoltán Kovács, Sprecher der Regierung**.¹³⁰

ეს ეხება ასევე არტიკლის გარეშე გამოყენებულ საკუთარ სახელებს:

Hier geht es um eine zeitgemäße Auslegung **der Religion und der islamischen**

Quellen, Koran und Sunna.¹³¹

თუმცა, როგორც კვლევამ აჩვენა, გამოვლინდა ისეთი შემთხვევაც, რომ მსაზღვრელი და საზღვრული შეიძლება იყოს სხვადასხვა ბრუნვაში.

Abgründe und Lernkurven.

<https://www.sueddeutsche.de/politik/europaeische-union-von-abgruenden-und-lernkurven-1.2801061>

¹²⁸ FAZ 2016. Nachricht: Informationsaustausch: „Eine Schwachstelle in der Terrorabwehr“. Quelle: F.A.S.

<https://www.faz.net/aktuell/politik/kampf-gegen-den-terror/informationsaustausch-eine-schwachstelle-in-der-terrorabwehr-13994205.html>

¹²⁹ FAZ 2016. Nachricht: EU-Ausländer: Opposition lehnt Einschränkung der Sozialhilfe ab. Quelle:

anst./dpa/AFP <https://www.faz.net/aktuell/wirtschaft/opposition-gegen-spd-vorstoss-zu-sozialleistungen-fuer-eu-auslaender-13993911.html>

¹³⁰ FAZ 2015. Bericht von Stephan Löwenstein, Budapest: Züge aus Ungarn: Wie ein Gerücht das

Flüchtlingschaos auslöste. Quelle: F.A.Z. (https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/europa/zuege-aus-ungarn-wie-ein-geruecht-das-fluechtlingschaos-ausloeste-13780432.html?printPagedArticle=true#pageIndex_2)

¹³¹ FAZ 2016. Interview von Jasper von Altenbockum und Rainer Hermann: Sollbruchstellen Müller und Chebli im Interview: „... als würden Muslime für Aliens gehalten“. Quelle: F.A.Z.

https://www.faz.net/aktuell/politik/inland/gespraech-ueber-unsere-gesellschaft-und-den-islam-14368816.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

Das Oberhaupt ist Schneider von Beruf, sein Haus in Damaskus wurde zerbombt – so sagt er es jedenfalls mittels **eines Übersetzers Philipp Karl, einem jungen Deutschen**, der Ungarisch spricht und zum Helfen gekommen ist.¹³²

დუდენის გრამატიკაში ასევე საუბარია გარკვეულ კონფიგურაციებზე, სადაც ტენდენციურია დატივის, როგორც აბსოლუტური ბრუნვის, შერჩევა: გენიტის წინდებულების შემდეგ, ან, კიდეც, განსაზღვრების შემდეგ, რომელიც კუთვნილებას გამოხატავს. ასეთ შემთხვევებში, ავტორების მიხედვით, დატივის გამოყენება არაკორექტულია:

* Während **des Stadtfestes, einem alljährlich wiederkehrenden Anlass** mit viel Bier und Bratwürsten, kam es zu einer Schlägerei.

კორექტულია:

Während **des Stadtfestes, eines alljährlich wiederkehrenden Anlasses** mit viel Bier und Bratwürsten, ...

* Die Verhaftung **des Generals, einem berüchtigten Verbrecher** gegen die Menschenrechte war von der Regierung lange hinausgezögert worden.

კორექტულია:

Die Verhaftung **des Generals, eines berüchtigten Verbrechers** gegen die Menschenrechte ... (დუდენი 2009:981)

წარმოვადგენთ ჩვენს მიერ მოძიებულ მაგალითს ემპირიული მასალიდან, კერძოდ, გაზეთიდან FAZ:

Manchmal gibt es zusätzlich Referenden, und in Florida werden am 8. November beispielsweise gleichzeitig **die Mitglieder des Mosquitobords** gewählt – **eines Gremiums**, das die Ausbreitung von Krankheiten durch Mücken überwacht.¹³³

დუდენის გრამატიკაში ასევე, ყურადღება არის გამახვილებული ცალკეულ გადაცდომებზე, რომლებსაც ადგილი აქვთ. კერძოდ, ეს შეეხება გენიტის შეცდომით გამოყენებას von წინდებულიან განსაზღვრებასთან მიმართებაში. ამ დროს ყურადღება

¹³² FAZ 2015. Bericht von Stephan Löwenstein, Budapest: Züge aus Ungarn: Wie ein Gerücht das Flüchtlingschaos auslöste. Quelle: F.A.Z. https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/europa/zuege-aus-ungarn-wie-ein-geruecht-das-fluechtlingschaos-ausloeste-13780432.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

¹³³ FAZ 2016. Interview von Oliver Kühn: Wahl in Amerika: „Kandidatenwechsel führt zu Chaos“. Quelle: FAZ.NET https://www.faz.net/aktuell/politik/wahl-in-amerika/wahl-in-amerika-kandidatenwechsel-fuehrt-zu-chaos-14435112.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

უნდა მიექცეს, გენტივური კონსტრუქციაა თუ von წინდებულისანი დატივი. თუმცა, ანალოგიური გადაცდომა ჩვენს კორპუსში არ მოიძებნა:

Der Unfall von **Toni Kalderer, einem erfahrenen Skiläufer**, überraschte allgemein.

ან:

Der Unfall **Toni Kalderers, eines erfahrenen Skiläufers**, überraschte allgemein.

ემპირიულ მასალაში მოვიძიეთ რამოდენიმე მაგალითი **პარტიტიული განსაზღვრებით**:

Die Rentenversicherung hatte unmittelbar nach der Einigung gewarnt, sie müsse möglicherweise **Tausende neue Mitarbeiter** einstellen.¹³⁴

Er versprach vier Prozent Wirtschaftswachstum und damit **19 Millionen neue Arbeitsplätze**.¹³⁵ (Zeit online 15. Juni 2015)

ე.წ. **აპოზიციური მცირე ბირთვი** (appositiver Nebenkern) დუდენის გრამატიკის მიხედვით, არის არსებითი სახელი, რომელიც საზღვრულ არსებით სახელთან (Bezugssubstantiv) ერთად კომპლექსურ ფრაზობრივ ბირთვს ქმნის. ჩვენი კვლევისთვის საინტერესოა ამ მხრივ **დეტერმინატიული აპოზიცია**. ნებისმიერ არსებით სახელს შეიძლება მოსდევდეს მეორე, რომელიც პირველს განსაზღვრავს. სწორედ ეს მეორე არსებითი სახელი არის **დეტერმინატიული აპოზიცია**: (დუდენი 2009:987)

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითს ემპირიული მასალიდან:

Weil der rechte Flügel der Republikaner die Ideologie der Realität durchaus vorzieht, ist der 69-Jährige in bestimmten Kreisen zu **einer Art Politikprominenten** aufgestiegen.¹³⁶

როგორც ანალიზმა აჩვენა, ძალიან მცირე რაოდენობით იქნა გამოყენებული აპოზიცია ჩვენ მიერ შერჩეულ საგაზეთო ჟანრის ტექსტებში. რაც შეეხება აპოზიციის სახეობას, მხოლოდ თავისუფალი და დეტერმინატიული აპოზიციის მაგალითები მოვიძიეთ, რომელთა უმეტესი ნაწილი საგაზეთო კომენტარში შეგვხვდა.

¹³⁴ Spiegel online 2019. Bericht von Florian Gathmann: Parteitag CDU steht vor neuem Streit über Grundrente. <https://www.spiegel.de/politik/deutschland/parteitag-cdu-droht-neuer-streit-ueber-grundrente-a-1297236.html>

¹³⁵ Zeit online 2015. Nachricht: Jeb Bush verkündet Präsidentschaftskandidatur. Quelle: ZEIT ONLINE, dpa, mhi <https://www.zeit.de/politik/ausland/2015-06/jeb-bush-us-praesidentschaftswahl-kandidat>

¹³⁶ SZ 2015. Bericht von Johannes Kuhn, San Francisco: MC Wahnsinn hat das Wort
Präsidentschaftskandidat Donald Trump. <https://www.sueddeutsche.de/politik/praesidentschaftskandidat-donald-trump-mc-wahnsinn-hat-das-wort-1.2524692>

3.2. კომპოზიტი. გენტივური სტრუქტურის ერთ-ერთ სემანტიკურ ეკვივალენტს წარმოადგენს **კომპოზიტი**.

კომპოზიცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა (compositio) და ნიშნავს: შერწყმას, შედგენას, შეერთებას, შეთხზვას. აქედან გამომდინარე, კომპოზიციის შემთხვევაში საუბარია სიტყვაწარმოების სახეობაზე, როდესაც ორი ან მეტი ელემენტი ერთმანეთს უკავშირდება. კომპოზიტი (თხზული სახელი, რთული სახელი) წარმოადგენს კომპოზიციის შედეგს, ანუ სიტყვაწარმოების ერთ-ერთ ხერხს/მეთოდს/საშუალებას, რომლის დროსაც, ორი ან მეტი ელემენტი ერთმანეთს უკავშირდება. ასეთი სიტყვაწარმონაქმნის ბოლო შემადგენელი ნაწილი, ჩვეულებრივ არის ძირითადი სიტყვა (დეტერმინანტი/საზღვრული), რომლის განმარტება ხდება პირველი წევრით, მსაზღვრელით.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, ზოგი კომპოზიტის მნიშვნელობა უდრის მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს და ორ ან მეტ ცნებას მოიცავს. ზოგი კი სემანტიკურ მთლიანობად არის ქცეული, ანუ ერთცნებიანია. მისი მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითებს ორივე ტიპის კომპოზიტისათვის ჩვენი კორპუსიდან:

Allerdings wich Trump der Frage aus, ob er **das Wahlergebnis** als Verlierer anerkennen würde.¹³⁷

Zuvor zeigte er dem feinen Washington seine Verachtung, indem er in kurzen, ausgebeulten Cargo-Hosen durch **die Hauptstadt** ging, unrasiert, zottelig.¹³⁸

პირველ მაგალითში წარმოდგენილია ორცნებიანი კომპოზიტი **das Wahlergebnis**, რომელიც შედგება ორი სიტყვისგან, რომელთაგან ძირითადია **das Ergebnis**, ხოლო მეორე **die Wahl** მსაზღვრელია და განმარტავს ძირითად სიტყვას:

das Wahlergebnis → das Ergebnis der Wahl

რაც შეეხება მეორე მაგალითს, იგი შეიცავს ერთცნებიან კომპოზიტს **die Hauptstadt**. ისიც, წინა მაგალითის მსგავსად, ორი სიტყვისგან შედგება: **das Haupt** და **die**

¹³⁷ Zeit online 2015: Nachricht: Bundeswehr: Geplanter Irak-Einsatz ist verfassungsrechtlich bedenklich. msc,naw, loe, sni, jl dpa, AP <https://www.zeit.de/politik/ausland/us-wahl>

¹³⁸ Spiegel online, 2017, Bericht von Markus Becker, Uwe Buse, Clemens Höges, Peter Müller, Gordon Repinski, Mathieu von Rohr und Thomas Schulz: USA Mephistos Plan. <https://www.spiegel.de/politik/mephistos-plan-a-ab9298a7-0002-0001-0000-000149411810>

Stadt. მოცემულ შემთხვევაში კომპოზიტის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს.

დუდენის გრამატიკის მიხედვით, **სუბსტანტიური კომპოზიტები**, მიუხედავად მისი კომპლექსურობის დონისა, სტაბილურ ერთეულებს წარმოადგენენ. სიტყვის შიგნით ისინი არ იცვლებიან და არც განვრცობა ხდება მათი. ასევე, მიღებულია ცალკეულ შემთხვევებში კონსტიტუენტებს შორის დეფისი, რაც აადვილებს წაკითხვას და ასევე საკუთარი სახელების შემადგენელი ნაწილების გამოყოფას, თუმცა ტირე აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ პირველი კონსტიტუენტი ასოთი ან აბრევიატურით არის გამოხატული:

„Substantivische Komposita sind unabhängig von ihrem Komplexitätsgrad stabile Wörter. Sie können wortintern nicht flektiert und nicht erweitert werden. Nach den geltenden Rechtschreibregeln sind sie zusammenzuschreiben. Ein Bindestrich zwischen den Konstituenten ist in bestimmten Fällen möglich. Er kann in unübersichtlichen Komposita als Leserleichterung oder zur Hervorhebung von Eigennamenbestandteilen (Lotto-Annahmestelle, Opel-Werke) gewählt werden. Wenn als erste Konstituente ein Buchstabe, eine Formel oder ein Buchstabenkurzwort auftritt, ist der Bindestrich obligatorisch (y-Achse, CO2-Ausstoß, Kfz-Steuer)“ (დუდენი 2007: 167–168).

საინტერესოა **მარია-ელენ პერენეკის** მოსაზრება იმის შესახებ, რომ გერმანული ენა ხასიათდება რთული სუბსტანტიური სტრუქტურების პროდუქტიულობით. ხშირ შემთხვევაში, მათი სიჭარბისგან თავის აცილება ხდება კომპოზიტების მეშვეობით. განსაკუთრებით, ეს მოვლენა დამახასიათებელია პრესის ენისთვის:

„Da die deutsche Sprache eine hohe Produktivität in der Zusammensetzung von Substantiven aufweist, lassen sich ferner Genitivverbindungen mittels Komposita vermeiden (vgl. Mutterliebe ↔ die Liebe der Mutter, aber auch Gelegenheitskomposita, besonders in Presstexten und oft durch Bindestriche getrennt, wie Montags-Demonstration, Euro-Skeptiker, Waigel-Helfer). Hierdurch entsteht „in der Tat eine Verdichtung der Aussage, wie sie selbst der Genitiv kaum zustandebringt“ (პერენეკი 1998: 169ff; 174).

კლაუდია ვიხ-რაიფიც იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ უკანა პოზიციის გენტივის ატრიბუტის ნაცვლად, თანამედროვე გერმანულ ენაში, წარმატებით ხდება

კომპოზიტის გამოყენება. მისი აზრით, კომპოზიტების მნიშვნელოვანი რაოდენობა წარმოიშვა ჯერ კიდევ ადრეულ ზემო გერმანულში, როდესაც მოხდა ნომინალური ფრაზის მოდიფიკაციის შედეგად. კერძოდ, წინა პოზიციის გენიტის ატრიბუტის უკანა პოზიციის ატრიბუტით ჩანაცვლება:

„Anstelle von (nachgestellten) Genitivattributen werden im Gegenwartsdeutschen gerne Zusammensetzungen verwendet: [...] Eine beträchtliche Anzahl von Komposita, die auf genitivische Strukturen zurückführbar sind, gab es erst im Zuge des Umbaus der Nominalphrase vom vorangestellten zum nachgestellten Genitivattribut im Frühneuhochdeutschen:

fnhd. des reichs sachen, des halßgerichts ordnung

nhd. die Reichsangelegenheiten, die Halsgerichtsordnung“ (ვინ-რაიფი 2012:141-142)

რაც შეეხება გენიტური ნომინალური ფრაზის კომპოზიტით ჩანაცვლებას, ავტორი აღნიშნავს, რომ ეს პროცესი, განსაკუთრებით, მე-18 ს-ში გახდა აქტუალური. თუმცა, ვინ-რაიფის აზრით, შეუძლებელია კომპოზიტის კონსტიტუენტებს შორის კავშირი ისევე ექსპლიციტური იყოს, როგორც საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის:

„Die Bevorzugung von Komposita anstelle von Wortgruppen im Allgemeinen zeigt sich insbesondere seit dem 18. Jahrhundert. Dieser Trend kann als sprachökonomische Erscheinung gedeutet werden. Mit der Kürze der Form entsteht aber oft auch Erklärungsnot, da die Relation zwischen den Kompositionsgliedern nicht so explizit formuliert ist wie die Relation zwischen Attribut und Kern“ (ვინ-რაიფი 2012:142).

ანალოგიური შემთხვევები მოპოვებულ იქნა ჩვენ მიერ შეჩეულ ემპირიულ მასალაში. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამოდენიმე მაგალითს:

Am Montag hat Donald Trump seinen bisherigen **Wahlkampfmanager** Bannon, inzwischen politischer Chefstrategie im Weißen Haus, auch noch zum ständigen Mitglied im Nationalen Sicherheitsrat ernannt.¹³⁹

კომპოზიტი **Wahlkampfmanager** სამი სიტყვისაგან შედგება: **die Wahl, der Kampf** და **der Manager**, რომელთაგან **der Manager** ძირითად სიტყვას ანუ დეტერმინანტს

¹³⁹ Spiegel online, 2017, Bericht von Markus Becker, Uwe Buse, Clemens Höges, Peter Müller, Gordon Repinski, Mathieu von Rohr und Thomas Schulz: USA Mephistos Plan.
<https://www.spiegel.de/politik/mephistos-plan-a-ab9298a7-0002-0001-0000-000149411810>

წარმოადგენს, **der Wahlkampf** კი მისი მსაზღვრელია. როგორც გენიტივური სტრუქტურის ალტერნატიული ფორმა, იგი შემდეგნაირად გამოიყურება: **der Manager des Wahlkampfs**. აქ საუბარია საარჩევნო კამპანიის მენეჯერზე.

შესაბამისად შეიძლება კომპოზიციის მნიშვნელობების ჩაშლა მომდევნო მაგალითებში:

Ein weiteres Gesetz entzieht ihm die Schulaufsicht, reduziert die Verwaltungspositionen und macht die Ernennung von **Kabinettsmitgliedern** von der Zustimmung des (mehrheitlich republikanischen) Senats abhängig.¹⁴⁰

Der britisch-amerikanische Teroexperte Charles Lister hält al-Qaidas örtlichen Ableger für gefährlicher als den „Islamischen Staat“ und warnt vor einer Kooperation mit dem **Assad-Regime**.¹⁴¹

Dieser Mann heißt natürlich Donald Trump, und er ist an diesem New Yorker Mittag von seinem Büro im 26. Stock des Trump-Hochhauses mit dem Aufzug nach unten gefahren, um **US-Präsident** zu werden.¹⁴²

„Alle **EU-Staats- und Regierungschefs** haben über zwei Jahre lang den besseren Schutz der europäischen Außengrenze gefordert“, sagte Juncker der "Welt am Sonntag".¹⁴³

ემპირიულ მასალაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც წინადადებაში რამოდენიმე კომპოზიტი გვხვდება:

Weil die beiden Fraktionen nur 20 Prozent der **Bundestagsabgeordneten** stellen, können sie kein **Normenkontrollverfahren** in Karlsruhe einleiten.¹⁴⁴ (Zeit online 15. Januar 2015)

¹⁴⁰ SZ 2016: Bericht von Johannes Kuhn, New Orleans: Immer mehr Demokraten verzweifeln an Obamas Urvertrauen in die USA: <https://www.sueddeutsche.de/politik/hacker-angriffe-in-den-usa-warum-immer-mehr-demokraten-an-obamas-urvertrauen-in-die-usa-verzweifeln-1.3299383-0#seite-2>

¹⁴¹ Spiegel online 2015. Interview von Samiha Shafy: Syrien „Der IS ist eine bequeme Obsession“. <https://www.spiegel.de/politik/der-is-ist-eine-bequeme-obsession-a-98527cdf-0002-0001-0000-000140508775>

¹⁴² SZ 2015. Bericht von Johannes Kuhn, San Francisco: MC Wahnsinn hat das Wort Präsidentschaftskandidat Donald Trump. <https://www.sueddeutsche.de/politik/praesidentschaftskandidat-donald-trump-mc-wahnsinn-hat-das-wort-1.2524692>

¹⁴³ SZ 2018. Nachricht: EU: Juncker beklagt "Heuchelei" der EU-Staaten beim Grenzschutz. Quelle: dpa-Newskanal, Brüssel. <https://www.sueddeutsche.de/politik/eu-juncker-beklagt-heuchelei-der-eu-staaten-beim-grenzschutz-dpa.urn-newsml-dpa-com-20090101-181230-99-383224>

¹⁴⁴ Zeit online 2015: Nachricht: Konflikte: Massive Zweifel an Verfassungsmäßigkeit des Irak-Einsatzes. Quelle: dpa <https://rp-online.de/politik/deutschland/interviews/verfassungsmassigkeit-des-geplanten-irak-einsatzes-stark-umstritten-aid-21532471>

Die Bundesregierung hat ganz bewusst Artikel 24 als Grundlage für ihren **Mandatstext** genommen, weil sie nicht den **Verteidigungsfall** ausrufen wollte.¹⁴⁵ (Zeit online 15. Januar 2015)

ამა თუ იმ კომპოზიციის ცალკეული კონსტიტუენტი ერთმანეთს უშუალოდ, ან მაკავშირებელი ელემენტით უკავშირდება. მაგალითად:

ა) კომპოზიციის შემადგენელი წევრების ცვლილებისა და მაკავშირებელი ელემენტის გარეშე:

Flankiert wurde er dabei von **Fabrikarbeitern** und sechs seiner sieben Kinder.¹⁴⁶

Man dürfe das Thema Flüchtlinge allerdings nicht mit dem **Terrorismusthema** vermischen, sagte Obama.¹⁴⁷

ბ) მაკავშირებელი ელემენტის გარეშე, მაგრამ კომპოზიციის პირველი წევრის შიკვით:

Jetzt geht es darum, die notwendigen Reformen auf den Weg zu bringen und bis Ende 2018 abzuschließen – besonders in Bezug auf die Wirtschafts- und Währungsunion, Migration und **Grenzsicherung** sowie die gemeinsame Außen-, Sicherheits- und Verteidigungspolitik.¹⁴⁸

გ) მხოლოდ მაკავშირებელი ელემენტით:

In der Bevölkerung aber genießt Merkel erstaunlich hohe **Zustimmungswerte**.¹⁴⁹

Mit ihrer Mehrheit könnten sie dann die **Abstimmungsregeln** ändern.¹⁵⁰

რაც შეეხება მაკავშირებელ ელემენტს, იგი შეიძლება, როგორც s-ით, ასევე en-ით:

Offen ist noch, wie genau die **Zigarettenarten** künftig heißen müssen, um die Anforderungen zu erfüllen.¹⁵¹

¹⁴⁵ Ebd.

¹⁴⁶ Zeit online 2015: Nachricht: Erzkonservativer Santorum will US-Präsident werden, Quelle: AP, AFP, dpa, suk <https://www.zeit.de/politik/2015-05/rick-santorum-kandidatur>

¹⁴⁷ Zeit online 2015: Nachricht: Obama lobt Merkels Engagement in der Flüchtlingskrise. Quelle: dpa, AFP, ib <https://www.zeit.de/politik/2015-11/fluechtlingspolitik-angela-merkel-lob-barack-obama-g20-gipfel>

¹⁴⁸ FAZ 2018: Interview von Marie Illner: CDU-Politiker David McAllister: „Wir brauchen mehr Geschlossenheit in Europa!“. Quelle: FAZ.NET https://www.faz.net/aktuell/politik/david-mcallister-im-interview-ueber-die-zukunft-europas-15563624.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

¹⁴⁹ SZ 2016: Analyse von Thorsten Denkler, Essen: CDU-Parteitag in Essen: Merkel verspricht Erfolg. <https://www.sueddeutsche.de/politik/cdu-parteitag-in-essen-merkel-verspricht-erfolg-1.3281565>

¹⁵⁰ Spiegel online 2017: Bericht von Markus Becker, Uwe Buse, Clemens Höges, Peter Müller, Gordon Repinski, Mathieu von Rohr und Thomas Schulz: USA Mephistos Plan. <https://www.spiegel.de/politik/mephistos-plan-a-ab9298a7-0002-0001-0000-000149411810>

¹⁵¹ Spiegel online 2017. Bericht von Alexander Neubacher: So gesehen Unlucky Strike.

„Weder Sie noch irgendein **Bundesbeamter** können garantieren, dass syrische Flüchtlinge nicht Teil einer terroristischen Aktivität sein werden“, schrieb der Gouverneur.¹⁵²

Den Tiefpunkt in der **Zufriedenheitsstatistik** hat Merkel nämlich nicht etwa mit der Flüchtlingsfrage erreicht.¹⁵³

Die Vizevorsitzende der Bayern-AfD und **Landtagsfraktionschefin** Katrin Ebner-Steiner sagte, die Verdächtigen hätten jedes Recht auf Weiterführung ihrer Asylverfahren verspielt.¹⁵⁴

Die Demokraten, die seit **Jahresbeginn** die Mehrheit im **Repräsentantenhaus** haben, bestreiten die Existenz einer solchen „Krise“ und bezeichnen die Mauer als überflüssig und unmoralisch.¹⁵⁵

საყურადღებოა ალექსანდრა პაულფრანცის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თანამედროვე გერმანულ ენაში აბრევიატურებსა და შემოკლებულ სიტყვებში გენიტის დაბოლოებები არ ჩანს. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია მასმედიის ენისათვის (პაულფრანცი 2013:178-179). მაგალითად:

Eines der Marketingargumente des IS existiert nicht mehr.¹⁵⁶

შემდეგ მაგალითებში, გაზეთებიდან SZ და FAZ, წარმოდგენილია ე.წ. **შემთხვევითი კომპოზიტები**, რომელთა ერთ-ერთი დეტერმინანტი აბრევიატურაა. ორივე შემთხვევაში, როგორც წესი, გენიტის -s დაბოლოებას იღებს მეორე დეტერმინანტი, **Bundesstaat, Außenministerium** და **Bundesvorstand**:

<https://www.spiegel.de/politik/unlucky-strike-a-c58e9970-0002-0001-0000-000149411801>

¹⁵² Zeit 2015. Nachricht: Obama lobt Merkels Engagement in der Flüchtlingskrise. Quelle: dpa, AFP, ib <https://www.zeit.de/politik/2015-11/fluechtlingspolitik-angela-merkel-lob-barack-obama-g20-gipfel>

¹⁵³ SZ 2017. Analyse von Thorsten Denkler, Essen: CDU-Parteitag in Essen: Merkel verspricht Erfolg. <https://www.sueddeutsche.de/politik/cdu-parteitag-in-essen-merkel-verspricht-erfolg-1.3281565>

¹⁵⁴ FAZ 2019: Nachricht: Bürgermeister nach Attacken: „Plötzlich meinen alle, sie könnten die Situation in Amberg einschätzen“; Quelle: dpa <https://www.faz.net/aktuell/politik/inland/amberg-buergermeister-aeussert-sich-nach-pruegelattacken-15967987.html>

¹⁵⁵ FAZ 2019. Nachricht: Etatstreit in Amerika: Trump verschärft Attacken auf Demokraten; Quelle: AFP/dpa <https://www.faz.net/aktuell/politik/wahl-in-amerika/shutdown-donald-trump-verschaerft-attacken-auf-demokraten-15982846.html>

¹⁵⁶ Spiegel online 2017. Interview von Britta Sandberg (Red.): SPIEGEL-Gespräch „Das Paradies als zentraler Punkt“. <https://www.spiegel.de/politik/das-paradies-als-zentraler-punkt-a-14ab9a14-0002-0001-0000-000149411876>

In einem ersten Schritt tragen "Reichsbürger" ihre Fantasieforderungen gegen deutsche Richter oder Justizangestellte in das Online-Handelsregister **Uniform Commercial Code (UCC) des US-Bundesstaats** Washington ein.¹⁵⁷

Der stellvertretende Sprecher des US-Außenministeriums, Mark Toner, sprach von "Hundertern getöteten Zivilisten."¹⁵⁸

Mit der Einigung über die Parteieinbindung von Merz räumt Kramp-Karrenbauer auch ein Thema ab, das **die Klausurtagung des neuen CDU-Bundesvorstandes** am Sonntag und Montag in Potsdam hätte überschatten können.¹⁵⁹

საინტერესოა ჩვენ მიერ მოპოვებული კონტექსტის ანალიზი, რომელშიც ხუთი კომპოზიტია. თუმცა, მხოლოდ ერთი მათგანი წარმოადგენს გენიტივის ალტერნატიულ ფორმას და, შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს გენიტიური კონსტრუქციით:

Nachdem Markenlogos auf **Zigaretenschachteln** bereits durch Fotos von **Raucherfüßen**, **Gebissruinen** und **Kindersärgen** verdrängt wurden, sollen demnächst auch alle irgendwie "attraktiv" oder "chic" klingenden **Markennamen** verschwinden.¹⁶⁰

Markenname → Name einer Marke

რაც შეეხება დანარჩენ კომპოზიტებს, კომპოზიტი **die Zigaretenschachteln**, ანუ სიგარეტის კოლოფი, არ წარმოადგენს გენიტივის ალტერნატიულ ფორმას; საუბარია კოლოფზე, სიგარეტის სათავსოზე. შესაბამისად, კორექტულია წინდებულისანი სტრუქტურით ჩანაცვლება:

Zigaretenschachteln ≠ Schachteln der Zigaretten

Zigaretenschachteln → Schachteln für Zigaretten

¹⁵⁷ SZ 2016. Bericht von Georg Mascolo und Ronen Steinke: Gesetzeslücke: "Reichsbürger" drangsalieren deutsche Justiz - mit Hilfe aus Malta <https://www.sueddeutsche.de/politik/gesetzesluecke-reichbuerger-drangsalieren-deutsche-justiz-mit-hilfe-aus-malta-1.3282779>

¹⁵⁸ SZ 2015. Nachricht: Konflikte: USA werfen Russland Beschuss von zivilen Zielen in Syrien vor. Quelle: dpa-Newskanal <https://www.sueddeutsche.de/politik/konflikte-usa-werfen-russland-beschuss-von-zivilen-zielen-in-syrien-vor-dpa.urn-newsml-dpa-com-20090101-151230-99-625996>

¹⁵⁹ FAZ 2019: Nachricht: Merkel und AKK einig: Merz soll in der CDU stärker mitarbeiten. Quelle: Reuters <https://www.faz.net/aktuell/politik/merz-soll-mitarbeiten-bei-den-themen-amerika-und-marktwirtschaft-15982127.html>

¹⁶⁰ Spiegel online 2017: Bericht von Alexander Neubacher: So gesehen Unlucky Strike. <https://www.spiegel.de/politik/unlucky-strike-a-c58e9970-0002-0001-0000-000149411801>

შემდეგი კომპოზიტია **der Raucherfuß**, ასევე **das Raucherbein** - [durch starkes Rauchen verursachte] Gefäßverengung im Bereich der Beine, სამედიცინო ტერმინია და ნიშნავს: სიგარეტის ინტენსიური მოხმარების შედეგად გამოწვეული სისხლძარღვების შევიწროვებას ფეხის არეში. აქედან გამომდინარე, კომპოზიტი შემადგენელ ნაწილებად დაშლისას მნიშვნელობას დაკარგავს.

კომპოზიტი **die Gebissruine** შედგება შემდეგი არსებითი სახელებისგან: **das Gebiss** - კბილების ერთობლიობა, ხელოვნური პროტეზი, ლითონის მუნდშტუკი; მეორე მხრივ კი **die Ruine** - ნანგრევები. როგორც კომპოზიტს კი შემდეგი მნიშვნელობა აქვს: როდესაც პიროვნებას ცუდი კბილები აქვს ან ზოგიერთი აკლია იმის გამო, რომ რეგულარულად არ სტუმრობს კბილის ექიმს.

ბოლო კომპოზიტია **der Kindersarg** -1. kleiner, oft weißer Sarg für die Bestattung eines Kindes; 2. salopp scherzhaft: besonders großer Schuh

მას ორი მნიშვნელობა აქვს: მცირე მოცულობის სასახლე ბავშვის ცხედრის დასასაფლავებლად; განსაკუთრებით დიდი ზომის ფეხსაცმელი.

ანალიზი კიდევ ერთხელ განამტკიცებს იმ აზრს, რომ კომპოზიტის მნიშვნელობას ყოველთვის არ წარმოადგენს მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი. აქედან გამომდინარე, ისინი **ერთცნებიანი კომპოზიტებია**.

რაც შეეხება ზემოთ მოცემულ მაგალითებს, ჩვენი ანალიზის მიხედვით, კომპოზიტების ცალკეული კონსტიტუენტების დაკავშირების შემდეგი საშუალებები გამოიკვეთა. ესენია:

- (1) მაკავშირებელი ელემენტი **-n**;
- (2) გამოყენებულია **-es**;
- (3) ვხვდებით **-s-ს**;
- (4) კომპოზიტი შეიცავს ორმაგ **-s-ს**;
- (5) ორი კომპოზიტია **-es** და **-en** მაკავშირებელი ელემენტებით;
- (6) გამოყენებულია ასევე **-er** მაკავშირებელი ელემენტი.

ორი კომპოზიტი კი, **die Gebissruine** და **der Raucherfuß**, მაკავშირებელი ელემენტის გარეშეა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიციის პირველ წევრი შეიძლება იყოს როგორც საზოგადო, ასევე საკუთარი სახელიც. ამასთან ხდება როგორც საკუთარი სახელის, ასევე მთლიანად კომპოზიციის ლექსიკალიზაცია.

ჩვენ ვიზიარებთ და ვეყრდნობით პეტერ აიზენბერგის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გერმანულ ენაში არსებული კომპოზიციის მრავალრიცხოვანი სახეობების პროტოტიპს **სუბსტანტიური კომპოზიტი** წარმოადგენს. აქვე ის გამოყოფს კომპოზიტების ჯგუფებს შემადგენელი ნაწილების მიხედვით და აღნიშნავს, რომ პირველი ნაწილი შეიძლება იყოს, როგორც **სუბსტანტიური**, ასევე **ადიექტიური** ან **ვერბალური**, ნაკლებად **პრეპოზიციონალური**. სხვა ტიპის პირველი ნაწილი ბევრად იშვიათია:

„Unter den zahlreichen Kompositionsarten, die das Deutsche kennt, gilt als prototypisch das Substantivkompositum. Im einfachsten Fall ist es zweigliedrig mit einem Substantivstamm als zweitem Bestandteil. Der erste Bestandteil kann sowohl substantivisch [...] wie adjektivisch [...] und verbal [...] sein. Weniger häufig sind präpositionale [...]. Andere erste Bestandteile sind ebenfalls möglich, aber viel seltener“ (აიზენბერგი 2013: 217).

ავტორის მიხედვით, ყველაზე გავრცელებული **სუბსტანტიური კომპოზიტებია**. ასევე, ისიც კომპოზიციის შემადგენელ ნაწილებს, **კონსტიტუენტებს** უწოდებს.

აიზენბერგისეული პრინციპით აგებული სუბსტანტიური კომპოზიტები ორი ან მეტი სიტყვისგან შეიძლება შედგებოდეს. (აიზენბერგი 2013:217)

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებს საგაზეთო ტექსტების კორპუსიდან:

Es ist aber auch legitim, einmal auszusprechen, dass die Ungarn und die Polen im vergangenen Jahr ein **Wirtschaftswachstum** von rund fünf Prozent zustande gebracht haben.¹⁶¹

Wirtschaftswachstum SBST+SBST

[...]; und bald hofft er wieder ins **Bundeskanzleramt** einzuziehen.¹⁶²

¹⁶¹ F.A.Z. 2019. Interview von Christian Geinitz und Stephan Löwenstein: Interview mit Sebastian Kurz: „Halte nichts von einer Politik der moralischen Überlegenheit“. Quelle: F.A.Z.

<https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/kurz-keine-politik-der-moralischen-ueberlegenheit-16473682.html?GEPIC=s3&premium=0xc97130e39e345311b40cf4efc4d83653>

¹⁶² F.A.Z. 2019. Interview von Christian Geinitz und Stephan Löwenstein: Interview mit Sebastian Kurz: „Halte

Bundeskanzleramt SBST+SBST+SBST

მსგავსი კომბინაცია **პ. აიზენბერგის** თანახმად, ყველაზე მცირე შეზღუდვებს ავლენს სტრუქტურის მხრივ, ვინაიდან ორივე შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს, როგორც მარტივი, ასევე ნაწარმოები:

„Die wenigsten Bildungsbeschränkungen weist das Kompositum der Form SBST+SBST auf. Beide Bestandteile können sowohl einfach als auch abgeleitet sein. Echte formale Restriktionen scheint es bis auf das Fugenelement nicht zu geben. Die Fuge wie das **s** in Regierungsauftrag oder das **en** in Doktorandenkolloquium ist der einzige Typ von morphologischer Einheit, der sich in produktiven Kompositionsregeln als Formmittel findet“ (აიზენბერგი 2013:217).

ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს ემპირიული მასალიდან:

Die Jugendarbeitslosigkeit in Sizilien und Kampanien liegt bei rund 50 Prozent.¹⁶³

მოცემულ მაგალითში კომპოზიტის **Jugendarbeitslosigkeit** პირველი ნაწილი **Jugend** მარტივია, მეორე კი **Arbeitslosigkeit** ნაწარმოები.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ მაგალითებს, **Wirtschaftswachstum** და **Bundeskanzleramt**, პირველ მაგალითში სუბსტანტიური კომპოზიტის ორივე კონსტიტუენტი ნაწარმოებია, მეორე შემთხვევაში კი, სამივე კონსტიტუენტი მარტივი.

დუდენის გრამატიკის ავტორების თანახმად, ორზე მეტი ფუძისაგან შემდგარი კომპოზიტების პირველი ნაწილი, უმეტესად უფრო კომპლექსურია. ამ შემთხვევაში ხდება ე.წ. **მარცხენა განშტოება** (Linksverzweigung) რაც შემდეგნაირად გამოისახება: $[((a+b)+c);]$

ხოლო **მარჯვენა განშტოება** (Rechtsverzweigung), ამავე მოსაზრების მიხედვით, უფრო იშვიათია: $[(a+(b+c));]$

nichts von einer Politik der moralischen Überlegenheit“. Quelle: F.A.Z.

<https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/kurz-keine-politik-der-moralischen-ueberlegenheit-16473682.html?GEPIC=s3&premium=0xc97130e39e345311b40cf4efc4d83653>

¹⁶³ F.A.Z. 2019. Interview von Christian Geinitz und Stephan Löwenstein: Interview mit Sebastian Kurz: „Halte nichts von einer Politik der moralischen Überlegenheit“. Quelle: F.A.Z.

<https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/kurz-keine-politik-der-moralischen-ueberlegenheit-16473682.html?GEPIC=s3&premium=0xc97130e39e345311b40cf4efc4d83653>

რაც შეეხება ორმხრივ განშტოებას, რა თქმა უნდა, ეს გვხვდება ოთხი ან მეტი ფუძისაგან შემდგარ კომპოზიტებში. თუმცა, რაც მთავარია, პრაგმატული თვალსაზრისით, შეუძლებელია კომპლექსურობის ხარისხის ნებისმიერად ამალღება. (დუდენი 2005:716)

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ, დარგობრივ ლექსიკაში მიღებულია მაღალი კომპლექსურობის ხარისხის მქონე კომპოზიტები, ტერმინოლოგიის სისტემატიზაციისა და სიზუსტისათვის. მაგალითად, Stammzelltransplantation (ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია), Blutstammzelltransplantation (სისხლის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია), Knochenmarktransplantation (ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია). მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს კომპოზიტის კომპლექსურობის ხარისხი (დუდენი 2005:717/1092).

კომპოზიტების საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია **მარტინა ვერნერის** სტატია: „Die Entwicklungslogik der nominalen Determinativkomposition im Deutschen – verstanden als Grammatikalisierung“.

ნაშრომში ავტორი განიხილავს, თუ რატომ გახდა სუბსტანტიური დეტერმინატიული კომპოზიტები უფრო და უფრო კომპლექსური და რა ცვლილებები ხდება სიტყვის შიგნით. **მ. ვერნერს** საილუსტრაციოდ მოჰყავს კომპოზიტი **Fallschirmspringbenutzungsanweisung**, რომელსაც, მისი აზრით სხვა ენებში, მაგალითად ინგლისურ ენაში, რთულად მიიჩნევენ, თუმცა, ამ ენაში კომპოზიცია და დერივაცია სიტყვაწარმოების პროდუქტიულ პროცესს წარმოადგენს. **მ. ვერნერი** აღნიშნავს, რომ გერმანული ენა ტიპოლოგიურად ცნობილია გრძელი სიტყვებით (ვერნერი 2016:91-92).

მ. ვერნერი ასევე გამოყოფს დეტერმინატიულ და სინთეზურ კომპოზიციებს. ავტორის მიხედვით, **სინთეზური კომპოზიცია** დეტერმინატიულისაგან იმით განსხვავდება, რომ მას გააჩნია დევერბალური საზღვრული. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ორ ტიპს შორის განსხვავება კონტროლერსულია, ვინაიდან სინთეზური კომპოზიცია სტრუქტურულად დერივაციასა და კომპოზიციას შორის არის განთავსებული და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მათი ორგვარი ანალიზი. **მ. ვერნერი** აღნიშნულის ილუსტრირებას ახდენს კომპოზიტით **Wetterbeobachtung**. ერთი მხრივ,

მოცემული კომპოზიტი შეიძლება იყოს დეტერმინატიული, მეორე მხრივ, კი - სინთეზური:

„Neben die Determinativkomposition (wie bspw. N+N Haustür oder V+N Turnhose) wird die synthetische Komposition gestellt, welche sich von ersterer primär durch das Aufweisen eines deverbale Kopfes unterscheidet (wie bspw. Wetterbeobachtung). Die Trennung zwischen beiden Kompositatypen ist kontrovers, v. a. aufgrund der Ambiguität der synthetischen Komposition, strukturell zwischen Derivation und Komposition verortet zu sein: So ist die Bildung Wetterbeobachtung auf zwei Arten analysierbar: entweder als [[Wetter_N][Beobachtung_N]]_N und damit als Determinativkomposition oder aber als [[[Wetter_N]beobacht-v]-ung]]_N und damit als synthetische Komposition. Demzufolge wäre im ersten Fall die Paraphrase ‚Beobachtung des Wetters‘, im zweiten Fall hingegen ‚Vorgang/Situation, bei dem/der das Wetter beobachtet wird‘ anzugeben. (ვერნერი 2016:97)

აღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითს ჩვენი კორპუსიდან:

Auch **die Parteiführung** der Republikaner dürfte nach diesem kalkuliert provokanten Auftritt verstört sein.¹⁶⁴

მ. ვერნერის ნაშრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი თავის შრომაში ასევე განიხილავს კომპოზიციის ორივე ტიპის სტრუქტურას, როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ქრილში. ანალიზის საფუძველზე ავტორი აღნიშნავს, რომ დეტერმინატიული კომპოზიციის დათარიღება, სინქრონიულისაგან განსხვავებით, კამათის საგანს წარმოადგენს. კერძოდ, მაშინ, როცა ძველი ზემო გერმანული ენის ლექსიკონში (Splett 1993) უკვე დაფიქსირებულია სინთეზური კომპოზიტები (wie bspw. *man-slahta* ‚Mord‘, wörtl. ‚Menschenschlachtung‘, cf. Wilmanns 1893:292), საეჭვოა დეტერმინატიული კომპოზიტების არსებობის დამოწმების შემთხვევები. მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, ზოგიერთი მკვლევარი, როგორებიც არიან ოსტჰოფი (Osthoff 1878) და კარი (Carr 1939), ვარაუდობენ დეტერმინატიული კომპოზიტების არსებობას ძველ ზემო გერმანულში. დემსკეს (Demske 2001) და ვანზეკის (Wanzeck 2003) შრომების მიხედვით, დეტერმინატიული კომპოზიტის

¹⁶⁴ SZ 2015. Bericht von Johannes Kuhn, San Francisco: MC Wahnsinn hat das Wort – Präsidentschaftskandidat Donald Trump <https://www.sueddeutsche.de/politik/praesidentschaftskandidat-donald-trump-mc-wahnsinn-hat-das-wort-1.2524692>

ჩამოყალიბება მხოლოდ ადრეულ ახალ ზემო გერმანულში იკვეთება (ვერნერი 2016:97).

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული შესიტყვებები, კერძოდ, **auf Anfrage, nach Angaben, nach Ansicht** და **im Interesse**, რამოდენიმე შემთხვევაში **von** წინდებულთან ერთად დაფიქსირდა. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ერთ-ერთ მაგალითს:

Die Grünen haben sich **nach Ansicht von CSU-Chef** Markus Söder auf ihrem Parteitag in Bielefeld deutlich von einer Koalition mit der Union nach der nächsten Bundestagswahl entfernt.²¹¹

საერთო ჯამში 15 ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა, უმეტესი ნაწილი, კერძოდ, 12, საგაზეთო კომენტარში, 2 - რეპორტაჟში, ერთი კი - ინტერვიუში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გამოკვლეულ კორპუსში წინდებულის ფუნქციის მქონე შესიტყვების ყველაზე აქტიური გამოყენება დადასტურდა საგაზეთო კომენტარში (123), რეპორტაჟში 58 მაგალითი იქნა მოძიებული, ხოლო ინტერვიუში - მხოლოდ 27.

აღნიშნული მოვლენა განპირობებულია კომენტარის, როგორც ჟურნალისტური ჟანრის, სპეციფიკით.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, გერმანულ ენაში შეინიშნება მორფოლოგიური ბრუნვების წინდებულებით ჩანაცვლება, თუმცა, გარკვეული პერიოდი ორივე კონკურენტული ტიპი შეიძლება ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობდეს.

3.4.1. von-წინდებულისანი ფრაზა. რაც შეეხება გენტივის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გავრცელებულ ეკვივალენტს, **von-წინდებულისანი ფრაზას**, **აიხინგერი, აიზენბერგი, კლაუდიო დი მეოლა** გარკვეული ასპექტებით განიხილავენ გენტივის ეკვივალენტების პრობლემას და **von-წინდებულისანი ფრაზას**, როგორც გენტივის ალტერნატიულ ფორმას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ვინაიდან **von** წინდებული დატივს მოითხოვს, აქაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გენტივი დატივს უთმობს ადგილს. მაგრამ, ჩვენ ვემხრობით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სინამდვილეში გენტივი მხოლოდ ადგილს უთმობს **von-წინდებულისანი ფრაზას** (კოპფი 2013).

²¹¹ Spiegel online 2019. Nachricht: Reaktion auf neues Programm CSU-Chef Söder hält Grüne für "nicht koalitionsfähig". Quelle: *cht/dpa* <https://www.spiegel.de/politik/deutschland/csu-chef-markus-soeder-haelt-gruene-fuer-nicht-koalitionsfaehig-a-1297077.html>

გერჰარდ ჰელბიგის მიხედვით, **von** წინდებულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წინდებულებში, რაც იმით გამოიხატება, რომ მას, როგორც გენიტივის შემცვლელ ფორმას, შეუძლია სხვადასხვა შინაარსობრივი გამოკიდებულება წარმოაჩინოს.

გენიტივს გამოკვეთილი ნიშანი გააჩნია წერილობით მეტყველებაში. გარდა ამისა, იგი ხშირად გამოიყენება, როცა მეტყველება შედარებით მაღალფარდოვანია. ამას კი ზოგჯერ გაუმართლებელ მრავალჯერად კონსტრუქციებამდეც კი მივყვართ. ამის მაგალითად ავტორს (ქოპფი: 2013) მოჰყავს შემდეგი წინადადება, რომელსაც არანაირი შესატყვისი არ გააჩნია ლიტერატურულ ენაში:

[sie] verlangte, die mutmaßliche Ausspähung **Angela Merkels Mobiltelefons** [...] zu thematisieren.²¹² (ქოპფი: 2013)

ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე მომდევნო მაგალითში, რომელიც ჩვენს მიერ იქნა მოძიებული გაზეთიდან **F.A.Z.**. ამ შემთხვევაში, ორ გენიტივურ სტრუქტურას გენიტივის დამატებაც ემატება. შედეგად, გენიტივის ბრუნვა სამჯერ მეორდება, რაც ჩემი აზრით გარკვეულ დისკომფორტს ქმნის მოსაუბრისათვის.

Putin erinnerte daran, dass Russland 2015 **des 70. Jahrestags des Endes des Zweiten Weltkriegs** gedacht habe.²¹³

შესაბამისად, მსგავსი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად გამართლებულია ერთ-ერთი გენიტივური სტრუქტურის **von** წინდებულის ფრაზით ჩანაცვლება, როგორც ეს შემდეგ მაგალითებში ხდება:

Man muss ja **die Gesamtlogik von Merkels Politik** sehen.²¹⁴

Sie habe von der **Bewerbung des Gouverneurs von Ohio** um die Kandidatur erst letzte Woche erfahren, sagt eine Besucherin der Veranstaltung. "Was ich gehört habe, gefällt mir."²¹⁵

²¹² Ebd.

²¹³ F.A.Z. 2016. Nachricht: Neujahrsansprache im Kreml: Putin schwört Russen auf Kampf gegen Terror ein. Quelle: dpa <https://www.faz.net/aktuell/politik/kampf-gegen-den-terror/neujahrsansprache-im-kreml-putin-schwuert-russen-auf-kampf-gegen-terror-ein-13992433.html>

²¹⁴ FAZ 2016: Interview von Ralph Bollmann und Rainer Hank: Thilo Sarrazin : „Hätte man auf mich gehört, gäbe es heute keine AfD“. https://www.faz.net/aktuell/wirtschaft/wirtschaftspolitik/buchautor-thilo-sarrazin-ueber-fluechtlingskrise-und-afd-14195873.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

²¹⁵ Zeit online 2015; Bericht von Steve Peoples: Kasich, der unterschätzte Unbekannte: <https://www.zeit.de/politik/ausland/2015-08/us-wahlkampf-jeb-bush-konkurrenz-republikaner>

Sie ist als einzige Einheit des kaiserlichen Heeres mobil geblieben und so etwas wie **der Kern von Noskes Truppe**.²¹⁶

Als Ridwan Abdulrazak noch in Syrien lebte, war er **Vorsteher eines Vorortes von Idlib**.²¹⁷

Im August hatte die Enthüllungsplattform WikiLeaks gehackte **E-Mails von Mitgliedern und Mitarbeitern des Parteivorstandes der Demokraten** veröffentlicht.²¹⁸

თანამედროვე გერმანული ბეჭდური მედიის ტექსტებში აქტიურად გამოიყენება ნომინალური ფრაზა **von** წინდებულთ.

Präsident Hollande unterstützt die Bundesregierung bei dem Bestreben, die Verfahren zur **Anerkennung von Asylanträgen** in der EU zu vereinheitlichen.²¹⁹

Psychologische Tests zeigen **die Wirkung von scheinbar normalen Worten** wie Mutter.²²⁰

Das Geschäftsmodell von Ölstaaten wie Russland oder Saudi-Arabien fußt schon lange auf hohen Energiepreisen.²²¹

3. ვაინრობი von წინდებულს გენტივის პარადიგმაში მოიაზრებს. **von** დატივის საკუთარი წინდებულია. იგი ხშირად ენაცვლება გენტივურ სტრუქტურას და გამოხატავს კუთვნილებას ფართო გაგებით.

²¹⁶ Süddeutsche Zeitung 2018; Bericht von Robert Probst: Spartakusaufstand Januar 1919: Als in Berlin der Bürgerkrieg tobte; <https://www.sueddeutsche.de/politik/spartakus-aufstand-rosa-luxemburg-liebknecht-spd-noske-buergerkrieg-revolution-weltkrieg-freikorps-1.4240607-0#seite-2>

²¹⁷ F.A.Z. 2016; Bericht von Jochen Stahnke: Flüchtlinge in der Türkei: Nicht jeder will nach Deutschland; https://www.faz.net/aktuell/politik/fluechtlingskrise/syrische-fluechtlinge-in-islahiye-in-der-tuerkei-13991198.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

²¹⁸ Zeit online 2016; Nachricht: USA werfen Russland Wahlbeeinflussung vor; Quelle: ZEIT ONLINE, AFP, AP, dpa, ndo; <https://www.zeit.de/zustimmung?url=https%3A%2F%2Fwww.zeit.de%2Fpolitik%2Fausland%2F2016-10%2Fusa-russland-hackerangriff-wahl>

²¹⁹ F.A.Z. 2015; Bericht von: Michaela Wiegel: Deutschland und Frankreich: Ein neuer Blick auf den Nachbarn. <https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/europa/deutschland-und-frankreich-ein-neuer-blick-auf-den-nachbarn-13780115.html>

²²⁰ Zeit 2015; Interview von Johannes Dudziak und Elisabeth Niejahr: "Auch in einer liberalen Demokratie wird Propaganda gemacht". <https://www.zeit.de/zustimmung?url=https%3A%2F%2Fwww.zeit.de%2Fpolitik%2Fdeutschland%2F2015-07%2Fpropaganda-jason-stanley-interview>

²²¹ FAZ 2015; Bericht von Gerald Braunberger: Gewaltiger Sprung des Ölpreises. <https://www.faz.net/aktuell/finanzen/devisen-rohstoffe/mehr-als-25-prozent-gewaltiger-sprung-des-oelpreises-13780257.html>

So viel **Applaus von einem sozialistischen Regierungschef** hat die Bundeskanzlerin selten erhalten.²²²

მოცემულ მაგალითში **von** წინდებულით სახელდება ავტორი, კერძოდ, აპლოდისმენტის.

ჰერინგერი და **ციფონუნი von** წინდებულის სტრუქტურას გენიტისური სტრუქტურის შემცვლელ ფორმას უწოდებენ (ჰერინგერი 1989:232). **ციფონუნის** (1997:2079f.) მიხედვით, **von** წინდებულის ფრაზა იმ შემთხვევაში ენაცვლება გენიტისს, როცა იგი საკმარისად არ არის მარკირებული:

„Laut G. Zifonun u.a. wird der Genitiversatz durch eine mit von eingeleiteter Präpositionalphrase insbesondere gewählt, wenn der Genitiv flexivisch nicht ausreichend markiert ist“ (ჰერინგერი 1989: 232).

გ. ჰელბიგი კი თვლის, რომ **von** წინდებულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა წინდებულებს შორის, ვინაიდან ზემოთ დასახელებული ავტორების მსგავსად მასაც მიჩნია, რომ **von** წინდებულის ფრაზით, როგორც გენიტისის შემცვლელი ფორმით, შესაძლებელია გენიტისური ატრიბუტის სხვადასხვა შინაარსობრივი კავშირის აღწერა:

„Die Präposition **von** nimmt unter den übrigen Präpositionen eine Sonderstellung ein, da sie als Ersatzform des Genitivs auch verschiedene inhaltliche Beziehungen des Genitivattributs ausdrücken kann“ (ჰელბიგი 1996:593).

Derzeit gehe es indes um **die Erfüllung von Zusagen**, die Griechenland eigentlich schon bis Dezember erfüllen sollte.²²³

ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ **von** წინდებულის ფრაზების მიმოხილვას შინაარსის მიხედვით და გამოვყოფთ განსაკუთრებულ შემთხვევებს.

მომდევნო მაგალითში საზღვრული, რომელიც წარმოდგენილია არსებითი სახელით **Gleichberechtigung**, შეიძლება მოგვევლინოს შედგენილი შემასმენლის სახელითი ნაწილის როლში:

²²² Ebd.:

²²³ Zeit online 2015: Nachricht: Schuldenkrise: Griechenland stellt sich hinter Tsipras.

https://rp-online.de/politik/ausland/griechenland-parlament-staerkt-alexis-tsipras-den-ruecken_aid-9588045

Gleichberechtigung von Frau und Mann?²²⁴ → **sind Frau und Mann gleichberechtigt?**

აქ **von** წინდებულიანი სტრუქტურა ენაცვლება გენტიურ სტრუქტურას **Genitivus subjectivus** მნიშვნელობით:

Seit dem **Rücktritt von Andrea Nahles** Anfang Juni steckt die SPD in einem Selbstfindungsprozess.²²⁵

Rücktritt von Andrea Nahles → **Andrea Nahles tritt zurück**

შემდეგ მაგალითებში **von** წინდებულიანი სტრუქტურა გვევლინება **პარტიტიული** (ნაწილობითი) მნიშვნელობით:

Er ist **einer von zwei Menschen**, die die Stadt Moers in den vergangenen zwei Monaten als hauptamtliche Betreuer für die mehr als 600 in Moers lebenden Flüchtlingen eingestellt hat.²²⁶

Die Spitzen von Union und SPD arbeiten nach Informationen der Nachrichtenagentur dpa weiterhin an einem Termin für eine Sitzung des Koalitionsausschusses – dem Gremium, in dem die Regierungspartner über konkrete Probleme beraten.²²⁷

von წინდებულიანი ფრაზით შესაძლებელია ასევე თვისების გამოხატვა.:

Wie sich die Demokraten in diesem **Ungleichgewicht von Eskalationsbereitschaft** künftig positionieren, [...].²²⁸

Ungleichgewicht von Eskalationsbereitschaft → **Eskalationsbereitschaft ist ungleichgewichtig**

რაც შეეხება მომდევნო შემთხვევას, იგი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საზღვრულის როლში გვევლინება არსებითი სახელი das Bild, რომლის სინონიმებს

²²⁴ Süddeutsche Zeitung 2017: Bericht von: Sebastian Gierke: Krise des Westens: 2017 - das Jahr, in dem das Autoritäre zu ungeahnter Stärke fand. <https://www.sueddeutsche.de/politik/krise-des-westens-2017-das-jahr-in-dem-das-autoritaere-zu-ungeahnter-staerke-fand-1.3807892>

²²⁵ Spiegel 2019. Bericht von [Christian Teevs](#): SPD-Kandidatenduell Bald fertig.

<https://www.spiegel.de/politik/deutschland/spd-kandidatenduell-showdown-der-sozis-a-1297069.html>

²²⁶ Zeit online 2015; Bericht von Jürgen Stock: Moers: Zwei "Glücksfälle" im Flüchtlings-Heim;

https://rp-online.de/nrw/staedte/moers/zwei-gluecksfaelle-im-fluechtlings-heim_aid-21572393

²²⁷ Zeit online 2019. Nachricht: Angela Merkel empfängt neue SPD-Spitze, Quelle: ZEIT ONLINE, dpa,

Reuters, fin <https://www.zeit.de/politik/deutschland/2019-12/saskia-esken-norbert-walter-borjans-spd-spitze-kanzleramt-angela-merkel>

²²⁸ Ebd.: Bericht von Johannes Kuhn: Immer mehr Demokraten verzweifeln an Obamas Urvertrauen in die USA. <https://www.sueddeutsche.de/politik/hacker-angriffe-in-den-usa-warum-immer-mehr-demokraten-an-obamas-urvertrauen-in-die-usa-verzweifeln-1.3299383-0#seite-2>

მოცემულ კონტექსტში წარმოადგენს das Image და die Vorstellung. აქედან გამომდინარე von წინდებულისანი ფრაზის ინტერპრეტირება შემდეგნაირად შეიძლება:

Hat sich Ihr **Bild von Menschen** durch Ihr Amt verändert?²²⁹

Bild von Menschen → **Bild / Image der Menschen**

მაგრამ: **Bild von Menschen** ≠ **Vorstellung von Menschen**

შესაბამისად ბოლო შემთხვევაში საქმე გვაქვს არა გენიტის ეკვივალენტთან, არამედ **von** წინდებულისით მართვასთან.

von წინდებულისანი ფრაზის ძირითადი მნიშვნელობა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის კუთვნილების გამოხატვა ფართო მნიშვნელობით:

Aber es gibt da bestimmte Elemente: das unerhörte Benehmen mancher westlicher Firmen in Bezug auf Arbeitnehmerrechte, Umweltschutz, Rücksicht auf **die Interessen von Anwohnern**.²³⁰

Die jüngste Erklärung von US-Außenminister Mike Pompeo steht in einer Reihe mit weiteren israelfreundlichen Entscheidungen in jüngerer Zeit.²³¹

თუმცა, ბოლო შემთხვევაში **von** წინდებულისანი ფრაზა შეიძლება ასევე აღიქვას მკითხველმა, როგორც უახლესი განცხადების ავტორი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც არსებითი სახელები ზემოთ ხსენებულ კონსტრუქციებში ბრუნვის დაბოლოების გარეშე გვხვდება:

Seit mittlerweile drei Jahren verhandelt die kolumbianische **Regierung von Präsident** Juan Manuel Santos mit den Farc über einen umfassenden Friedensvertrag.²³²

²²⁹ F.A.Z. 2017. Politisches Interview von Volker Zastrow, Friederike Haupt und Thomas Gutschker: Die Kanzlerin im Gespräch: Wir brauchen Mut. https://www.faz.net/aktuell/politik/bundestagswahl/angela-merkel-im-interview-wir-brauchen-mut-15191126.html?printPagedArticle=true#pageIndex_3

²³⁰ Ebd.: Politisches Interview von Konrad Schuller: PiS-Chef Kaczynski : „Es gilt, dass Frau Merkel für uns das Beste wäre“. https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/kaczynski-wuenscht-sich-fuer-polen-einen-sieg-merkels-14859766.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

²³¹ Spiegel 2019. Bericht von Almut Gieschinger: Nahostkonflikt Darum geht es beim israelischen Siedlungsbau. <https://www.spiegel.de/politik/ausland/israel-siedlungen-in-der-westbank-darum-geht-es-a-1297280.html>

²³² F.A.Z. 2016; Bericht von Matthias Rüb: Kolumbien: Entmintes Gelände; https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/amerika/entmintes-gelaende-muehsamer-wiederaufbau-in-kolumbien-13989649.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

როდესაც მსაზღვრელი **von** წინდებულით უკავშირდება საზღვრულს, რომელიც წარმოდგენილია ე.წ. არსებით სახელთა წყვილით, ამ შემთხვევაში ბრუნვის დაბოლოებას მიიღებს წყვილის მეორე კომპონენტი:

Die Sicherheitsbehörden von Bund und Ländern, so versicherte der CDU-Politiker, gingen „in diesem Zusammenhang verschiedenen Hinweisen, auch auf möglicherweise geplante Anschläge, nach und passen die Maßnahmen fortlaufend an die aktuelle Situation an“.²³³

რაც შეეხება მასმედიის ენასთან შედარებით, სხვა ფუნქციონალურ ენებში ალტერნატიული **von**-წინდულიანი ფრაზის გავრცელებას, **ვინთერის** (1966:23) აზრით, გენტივი ფართოდ არის გავრცელებული ადნომინალური მნიშვნელობით **სამეცნიერო და ჟურნალისტურ პროზაში**. **რიომერის** (2006:123) თანახმად, აღნიშნულმა ფორმამ თანამედროვე გერმანულ ენაში მნიშვნელობა დაჰკარგა. **ოტო ბეჰაგელი** (1979:19) კი აღნიშნავს, რომ დღევანდელ წერილობით ენაში არანაირი ნიშანი გაქრობისა გენტივის არ ეტყობა. **დალი** (1971:159) თვლის, რომ სამეტყველო ენაში გენტივი მთლიანად გაქრა და დიდწილად წინდებულიანი ფორმებით შეიცვალა. ჩვენ ვიზიარებთ და ვემხრობით **იურგენ შმიდტის** (2003:15-44) **მოსაზრებას**, იმის შესახებ, რომ **von** წინდებულიანი ფრაზა ჭარბად გამოიყენება ჟურნალისტურ გერმანულში. **ვინფრიდ ვაიერის** აზრით, დატივი ყველა შემთხვევაში, გენტივის „ყველაზე საშიშ მეტოქედ“ რჩება (ვაიერი 1968:223).

ყურადღებას გავამახვილებთ ვაიერის მოსაზრებაზე. იგი განიხილავს რამოდენიმე შემთხვევას, სადაც **von** წინდებული გამოხატვის ახალ შესაძლებლობებზე მიუთითებს:

1. ქვეყნების, ქალაქების და ასევე საკუთარ სახელებთან არტიკლის გარეშე, როდესაც გენტივის ფორმის ნიშანდება არასაკმარისია. უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით დამახასიათებელია აღნიშნული შემთხვევა საგაზეთო ტექსტებისათვის. მაგალითად:

²³³ FAZ 2016; Bericht von Günter Bannas und Albert Schäffer: Terrorwarnung in München: Mia san mia. https://www.faz.net/aktuell/politik/kampf-gegen-den-terror/terrorwarnung-in-muenchen-mia-san-mia-13993347.html?printPagedArticle=true#pageIndex_2

Parallel sollte das Kiewer Parlament das "Gesetz für eine interimistische Selbstverwaltung **in bestimmten Gegenden von Donezk und Luhansk**", vulSZgo "Sonderstatus", in Kraft setzen und per Verfassungsänderung die Dezentralisierung in Angriff nehmen.²³⁴

Der demokratische Ex-Präsident Barack Obama zeigte sich bestürzt über den **Tod von George H. W. Bush**.²³⁵

2. სხვადასხვა სქესის არსებითი სახელების სიჭარბისას რამოდენიმე არტიკლის, გენტივის -ს სუფიქსის დაგროვების და დამოკიდებული გენტივების თავიდან ასაცილებლად. რაც ასევე ტიპურია და დომინირებს საგაზეთო ტექსტებში. მაგალითად:

Unverhohlen skeptisch bewertete Mattis **die Aussichten von Trumps Vorhaben**, engere Beziehungen mit Russland einzugehen und die Zusammenarbeit in internationalen Fragen auszubauen.²³⁶

Wird 2018 als Jahr in Erinnerung bleiben, an dem das Ende der Volksparteien in Deutschland besiegelt wurde, das Ende eines Erfolgskonzepts, mit dem die Bundesrepublik fast sieben Jahrzehnte lang gut gefahren ist, weil **die Stärke von Union und SPD** dem Land eine politische Stabilität verlieh?²³⁷

Es war eine Strategie, die darauf setzte, viele Themen und Anliegen des Hauptkonkurrenten zu übernehmen und **jeden Anschein von Konflikt und Polarisierung** zu vermeiden, [...].²³⁸

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში გვხვდება სხვა საინტერესო და განსაკუთრებული შემთხვევებიც, რომლებიც არსად არ არის აღნიშნული.

²³⁴ SZ 2015. Bericht von Cathrin Kahlweit, Wien: Ost-Ukraine: Die Schwierigkeiten der Demokratie im Donbass. <https://www.sueddeutsche.de/politik/ukraine-diesmal-demokratisch-1.2717428>

²³⁵ Zeit online 2018. Nachricht: "Freund der Deutschen": Ex-Präsident George H. W. Bush ist tot. Quelle: dpa <https://www.zeit.de/news/2018-12/01/freund-der-deutschen-ex-praesident-george-h-w-bush-tot-181201-99-42826>

²³⁶ F.A.Z. 2017. Nachricht: Anhörung vor dem Senat: Auch Trumps designierter Verteidigungsminister warnt vor Putin. Quelle: AFP <https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/trumps-kandidat-fuer-das-pentagon-warnt-bei-seiner-anhoerung-vor-putin-14632413.html>

²³⁷ Spiegel online 2018. Bericht von Markus Feldenkirchen: Ende der Disruption? <https://www.spiegel.de/politik/ende-der-disruption-a-cb0bd646-0002-0001-0000-000161578471>

²³⁸ Spiegel online 2018. Bericht von Markus Feldenkirchen: Ende der Disruption? <https://www.spiegel.de/politik/ende-der-disruption-a-cb0bd646-0002-0001-0000-000161578471>

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითს, რომელშიც ხუთი განსაზღვრებაა, კერძოდ, ორ საზღვრულთან ხუთი მსაზღვრელია დაკავშირებული. ამათგან ორი გენტივიზია, ერთი მხოლოდით რიცხვში, მეორე - მრავლობითში. დანარჩენი კი **von** წინდებულით უკავშირდება საზღვრულს:

Da sind die älteren Generationen, die zwar von der Demokratie als Regierungsform überzeugt sind, aber nicht von den »emanzipativen Werten«, welche die wachsende persönliche Freiheit mit sich bringt: **Gleichberechtigung der Geschlechter, Akzeptanz von Andersgläubigen, von Homosexualität, von Abtreibung, Scheidung.**²³⁹

ასევე, განხილულ უნდა იქნას შემთხვევა, რომელშიც განსხვავებულად წარმოდგებიან გენტივის ეკვივალენტები. კერძოდ, როდესაც გენტივიური სტრუქტურის ჩანაცვლება ხდება ორი სხვადასხვა სემანტიკური ეკვივალენტით - **von** წინდებულით და კომპოზიტით:

Ein **Sprecher von EU-Kommissionspräsident** Jean-Claude Juncker erklärte deshalb auf Twitter: "Schengen wird in Gefahr sein, wenn **die EU-Mitgliedstaaten** nicht gemeinsam zügig und solidarisch an der Verwaltung der Flüchtlingskrise arbeiten."²⁴⁰

Sprecher von EU-Kommissionspräsident → **Sprecher des Kommissionspräsidenten der EU**

die EU-Mitgliedstaaten → **die Mitgliedstaaten der EU**

რაც შეეხება შემდეგ მაგალითს, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში **von** წინდებულის სტრუქტურა ვერ ჩაითვლება გენტივიური სტრუქტურის ალტერნატიულ ფორმად, ვინაიდან იგი კუთვნილებას კი არ გამოხატავს, არამედ აქაც საქმე გვაქვს **von** წინდებულით მართვასთან:

Aber wir dürfen nicht allen ausweichen, die unsere **Vorstellungen von Demokratie und Menschenrechten** nicht teilen.²⁴¹

²³⁹ Spiegel online 2018. Bericht von Guido Mingels: Gewissensfragen an die Welt.

<https://www.spiegel.de/panorama/gewissensfragen-an-die-welt-a-4bfe0e90-0002-0001-0000-000161578485>

²⁴⁰ Spiegel online 2015. Nachricht: Grenze zu Österreich Deutschland führt Grenzkontrollen ein - das müssen Sie

wissen. Quelle: apr/syd/dpa/Reuters/AFP <https://www.spiegel.de/politik/deutschland/grenzkontrollen-an-grenze-zu-oesterreich-das-wichtigste-im-ueberblick-a-1052744.html>

²⁴¹ Spiegel online 2015. Interview von Christiane Hoffmann, Christoph Schult: Regierung „Der Schaden trifft die SPD“.

Vorstellungen von Demokratie und Menschenrechten ≠ Vorstellungen der Demokratie und Menschenrechte

ზემოთ წარმოდგენილი თეორიული კონცეპციები, კორპუსული კვლევა და ანალიზი მიუთითებს გენტივის ვარიაციების წინააღმდეგობრივ და მრავალფეროვან ფუნქციებზე. თუმცა, გენტივით გამოხატული მნიშვნელობები, როგორც ნორმა, მყარად ინარჩუნებს თავის ადგილს თანამედროვე გერმანულ ენობრივ სისტემაში.

3.4.2. von წინდებულიანი ფრაზა და გენტივის წინდებულები. გერმანულ ენაში შეინიშნება ტენდენცია, გენტივის წინდებულებთან **von** წინდებულის გამოყენებისა. ემპირიული მასალის კვლევისას დაფიქსირდა, რომ მოხდა სხვადასხვა წინდებულის **von** წინდებულიანი ფრაზით განვრცობა. ეს წინდებულებია - **angesichts, anlässlich, anstelle, aufgrund, außerhalb, innerhalb, jenseits, mithilfe, nördlich, nordwestlich, östlich, südlich, südwestlich, westlich, zugunsten**

მართალია, ამ შემთხვევაში, უმეტესი ნაწილი საკუთარი სახელებია, თუმცა მათ შორის დაფიქსირდა ასევე საზოგადო სახელებიც. წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

In Malta gilt, europaweit einmalig, die Besonderheit, dass man bestimmten Forderungen **innerhalb von 30 Tagen** persönlich vor Gericht widersprechen muss.²⁴²

Ein noch unbekannter Attentäter drang in das Areal ein und erschoss **innerhalb von sieben Minuten** 39 Menschen.²⁴³

მოცემულ შემთხვევებში, არსებით სახელს თან ახლავს ფორმაუცვლელი რაოდენობითი რიცხვითი სახელი. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია გენტივის წინდებულის განვრცობა **von** წინდებულებით, რომ ბრუნვის მარკირება ნათელი იყოს. ამგვარი წინადადებები, ჩვენი აზრით, ამძიმებს სტრუქტურას და ხელოვნურადაა შექმნილი. კერძოდ, მომდევნო მაგალითში, ვფიქრობთ არ არის აუცილებელი **aufgrund** წინდებულის **von** წინდებულებით განვრცობა:

<https://www.spiegel.de/politik/der-schaden-trifft-die-spd-a-fc3eb9db-0002-0001-0000-000140508735>

²⁴² SZ 2016. Bericht von Georg Mascolo und Ronen Steinke: Gesetzeslücke: "Reichsbürger" drangsalieren deutsche Justiz - mit Hilfe aus Malta. <https://www.sueddeutsche.de/politik/gesetzesluecke-reichbuerger-drangsalieren-deutsche-justiz-mit-hilfe-aus-malta-1.3282779>

²⁴³ Spiegel online 2017. Nachricht: Istanbuler Klub Reina Angriff auf ein Symbol der Lebensfreude. Quelle: stk <https://www.spiegel.de/politik/ausland/istanbul-anschlag-auf-ein-symbol-der-lebensfreude-a-1128192.html>

"Insbesondere straffällig gewordene Asylbewerber sollten unter Abänderung europäischen Rechts bereits **aufgrund von Bewährungsstrafen** abgeschoben werden können", heißt es in einem Papier für die Klausur der CSU-Bundestagabgeordneten Anfang Januar.²⁴⁴

ამჯერად ბრუნვის მარკირება შემდეგი ფორმითაც არის შესაძლებელი:

aufgrund von Bewährungsstrafen → aufgrund der Bewährungsstrafen

იგივე შეიძლება ითქვას მომდევნო შემთხვევაზე:

Und **anstelle von blumigen Utopien** wird heute mit Szenarios und Modellen versucht, die eigenen Zukunftsvorstellungen als möglichst plausibel und alternativlos darzustellen.²⁴⁵

ამ შემთხვევაში არსებით სახელს ფორმაცვალებადი განსაზღვრება ახლავს თან, რაც შესაძლებლობას იძლევა ბრუნვის მარკირებისათვის:

anstelle von blumigen Utopien → anstelle blumiger Utopien

აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა საკუთარ სახელებს ეხება. **von-**წინდებულიანი სტრუქტურით ჩანაცვლება იმ შემთხვევაშიც ხდება, როცა გენიტივის მარკირება ერთგვარად ბუნდოვანია, კერძოდ, საუბარია მდებარეობითი სქესის სახელებზე, სადაც მხოლოდითი რიცხვის გენიტივის და დატივის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა.

²⁴⁴ SZ 2015. Nachricht: Migration: CSU will Abschiebungen von Asylbewerbern erleichtern. Quelle: dpa-Newskanal <https://www.sueddeutsche.de/politik/migration-csu-will-abschiebungen-von-asylbewerbern-erleichtern-dpa.urn-newsml-dpa-com-20090101-151230-99-641288>

²⁴⁵ SZ 2018. Interview von Jakob Maurer: Brexit: "Erscheint die Zukunft bedrohlich, folgt die Flucht in die Vergangenheit". Quelle: SZ.de/jmau <https://www.sueddeutsche.de/kultur/interview-am-morgen-brexit-zukunft-gesellschaft-1.4246603>

თავი მეოთხე. გენეტივის ეკვივალენტების ანალიზი და კლასიფიკაცია საგაზეთო-საჟურნალო ჟანრის ტექსტებში.

4.1. მასმედიის ენის თავისებურებები. მასმედიის ენის თავისებურებას წარმოადგენს ზეპირი და წერილობითი ენების ინტეგრირების განსაკუთრებულ ჭრილში წარმოდგენა. როგორც ცნობილია, ორივე ენას გააჩნია საკუთარი კანონზომიერებები, ხოლო მედიების ენა მათ თავისი მიზნების შესაბამისად გამოიყენებს. აღნიშნული საკითხის შესწავლაც, ასევე უშუალოდაა დაკავშირებული გენეტივის პრობლემატიკასთან, რადგან გენეტივის, როგორც ნორმის და მისი ვარიანტების ფუნქციონირება განსხვავებულად წარმოჩინდება, როგორც ზეპირ, ასევე - წერილობით ენაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა გერმანელი ენათმეცნიერის რაინჰარდ ფილერის სტატია „Über zwei Probleme bei der Untersuchung gesprochener Sprache“. ავტორის აზრით, ზეპირი ენის მეცნიერული კვლევა ორი ძირითადი პრობლემის გამო ფერხდება, და აქვე ის ასახელებს ერთი მხრივ სირთულეს, რაც იმით არის განპირობებული, რომ ზეპირი ენის ფენომენისადმი რაციონალურ მიდგომას ართულებს ე.წ. ‚written language bias‘. მეორე მხრივ, საკითხი ეხება პრობლემას, რომელიც იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად მისაღებია მოსაზრებები კვლევის ერთიანი საგნის შესახებ:

„Die wissenschaftliche Beschäftigung mit gesprochener Sprache wird m.E. durch zwei grundlegende Probleme behindert, [...].

Das erste Problem besteht darin, daß der erkenntnismäßige Zugang zu Phänomenen und Eigenschaften gesprochener Sprache durch ein ‚written language bias‘ (Linell 1982), dem sowohl das alltagsweltliche Sprachbewußtsein wie auch die sprachwissenschaftliche Reflexion über Sprache unterliegen, systematisch erschwert und verstellt wird.

Das zweite Problem betrifft die Frage, ob das, was als einheitlicher Untersuchungsgegenstand gelten zu können, über die generell geltende Aussagen möglich sind“ (ფილერი 2000:23).

ზეპირ და წერილობით ენებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კრისტა დიურშიაიდის მოსაზრება. იგი გამოჰყოფს ზეპირი და წერილობითი ენის

რამოდენიმე პროტოტიპულ ნიშანს წიგნში **Einführung in die Schriftlinguistik**. ავტორი ზეპირ ენას წარმავალს უწოდებს, წერილობითს კი მუდმივს; აქედან გამომდინარე, ზეპირი ენა ექვემდებარება დროს და სივრცეს, წერილობითი კი არ არის დაკავშირებული მეტყველების სიტუაციაზე. კომუნიკაცია ზეპირ ენაში სინქრონიულად მიმდინარეობს, წერილობითში - ასინქრონიულად. ზეპირ ენაში გამოიყენება დეიქტიკური გამოთქმები, რაც მეტყველების სიტუაციას უკავშირდება, წერილობითში - არა. ფილოგენეტიკური და ონტოგენეტიკური თვალსაზრისით, ზეპირი ენა პირველადია, წერილობითი ენა კი მეორეული. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ზეპირ ენას ახასიათებს როგორც სინტაქსური, ასევე ფლექსიის მხრივ გადაცდომები. ზეპირი ენისთვის დამახასიათებელია დიალექტიზმები, ელიფსური წინადადებები, თვითმესწორებები, ნაწილაკები. წერილობით ენას კი ეს არ ახასიათებს. ზეპირ ენას დიალოგის ფორმა აქვს, წერილობითს კი მონოლოგის. (დიურშაიდი 2016: 26-27).

ზეპირ და წერილობით ენებს განიხილავს ასევე **აარნი პენტილა**, რომელიც აღნიშნავს, რომ ზეპირი ენა სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ზეპირი ენა კვლევის საგანი გახდა, ხშირად მას „ნამდვილ ენად“ მიიჩნევენ, წერილობითს კი „მეორეულ ენად“, რომელსაც დაქვემდებარებული პოზიცია უჭირავს ენის კვლევაში. თუმცა, ავტორის მიხედვით, არსებობს სხვა მოსაზრებებიც ზეპირი და წერილობითი ენის კავშირზე. **ა. პენტილა** თავის სტატიაში პრობლემასთან კავშირში მოიხსენიებს შვედ მკვლევარს სტურ ალენს, რომელიც ხაზს უსვამს წერილობითი ენის დამოუკიდებლობას და მისი ზეპირ ენასთან გათანაბრებული კვლევის მნიშვნელობას:

„Allén betont in seiner Darstellung intensiv a) die *Selbständigkeit* der geschriebenen Sprache und b) die *Bedeutung und Gleichberechtigung ihrer Forschung* neben der Forschung der gesprochenen Sprache“ (პენტილა 1970:32).

ა. პენტილა, პირიქით აღნიშნავს, რომ წერილობითი ენა ყოველთვის იყო და არის ზეპირ მეტყველებაზე დამოკიდებული (პენტილა 1970:34).

სტატიის ბოლოს ავტორი დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ არავის შეუძლია უარყოს, რომ წერილობითი ენა მკვლევრებს ისეთივე მნიშვნელოვან კვლევის მასალას სთავაზობს, როგორც ზეპირი ენა:

„Niemand kann und möchte auch nicht verneinen, dass die geschriebene Sprache (besonders wie sie auf die oben dargestellte Weise als ein selbständiges Sprachsystem aufgefasst ist) für den Forscher ebenso bedeutungsvolles Forschungsmaterial bietet wie die gesprochene Sprache“ (პენტილა 1970:55).

მიგვაჩნია, რომ ზეპირი და წერილობითი ენების ურთიერთდამოკიდებულებაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის **ვოლფგანგ კლაინს**. ავტორი მიუთითებს, რომ რაიმეს დაწერა არ ნიშნავს უბრალოდ ნათქვამის სხვა ფორმით გამოვლინებას, და, ის შეტყობინებას და გამზიარებელს სხვა სტატუსს ანიჭებს:

„Etwas aufschreiben, heißt nicht einfach, etwas Gesprochenes in eine andere Erscheinungsform überführen. Es gibt der Mitteilung und dem Mitgeteilten einen andern Status“ (კლაინი 1985:7).

ავტორს თვლის, რომ უჩვეულოა ენათმეცნიერების დამოკიდებულება დამწერლობისა და წერილობითი ენისადმი. მისი აზრით, ენათმეცნიერული კვლევის ნამდვილი საგანია ზეპირი ენა, კავშირი ბგერასა და მნიშვნელობას შორის და ზეპირი ენის თავისებურებები. ის რომ წერილობითი ენა დროში დაქვემდებარებულია ზეპირ ენაზე, არ ნიშნავს, რომ ის ნაკლებად მნიშვნელოვანი და გამოსაკვლევიანია. თუმცა, ფაქტია, რომ ზეპირ ენას ყველა დროში უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ისევე, როგორც ეს დღეს ხდება. ამის დასტურად ავტორს მაგალითად მოჰყავს მრავალი კულტურა, რომლებსაც დამწერლობა არ გააჩნია :

„Die Sprachwissenschaftler haben ein merkwürdiges Verhältnis zur Schrift und zur geschriebenen Sprache. Sie sehen sie zumeist als etwas Abgeleitetes an. Der eigentliche Gegenstand der Sprachwissenschaft ist die gesprochene Sprache - das Verhältnis von Laut zu Bedeutung und die Eigenschaften der mündlichen Kommunikation. [...]

Daß die geschriebene Sprache der gesprochenen zeitlich nachgeordnet ist, besagt natürlich nicht, daß sie weniger wichtig oder weniger erforschenswert sei. Es ist sicher so, daß der gesprochenen Sprache im Leben der Menschen zu allen Zeiten eine größere Bedeutung zukam als der geschriebenen; so ist es noch heute. Für die vielen schriftlosen Kulturen ist dies trivialerweise richtig“ (კლაინი 1985:7-9).

ვ. კლაინი ბოლოს აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი ფაქტორი დამწერლობისა იმდენად იმაში არ მდგომარეობს, რომ ის კომუნიკაციის მეორე ფორმას წარმოადგენს, არამედ ის, რომ კომუნიკაციის შედეგები ნარჩუნდება (კლაინი 1985:33).

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა ზეპირი და წერილობითი ენების ურთიერთდამიკიდებულება ბეჭდური მედიის ენაში. შესაბამისად, წერილობითი და ზეპირი ენის კავშირის მოკლე მიმოხილვის შემდეგ წარმოვადგენთ მასმედიის ენის თავისებურებებს.

რაც შეეხება პრესის ენის თავისებურებებს, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, პრობლემის კვლევა ძალიან აქტუალურია. ამ მხრივ, საინტერესოა **ჰაინც-ჰელმუტ ლიუგერის** შრომა **Pressesprache**. შესავალში ავტორი რამოდენიმე კითხვას სვამს ე.წ. პრესის ენის თაობაზე. კერძოდ, რა იგულისხმება პრესის ენაში? ან, კიდევ, ამ შემთხვევაში უფრო საინფორმაციო ჟურნალის, „სერიოზული“ სააბონენტო გაზეთის, ენის გამოყენებაზეა საუბარი თუ სენსაციურად გახსნილი ბულვარული პრესისა. აქვე იგი აღნიშნავს, რომ პრესის ენის ფენომენის ანალიზი მრავალი დისციპლინის ყურადღების ცენტრში მოექცა, განსაკუთრებით კი - ლინგვისტიკის. ამასთან, ჟურნალისტური ტექსტები და ენის სტილი გამუდმებით ხდება მეთოდოლოგიური რეფლექსიისა და ანალიზის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების სფერო.

მნიშვნელოვანია, რომ ჰ. ლიუგერი, მიმოიხილავს ჟურნალისტურ ტექსტებში სინტაქსს, ლექსიკას და რეტორიკულ-სტილისტურ ასპექტებს, აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით ჟურნალისტთა ტექსტებში ჩანს ნათლად თანამედროვე გერმანული ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა, მორფოლოგიური კომპონენტი ავტორის ყურადღების ცენტრში არ ექცევა (ლიუგერი 1995:1).

ჟურნალისტიკა და მისი ენაზე გავლენა არის აღწერილი **ფერდინანდ კურნბერგერის** ნაშრომში. მასში აღნიშნულია, თუ რა დამანგრეველი ძალა გააჩნია ჟურნალისტიკას, როგორ შეაქვს მას სიახლეები როგორც ცალკეულ სიტყვებში ასევე ენის სხვადასხვა სფეროში:

„Der Journalismus dringt, wie Sauerstoff in der Luft, zerstörend, zersetzend, auflösend und freilich auch neubildend auf das feste Gebilde der Büchersprache ein, er allein reagiert tätiger auf sie als alle übrigen Sprach-Agenzien zusammengenommen. Neuerungen in

einzelnen Wörtern und ganzen Redensarten, Neuerungen in Orthografie und Syntax, kurz Sprach-Neuerungen in allen Mustern kreiert der Journalismus fast ausschließlich. Was der gesamten Buchliteratur nicht gelingt, vollendet leicht und spielend die Blattliteratur“ (კიურნბერგერი 1991:4)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საგაზეთო ენაში შეინიშნება წინადადებების შემოკლება, კერძოდ, მარტივი წინადადებების გამოყენება დამოკიდებული წინადადების გარეშე, ან ინფინიტივური კონსტრუქციებით, და ეს ეხება რეგიონალურ და ადგილობრივ პრესას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხზე შემდეგია: ჩვენს კვლევაში გამოიკვეთა განსხვავებული სურათი, ალბათ, გამომდინარე იქედან, რომ შესწავლის საგანია არა რეგიონალური და ადგილობრივი პრესა, არამედ, სარეგიონთაშორისო ბეჭდური მედია. აქ კი, ზემოთ ჩამოთვლილ სტრუქტურებზე მეტად ჭარბობს რთული წინადადებები. მაგალითად:

„Zum Jahreswechsel und unter dem Eindruck des eigenen Rückzugs von der Parteispitze hat Bundeskanzlerin Angela Merkel (CDU) zu mehr Zusammenhalt in der Welt und auch in Deutschland aufgerufen. "Die Herausforderungen unserer Zeit werden wir nur meistern, wenn wir zusammenhalten und mit anderen über Grenzen hinweg zusammenarbeiten", sagte Merkel in ihrer Neujahrsansprache. Als wichtigste Themen nannte sie den Klimawandel, die Migration und den Kampf gegen den internationalen Terrorismus. Im eigenen Interesse könne man all diese Fragen am besten lösen, "wenn wir die Interessen anderer mitbedenken", sagte Merkel laut vorab veröffentlichten Redemanuskript“.²⁴⁶

შემდეგი ილუსტრაცია იგივე წყაროდან არის, მხოლოდ ამჯერად საქმე გვაქვს ინტერვიუსთან:

„Henning Meyer: Wir sehen diese Entwicklung in vielen europäischen Ländern. Die Grundfehler sind in den 90er Jahren gemacht worden, Stichwort Neue Mitte. Die Annahme, dass der neue Mainstream überwiegende Mehrheiten hat, hat dazu geführt, dass sich die sozialdemokratische Programmatik sehr stark angepasst hat. Es ging prinzipiell darum, neue Wählergruppen zu erschließen und die alten nicht zu verlieren“.²⁴⁷

²⁴⁶ SZ 2018. Bericht von Constanze von Bullion, Berlin: "Müssen mehr Verantwortung übernehmen".

<https://www.sueddeutsche.de/politik/merkel-neujahrsansprache-regierung-1.4270684>

²⁴⁷ SZ 2019. Interview von Oliver Das Gupta: Abstimmung über neue SPD-Spitze: "Mit Olaf hätten wir einen

მომდევნო კონტექსტი კი მოძიებულია გაზეთიდან FAZ, საუბარია **საგაზეთო კომენტარზე**:

„Mehr als 1100 Migranten haben in der Neujahrsnacht versucht, den Grenzzaun zur spanischen Exklave Ceuta in Marokko zu stürmen. Fünf spanische und 50 marokkanische Sicherheitskräfte, die die über den Zaun kletternden Menschen abwehren wollten, seien verletzt worden, berichtete die Nachrichtenagentur efe am Sonntag unter Berufung auf die örtlichen Behörden. Die größtenteils aus Ländern südlich der Sahara stammenden Männer seien sehr „organisiert und gewalttätig“ vorgegangen, hieß es“.²⁴⁸

როგორც სამივე მაგალითიდან ჩანს, აშკარად სჭარბობს რთული წინადადებები. ამასთან ისინი ორი სხვადასხვა წყაროდან არის მოძიებული. სამივე შემთხვევაში განსხვავებულია საგაზეთო ჟანრიც.

ა. პაულფრანცის მიხედვით, რეგიონალური და ადგილობრივ გაზეთებში მსგავსი გრძელი წინადადებები ჩვეულებრივ მარტივი სტრუქტურით ხასიათდება, რაც მკითხველს შინაარსის ადვილად აღქმას უწყობს ხელს. ავტორის აზრით, სწორედ ეს არის ამ ტექსტების შემქმნელთათვის მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება ლექსიკას, **ჰ. ლიუგერი** აღნიშნავს, რომ პრესის ენისთვის დამახასიათებელია ახალი ტერმინები, დარგობრივი ტერმინოლოგია, სიტყვების შედარებით ხშირი გამოყენება შესაბამისი დროის ინტერესებიდან გამომდინარე, უცხო სიტყვები მეცნიერული დონის მისანიჭებლად, ანგლიციზმები და ამერიკანიზმები, ასევე გარკვეული მომენტისთვის შექმნილი კომპოზიტები:

„Den Wortschatz betreffend macht Lüger folgende Kennzeichen aus: Verwendung neuer Bezeichnungen, Verschiebung in der relativen Häufigkeit von Wörtern gemäß dem jeweiligen gegenwärtigen Zeitinteresse, Eindringen fachsprachlicher Bezeichnungen, Gebrauch von Fremdwörtern innerhalb eines Trends zur Verwissenschaftlichung, Verwendung von Anglizismen und Amerikanismen sowie von Augenblickskomposita“ (ლიუგერი 1995:30).

erfahrenen Kanzlerkandidaten". Quelle: SZ.de/mkoh/jsa/jab <https://www.sueddeutsche.de/politik/spd-vorsitz-scholz-borjans-esken-geywitz-henning-meyer-1.4704457>

²⁴⁸ FAZ 2017. Nachricht: 55 Sicherheitskräfte verletzt: Mehr als 1100 Migranten stürmen Grenzzaun zu spanischer Exklave. Quelle: hepo./dpa/Reuters <https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/migranten-stuermen-grenzzaun-zu-spanischer-exklave-14600872.html>

აღნიშნული კორპუსის კვლევისას გამოვლინდა ყველა, **ჰ. ლიუგერის** მიერ დასახელებული მახასიათებლები, კერძოდ, დარგობრივი ლექსიკა, ანგლიციზმები, ასევე ე.წ. ad hoc-სიტყვათწარმონაქმნები.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე გერმანული ენის ბეჭდური მედიის ანალიზი მოვახდინეთ ენობრივი ნორმის მარეგულირებელი ინსტანციის დასკვნების საფუძველზე.²⁴⁹

როგორც ცნობილია, ბეჭდური მედია, მკითხველთა ფართო სპექტრზეა გათვლილი. აქედან გამომდინარე, აუცილებელ პირობას წარმოადგენს მორფოლოგიური თვალსაზრისით სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა.

ბეჭდური, და ზოგადად, მედიის მნიშვნელობასთან მიმართებაში, ულრიხ შმიცი (Ulrich Schmitz) აღნიშნავს, რომ გერმანული ენის ფლექსიის სისტემის ჩამოშლა უფრო ნელა განვითარდებოდა მასმედიის გარეშე:

„[d]er rapide Abbau des deutschen Flexionssystems [...] würde ohne Massenmedien sicher wesentlich langsamer verlaufen“ (შმიცი 2004:29).

აღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამოდენიმე შემთხვევას ჩვენი კორპუსიდან, რომლებშიც ზემოთ აღნიშნული შემთხვევები მარკირებულია ჩვენ მიერ:

Wir treffen unsere Entscheidungen einerseits in den Parlamenten und andererseits **mithilfe unserer eingeschriebenen Mitglieder** via Internet.²⁵⁰

Auch ihre Mutter Nariman wurden **wegen ihrer Beteiligung** an dem Vorfall sowie **wegen Anstachelung** zu „terroristischen Angriffen“ angeklagt.²⁵¹

პირველ ორ შემთხვევაში მაგალითები ორი სხვადასხვა წყაროდანაა. აქ საუბარია არტიკლის ფუნქციის მქონე სიტყვებთან ფლექსიის არასწორ დაბოლოებაზე.

²⁴⁹ Di Meola, Claudio: Rektionsschwankungen bei Präpositionen – erlaubt, verboten, unbeachtet. In: Deutsche Grammatik - Regeln, Normen, Sprachgebrauch. Institut für Deutsche Sprache Jahrbuch 2008. Marek Konopka und Bruno Strecker (Hrsg.). Walter de Gruyter Verlag, Berlin, New York.

Als „Norminstanzen“ fungieren hier: a) für die Duden-Redaktion: Deutsches Universalwörterbuch (2003),

²⁵⁰ Spiegel online 2016. Interview von Walter Mayr: SPIEGEL-Gespräch "Führer brauchen wir nicht".

<https://www.spiegel.de/politik/fuehrer-brauchen-wir-nicht-a-1074edc4-0002-0001-0000-000148564929>

²⁵¹ F.A.Z. 2018. Nachricht: Attacke auf Soldaten: Israelisches Militärgericht klagt sechzehnjährige

Palästinenserin an. Quelle: AFP <https://www.faz.net/aktuell/politik/ausland/israelisches-militaergericht-klagt-sechzehnjaehrige-palaestinenserin-an-15369704.html>

რაც შეეხება ორ მომდევნო მაგალითს ერთი და იმავე წყაროდან, ერთ შემთხვევაში, კერძოდ, საგაზეთო კომენტარში, წინდებულთან **laut** ნომინალურ ფრაზაში დაცულია ფლექსიის ნიშანი, მეორეში კი, კერძოდ, რეპორტაჟში, ფლექსიის ნიშანი აკლია:

"Die Wahlen in diesem Jahr sind dafür eine große Chance", betont der Regierungschef **laut vorab verbreitetem Redetext** in seiner Neujahrsansprache.²⁵²

Im eigenen Interesse könne man all diese Fragen am besten lösen, "wenn wir die Interessen anderer mitbedenken", sagte Merkel **laut vorab veröffentlichten Redemanuskript**.²⁵³

რაც შეეხება ფლექსიურ გადაცდომებს, წარმოვადგენთ კიდევ ერთ კონტექსტს გაზეთიდან FAZ. საუბარია საგაზეთო კომენტარზე, სადაც ერთ აბზაცში ორჯერ დაფიქსირდა ზედსართავი სახელი **amerikanisch** ბრუნვის არასწორი დაბოლოებით:

Derweil warnte **der Chef der amerikanischen Notenbank Fed**, Jerome Powell, vor einem erheblichen Schaden für die Wirtschaft in den Vereinigten Staaten gewarnt, sollte sich die derzeitige Haushaltssperre für einen Teil der Bundesbehörden noch lange hinziehen. Käme es zu einer „ausgedehnten“ Stilllegung der Behörden, würde sich dies in den Wirtschaftsdaten „ziemlich klar“ widerspiegeln, sagte Powell am Donnerstag bei einer Diskussionsveranstaltung in Washington. Kürzere Haushaltssperren hatten hingegen nach Darlegung Powells in der Vergangenheit keine größeren Auswirkungen auf **die Entwicklung der amerikanischen Wirtschaft**.²⁵⁴

ასევე, გაზეთში Spiegel online დაფიქსირდა მართლწერის წესის დარღვევა კომპოზიტის ერთ-ერთ სახეობასთან, კერძოდ, ე.წ. **Ad-hoc-Wortbildung**, რომელიც წესით დეფისით იწერება. გაზეთის ერთ-ერთ სტატიამ, კერძოდ, ინტერვიუში კი, კომპოზიტი ერთად წერია:

²⁵² SZ 2018. Nachricht: Regierung - Dresden:Kretschmer: "Wir müssen unsere Demokratie verteidigen".

Quelle: dpa-Newskanal <https://www.sueddeutsche.de/politik/regierung-dresden-kretschmer-wir-muessen-unsere-demokratie-verteidigen-dpa.urn-newsml-dpa-com-20090101-181230-99-385612>

²⁵³ SZ 2018. Bericht von Constanze von Bullion, Berlin: "Müssen mehr Verantwortung übernehmen".

<https://www.sueddeutsche.de/politik/merkel-neujahrsansprache-regierung-1.4270684>

²⁵⁴ FAZ 2019. Nachricht: Wegen Regierungsstillstand: Trump sagt Teilnahme am Weltwirtschaftsforum ab.

Quelle: Reuters/AFP <https://www.faz.net/aktuell/politik/wahl-in-amerika/donald-trump-sagt-teilnahme-in-davos-wegen-shutdown-ab-15982688.html>

Und wir müssen in Deutschland endlich **die ImamAusbildung** ermöglichen, damit die Gemeinden nicht mehr auf ausländische Geistliche angewiesen sind.²⁵⁵

შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საინტერესო იქნებოდა რეგიონული, ადგილობრივი სარეგიონთაშორისო ბეჭდური მედიის ენის შედარებითი კვლევა, რაც, ალბათ, უფრო ღრმა და საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემდა. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი სცდება ჩვენი კვლევის ჩარჩოებს და შესაბამისად, მხოლოდ ამ ფორმით შემოვიფარგლებით.

4.2. საგაზეთო-საჟურნალო ჟანრები და გენტიური ვარიანტები. ბეჭდურ მედიაში მოიაზრება კლასიკური საინფორმაციო წყაროები ბეჭდური ფორმით, როგორცაა გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, კატალოგები და ა.შ. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ ბეჭდური მედიის საშუალებები უკვე ხელმისაწვდომია ონლაინ ფორმით, რაც მათ კიდევ უფრო აქტუალურს ხდის. სხვადასხვა მოვლენებში თანამონაწილეობა არასდროს ყოფილა მსოფლიოში ისეთი მასიური როგორც დღეს.

ციფრული კომუნიკაცია კიდევ უფრო სწრაფს და პოპულარულს ხდის ბეჭდური მედიას, რომლის როლი საერთო დიგიტალიზაციის ფონზე კი არ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა.

შესაბამისად, ემპირიულ მასალად გამოვიყენეთ ტექსტები თანამედროვე გერმანულ სივრცეში აღიარებული გაზეთების, Spiegel, Frankfurter Allgemeine Zeitung, Süddeutsche Zeitung, Zeit, ციფრული ვერსიებიდან. ჩვენ მიერ შერჩეულ იქნა შემდეგი ჟურნალისტური ჟანრები: საგაზეთო კომენტარი, რეპორტაჟი და პოლიტიკური ინტერვიუ. კორპუსი მოიცავს 16878 ილუსტრაციას.

4.2.1. საგაზეთო კომენტარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საინფორმაციო ტექსტია ობიექტური პერსპექტივიდან გამომდინარე. ის უფრო დეტალური ხასიათისაა, ვიდრე საინფორმაციო ცნობა. მან პასუხი უნდა გასცეს ყველა კითხვას. საგაზეთო კომენტარის ცენტრალური მახასიათებელი არის ლაკონურობა და სიზუსტე. იგი უნდა იყოს კონცენტრირებული და შეკუმშული. მასში არ არის

²⁵⁵ Spiegel online 2018. Interview BHR Ohne Verfasser: Islam »Gute Idee, aber nicht umsetzbar«. [Der Spiegel - 28 12 2018.pdf](#) S. 23

აღწერილი დეტალები და არ შეიცავს ავტორის კომენტარებს. ტექსტი უნდა იყოს ინფორმაციული, ადვილად გასაგები და დასამახსოვრებელი.

საგაზეთო კომენტარში ასახული ფაქტი ობიექტურია და სიმართლეს შეესაბამება. ამიტომ, ავტორმა გულმოდგინედ უნდა გამოიკვლიოს იგი და ზედმიწევნით ზუსტად აღწეროს ინფორმაციის წყარო.

კორპუსისათვის შერჩეულ იქნა საგაზეთო კომენტარის 328 ტექსტი.

ანალიზს დავიწყებთ **von**-წინდებულიანი ფრაზით, საგაზეთო კომენტარში იგი 565-ჯერ დაფიქსირდა, რაც საერთო რაოდენობის 37,42%-ს შეადგენს. **von**-წინდებულიანი ფრაზის გამოყენების სიხშირით საგაზეთო კომენტარი უსწრებს ორივე დანარჩენ ჟანრს. წარმოვადგენს ზოგიერთ მათგანს:

Österreichs neuer Kanzler hat sich in der Flüchtlingsdebatte hinter Länder wie Polen oder Ungarn gestellt, die **eine Umverteilung von Migranten** in der EU ablehnen.²⁵⁶

Nicht nur die Hackervorwürfe belasten die Beziehungen, auch im Syrien-Krieg, dem Ukraine-Konflikt und bei der **Ausweitung von Nato-Aktivitäten** in Osteuropa liegen beide über Kreuz.²⁵⁷

კომპოზიტი, როგორც გენტიური სტრუქტურის ალტერნატიული ეკვივალენტი, კორპუსში წარმოდგენილია 2097 მაგალითით, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გერმანული ენა მიდრეკილია შედგენილი არსებითი სახელების გამოყენებისკენ. ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში გენტიურ სტრუქტურას ხშირ შემთხვევაში ენაცვლება კომპოზიტი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომენტარის კორპუსში მრავლად მოიძებნა **შემთხვევითი**, ანუ **ერთჯერადი კომპოზიტები**, რომლებიც გენტივის ვარიანტებად გვევლინებიან. მაგალითად:

Das US-Außenministerium versuchte, andere Staaten auf die Seite der Demonstranten zu bringen.²⁵⁸

²⁵⁶ Spiegel 2018. Nachricht: Europa Spaltpilz Österreich. Quelle: mp <https://www.spiegel.de/spiegel/print/d-155021468.html>

²⁵⁷ SZ 2016. Nachricht: Regierung: Putin will keine US-Diplomaten ausweisen. Quelle: dpa-Newskanal <https://www.sueddeutsche.de/politik/regierung-putin-will-keine-us-diplomaten-ausweisen-dpa.urn-newsml-dpa-com-20090101-161230-99-696523>

²⁵⁸ SZ 2017. Nachricht: Konflikte: Erneut regimekritische Proteste im Iran: "Tod den Taliban". Quelle: dpa-

„Das Ergebnis ist absolut überzeugend und der schönste Lohn nach einer sehr harten Tarifauseinandersetzung“, sagte **GDL-Chef** Claus Weselsky. Er konnte seine Kernforderung nach Tarifverträgen für das gesamte **Zugpersonal** zwar durchsetzen, musste aber in weiten Teilen die von der Konkurrenzgewerkschaft EVG verhandelten Regelungen übernehmen. Neben **Gehaltssteigerungen** um 5,1 Prozent wurde für die **GDL-Mitglieder** auch eine **Arbeitszeitverkürzung** um eine auf 38 Stunden vereinbart, die ab 2018 greifen soll. Der nun angenommene Tarifvertrag hat eine Laufzeit bis zum 30. September 2016. Die Deutsche Bahn begrüßte **das Abstimmungsergebnis**.²⁵⁹

